

825
1984



සුවායි

පාරිජ්‍යාලි වෙළුඩු වැට්ටුව වෙළුඩු වැට්ටුව වෙළුඩු වැට්ටුව

පාරිජ්‍යාලි

№ 3

PARIS

සෞඛ්‍ය මධ්‍ය මාරු 1984 SEPTEMBER



„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყდარი, პირულისა
„შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,
„შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეჭისა,
„შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!“ – ი ლ ი ა

ნომრის შინაარსი,
რომელიც ძირითადად ეძღვნება აგვისტოს
დიდი აჯანყების 60 წლისთავს

- | | | |
|-----|-------------------------------------|---------------------------------|
| .2 | სისხლიანი აგვისტოს 60 წლისთავი | მოწინავი |
| .9 | კოტე ანდრონიკაშვილის სიტქა | |
| .23 | „კოტე ანდრონიკაშვილს“ – ლექსი – | შალვა ამირეჯიბი |
| .24 | იასონ ჯავახიშვილის სიტქა | |
| .40 | „აგვისტოს დღეები“ – ლექსი – | ევტიხი აბულაძე |
| .41 | საუკუნო იყოს ხსენება მათი! | სიმონ ბლიაძე და
დავით ვაშაძე |
| .45 | აგვისტოს ჯანუბის ზოგიერთი საკითხები | გ. წერეთელი |
| | სამშობლოს მიმღინარე ამბებზე | |
| .69 | სახელმწიფო მკვლელობა | |
| .79 | სამგლოვიარო განცხადებები | |
| . | ნოდარ დუმბაძის გარდაცვალება | |
| .80 | შემოწირულებათა სია | |
| | ბატონ გიორგი ნაკაშიძის იუბილე | |



„გუშაგი“ (ყოფილი „თავისუფლების ტრიბუნა“)
პასუხისმგებელი : გიორგი წერეთელი

სისხლიანი აგვისტოს 60 წლის 230

1924 - 1984

წელს, აგვისტოს უკანასკნელ დღეებში, სამოცი წელი შესრულდა ჩვენი ხალხის დიდ ეროვნულ აჯანყბილან, რომელსაც მიზნად ჰქონდა საბჭოთა რუსეთის მპტობელობიდან განთავისუფლება და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა. ეს საარაკო გამბედაობა ძლიან ძვირი დაუჯდა ქართველობას, არა იმდენად ბრძოლის ველზე მტერთან შეტაკებისას, არამედ ბარბაროს ხელისუფალთაგან უიარაღო, პატიმრობაში მყოფ, ხშირად უბრალო, ხალხის მასიურ და განუკითხავ ხოცვა - ულეტის შედეგად.

აჯანყბის შემდეგ შემთხვევით თბილისში მყოფი გერმანელი პროფესიონალი, ღოძტორ ერის აბსტ, იმავე წლის დეკემბრის კრებულ „ცაიტშრიფტ ფიურ გეოპოლიტიკ“-ში წერდა:

„იმ დროს, როცა ჩვენ იქ მივედით, იქ იყო გაბატონებული ღმა გლოვა, განსაკუთრებით ქალაქის ქართულ ნაწილში. ბევრი მანდილოსანი მიმოდიოდა შავ სამოსეულში ჩაცმული და მათი სახე მძიმე, მძიმე მწუხარებას მეუღლავნებდა... არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოჯახი, მას რომ წევრი არ დაკლებოდეს და გლოვაში არ ყოფილიყოს... გაუგონარი მძინავარებით მოსახლე აჯანყბა. ოფიციალური სტატისტიკა თუმცა აცხადებს, რამდენიმე ასი კაცი სასამართლოს განაჩენით დაიხვრიტა, მაგრამ ვიღას აინტერესებს ეს რიცხვი? შურისმაძიებელი მხედრიონის ნამდგილი მსხვერპლი ათასობით ითვლება. ისინი დახვრიტეს გაუსამართლებლად, ხშირად იმ შემთხვევაშიც, როცა დაბეჭიობით იცოდენ, რომ ისინი აჯანყბაში სრულებით არ მონაწილეობდნენ...“

ამ მიუდგომელი უცხოელის სიტყვებში ზუსტადაა გადმოცემული ქართველი ხალხის მაშინდელი ტრალედია და საბჭოთა ხელისუფალთა შეუწყარებელი ბოროტება. ამ ბოროტების მსხვერპლი იყვენ ჩვენი დედები და მამები, ჩვენი დები და ძმები, ახლობელი და შორებელი, მაგრამ ხშირად საამაყო ნათესავები, თუ ძვირფასი შეგობრები და მეზობლები... მაგრამ, როცა აგვისტოს აჯანყბის

1924 - 1984


მსხვერპლთ დავტირით, ჩვენ როდი ვხელმძღვანებლობთ ჩვენი ჩვენი
პირადი ოჯახების დანაკლისით, არამედ ჩვენი დიდი, ეროვნული
ოჯახის დანაკლისი გვაღელებს და გვაღშფოთებს, რაც აუნაზღა-
ურებლად დიდი და მძიმე იყო.

თუ ოდესმე კი არსებულა რაიმე შემაერთებელი ბილიკი ბოლშე-
ვიკებსა ქართველი ხალხის გულს შორის, აგვისტოს სისხლიან დღე-
ების შემდეგ მათ შორის უკანასკნელად და საბოლოოდ გაითხარა
უფსკრული, რომლის ამოგვება აღარავითარ ამჭვერიულ ძალებს
აღარ ძალუდს.

მეტების ციხის პოლიტ-პატიმართა მაშინდელი ანგარიშით დახ-
ვრეტილი იყო თხეი ათასამდე აჯანყებაში მონაწილე თუ უბრალო-
ქართველი. მათ არ შეეძლოთ იმ დროს დასჯილთა სრული და ამო-
მწურავი სია ჰქონებოდათ და უფრო მოგვიანებით ამ რიცხვს
შეიძი ათასამდე ანგარიშობენ, მაგრამ ესეც საკმარისი არ იქნე-
ბა თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აჯანყებამ მტრებს გაუმქ-
ლავნა მაში მონაწილეთა და თანმიგრინობთა ვინაობა, რომელთა
მაშინვე მოსპობა საბჭოთა ხელისუფლებმა ვერ გაბედეს საერთაშო-
რისო აზრის რისკ ვის შიშით, მაგრამ ყველა მათზე უწყლოდ
იძიეს შური ათი-თორმეტი წლის შემდეგ, გარდა იმათი, ვინც
ამ ხნის განმავლობაში მოახერხა თავი შეეფარებია უცხოეთში.

მიუხედავად ასეთი დიდი მსხვერპლისა, ჩვენ არ ვვმობთ ამ
დამარცხებულ აჯანყებას, პირიქით, ვამაყობთ იმითი. ჯერ ერთი,
ეს აჯანყება დაუფასებელი მაგალითია, რომლის საფუძვლიანი შე-
სწავლა წინდი იქნება მომავალი ეროვნული განმათავისუფლებელი
ბრძოლების წარმატებით დაგვირგვინების. შემდეგ, მტრისგან იმ
დროს დაღვრილი ზღვა ქართული სისხლი უხვად ანოერებს
ჩვენს ტანჯულს მამულს და მწვანედ აბიბინებს მის თავისუფლე-
ბის ჯეჯილს.

აჯანყება დამარცხდა, რადგანაც მტერი იყო უსაზომოდ ძლიერი,
ვერაგი, დაუნდობელი, და ამასთან ერთად წინასწარგაფრთხილებუ-
ლი. მისი საჯაშუში ქსელი შეიპარა სწორედ აჯანყების წინ აჯა-
ნყების ხელმძღვანელ წრეში, ზოგი ხელმძღვანელი დააპატი მრეს,
დარჩენილებში კი მერქობა და უნდობლობა დათესეს. ამის შედე-
გად აჯანყების ორგანიზაცია ეროვნული მასშტაბით სუსტი გამო-
დგა, აჯანყების შტაბი სრულებით მოწყვეტილი აჯანყებულ რაიო-
ნებისა და კუთხეებისაგან. ამას დაემატა ჭიათურის შეცდომით



24 საათით ადრე გამოსვლა, რამაც, რა თქმა უნდა, იქმდაც უზრუნველყოფის ფრთხილებული ხელისუფლება, კიდევ უფრო გააფრთხილოს მას მაგრამ სამაგიეროდ, ქართველმა ხალხმა გამოიჩინა დიდი ეროვნული შეგნება და მტრის ვერავითარება სისასტიკემ ვერ გატეხა მისი მებრძოლი და შეუდრევებული სული. ღრმა პატრიოტიზმის მუდმივ მაგალითად დარჩება ასობით სიკვდილით დასასჯელთა უკანასკნელი შეძახილები: „ჩვენ ვკვდებით საქართველოსთვის! გაუმარჯოს საქართველოს!“

მთელი დასავლეთი საქართველო აჯანყბულთა ხელში აღმოჩნდა, გარდა დიდი ქალაქებისა, სადაც ხელისუფლებამ ფეხზე დააჭნა გაძლიერებული საოკუპაციო რუსის ჯარები. ჟელგან თითქმის უსისხლოდ დაატყვევეს აღგილობრივი ვი ხელისუფლება, ჩეკა, მილიცია, კომუნისტები. არსად ადგილი არ ჰქონებია არც შურისძიებას, არც პატიმართა მკვლეობას. უიარაღო ხალხი რამდენიმე დღის განმავლობაში წარმატებით უმკლავდებოდა კბილებამდე შეიარაღებულ და გაწვრთნილ საოკუპაციო ჯარებს იმერეთის ბევრ რაიონში, გურიაში, სამეგრელოში, ხოლო სვანეთ-ლეჩხუმის დამორჩილებას მტრი სამი კვირე მოუნდა.

ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების და მისგან მიღებული არაჩეულებრივი ღონისძიებების გამო (მან განგაში გამოაცხადა და საბრძოლო მდგომარეობაში დააჭნა მთელი საოკუპაციო სამხედრო, მილიციის, თუ პარტიული შეიარაღებული ძალები), აღმოსავლეთ საქართველომ ასეთივე მასიური გამოსვლები ვერ შეძლო, მაგრამ აქაც ქართული მოსახლეობის გადაწყვეტილება საბჭოთა უღლიდან განთავისუფლებისა, არანაკლებად გამოჩნდა და მსხვერპლიც არანაკლები იყო. ხოლო, „შეფიცულთა“ რაზმა, ქაქუცა ჩილოყაშვილის მეთაურობით, ბრწყნალე ფურცლები ჩაწერა საერთოდ პარტიზანული ომების ისტორიაში. ერთი კვირის განმავლობაში ქაქუცა ერთი მუჭა რაზმელებით გარს უგლიდა დედაქალაქს, ზვერავდა, ერთიმეორეზე ანთავისუფლებდა დმანისს, დუშეთს და სხვა დიდ დასახლებებს და, როცა ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, დაუმარცხებელმა გაშლილი აღმით სამშობლოს საზღვრები დატოვა, უცხოეთში გამოვიდა.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო, შემოსულ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ქართველი ხალხის სამნახევარი წლის შეუწყეტელი ბრძოლის აპოთეოზი. მას მიზნად არ ჰქონებია უშველე-

ბელი რუსეთის დაწყება - დამარცხება. არა, აჯანყბის მეთაურულება
ბა იმედოვნებდა, რომ ქართველი ხალხის ერთობლივი, მასში გამოსვლა
და თავდადებული გამოსვლა: 1. უმაღლეს საფეხურზე აიყანდა
მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის თანაგრძნობას საქართველოს
დამოუკიდებლობისადმი, რაც სასურველ გავლენას მოახდენდა
საერთაშორისო პოლიტიკის ძალებზე და თვით საბჭოთა ხელისუ-
ფლებაზე. 2. ერთა ლიგას მისცემდა საბუთს ჩარევისას, და
3. თვით კრემლის მეთაურებს აიძულებდა ანგარიში გაეწიათ ქა-
რთველი ერის ნებისათვის: იყოს დამოუკიდებელი.

კრემლის უგულო ტირანების შეგონება შეუძლებელი შეიქნა-
ისინი კიდევ უფრო გაავდენ და გამხეცდენ. ერთა ლიგაც, ქარ-
თველი ხალხის ტრალედისადმი პლატონურ სიმპატიების გამოცხა-
დებით დაკმაყოფილდა, არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები არ გა-
დადგა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ აჯანყბამ საკმაოდ დიდხანს
ვერ გაძლი. რაც შეეხება აჯანყბის მისის პირველ ნაწილს, ის
წარმატებით შესრულდა. ჩვენი საშომბლოს დამოუკიდებლობის საჭ-
მეს აგვისტოს აჯანყბამ დიდი თანაგრძნობა მოუპოვა და განუ-
მტკიცა მოელს მაშინდელ მოწინავე კაცობრიობაში. საკმარისია
გადავფურცლოთ მაშინდელი პერიოდული გამოცემების გაფილე-
ბული ფურცლები, რომ ამაში დავრჩენდეთ. მთელმა არაკომუნი-
სტურმა სამყარომ აღშფოთებით დაგმო კრემლის სიმკაცრე
ქართველი ხალხის მიმართ. მათში ქართველი ხალხისადმი უსაზღ-
ვრო ერთგულებით და თანაგრძნობით გამოიჩინეოდენ მეორე სოცი-
ალისტური ინტერნაციონალი, მასში შემავალი ყელა ეროვნული
სოციალისტური პარტიებით, და მუშათა პროფესიონები. ეს მა-
შინდელი საერთაშორისო აზრის კეთილგანწყობა შევდარი სიტყვე-
ბი არ არიან. როცა ქართველი ხალხი კვლავ აბობოქრდება მისი
დღეს დათრგუნვილი უფლებების აღსაფეხნად, მაშინ იმ საკაცო-
ბრიო თანაგრძნობის სიძველის ფერფლიდან განთავისუფლება და
თანამედროვეობასთან ზიარება სულ ადვილი იქნება. ამ გაგებით,
1924 წ. აგვისტოს აჯანყბის დროს დაღვრილ ქართულ სისხლს
უქმდ არ ჩაუვლია.

ჩვენი ხალხი მუდან მზად უნდა იყოს უცხო მპტობელთა ულლი-
საგან განთავისუფლების გადამშვეტი ბრძოლებისათვის. მზად კუ-
ფინისათვის კი საჭიროა ის ტროდადრო განიბანებოდეს მისი ისტორი-
ული ცხოვრების გმირულ ემბაზში. მოდით, მამულიშვილნო, შემოვ-
კრძეთ ერთად, განურჩევლად პარტიულობისა, სარწმუნოებისა და

სოციალური მდგომარეობისა, აგვისტოს ეროვნული აჯანყების ამ სამოც წლისთავზე, რათა ჩვენც ვეზიაროთ მასში მოწიაშოთ იდეებსა და განცდებს, ავმალდეთ მათ ეროვნულ შევნებამდე, მოკრძალებული ქება, მაღლობა და დიდება მოვახსენოთ მათ, ეინც მაშინ შემთხვევით თუ განვებით გადურჩენ ჯალათებს და დღემდე ჩვენთან ერთად ერთგულად ემსახურებიან იგივე საჭმეს; ხოლო იმათვეის, ეინც მაშინ ქართველი კაცის კაცურკაცობისა და ღირსებისათვის იბრძოდენ და ბრძოლის ველზე დაეცენ,

მუხლმოყრილებმა სასოებით და გულმხურვალებით ვილოცოთ, მათი სულები მამაზეციერს შევავეძროთ და შარავანდელით შევამკოთ მათი ძეირფასი სახელები!

„ვინცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ცათა რბიან!“



შეფიცულების შრაბი და აჯანყების მთავარსარდალი თურქეთში გამოსვლისას, **1924 წ.** სექტემბერში. პირველ რიგში სხედან: გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე და მის მარჯვნივ პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქულა) ჩოლოგვალი; უკანა რიგში ფეხზე დგანან (მარჯვნიდან): ალექსანდრე სულხანიშვილი, რაფო ერისთავი, კაპიტანი ელიზბარ ვაჩნაძე და ლელო ჩიქოვანი.

შ ე ფ ი ც უ ლ ე ბ ს

თქვენ ამბობთ: „მოკვდა, მივაბარეთ დღეს უცხო მიწას, არ გვყვას ქაქულა, დაგვიობლდა შეფიცულთ კერა.“

1924 - 1984

 შვეიცაულებო, ნუ ქვითინებთ! თქვენს თავსა ვფიცავთ
 ეს ტყუილია, არ მომკვდარა, მე ეს არ მჯერა!
 ტიპული გამოსახული
 ეს ტყუილია, არ მომკვდარა, მე ეს არ მჯერა!

არ დაიჯეროთ, რომ დაჭრილი ვაჟას არწივი
 გამოესამდა მთის მწვერვალებს დღეს სამუდამოდ,
 რომ მის მაგარ ფრთებს ზედ დაადეს ლოდები ცივი.
 არ დაიჯეროთ! ტყუილია! მტერს არ აამოთ!

მე ამას ვამბობ და ეს მჯერა. ვამბობ იცით რას?
 დაჭრილმა მკერდში, დაქანცულმა, ბოლოს ინება
 ნაბალის გაშლა რბილ მწვანეზე, ღიდ მუხის ძირას
 და მიძინება.

და სძინავს, სძინავს მეფურ ძილით საყარელ ბელადს...
 ჩუმალ! ნუ სტირით! მოვასვენოთ გუშავი ერის.
 ჩვენი მამულის უღრან ტჲში, მთაში და გელად
 კვლავ გავიგონებთ ამღერებას ცხელ „მაუზერის.“

თქვენ კი ჭავებო, მთის არწივი ვგონიათ მკვდარი,
 თავს რომ დასჩხავით, —გინდათ ლეში ნაკუწ- ნაკუწად?
 მალე ზარს დაგცემსთ თეთრ ტაიპზე მჯდარი მხედარი,
 ცივ სამარიდგან ამოსული ჩვენი ქაქუცა.

სიმონიკა ბერეფიანი (აშ განსვენე-
 ბული ალ. კარგარეთელის: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, პარიზი 1981)



ეროვნული გმირი, პოლკოვნიკი
 ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.



პოლკ. სოლ. ზალდასტანიშვილი,
 „დამკომის“ სამხედრო კომისიის
 წევრი დასწუსიდან ბოლომდე.



საქართველო
კულტურული
მემკვიდრეობის
მინისტრი

ნოე ხომერიკი

ნოევე გამოჩენილი სოციალისტი, რევოლუციელის ორგანიზატორი და მასების წინამძღვრი. ნ. ხომერიკი უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნდა 1922 წ. ბოლოს, აჯანყების მოსაწყობად და სახელმძღვანელოდ, ჩეკამ დააშარიმრა შემდეგი წ. ნოემბერში, გადაასახლეს სუზდალში, აჯანყების დღეებში წამოიყვანეს იქიდან და ქურდულად მოკლეს სადღაც მოსკოვსა და როსტოვს შორის. მასთან ერთად ციხეში იჯდენ და დახვრიტეს: აჯანყების სახელმძღვანელოდ უცხოეთიდან დაბრუნებული პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე: სოც. დემ. ბენია ჩხილიშვილი, „დამკომის“ წევრები, სოც. დემ. გოგიტა ფალავა, ვასო ნოდია და ერ. დემ. გიორგი წინამძღვრიშვილი და სხ. ვ. ჯუღალი კი ვ. ნოდიასთან და სხვა სოც. დემ. ჯგუფთან (ვლასა მგელაძე, ბიქტორ ცენტერაძე, ცინცა-ბაძე და ბენია ჩხილიშვილი) საფრანგეთიდან დაბრუნდა აჯანყების სახელმძღვანელოდ, აღფრთოვანება და გამარჯვების დიდი იმედი შთაბერა შეთქმულებს, მაგრამ „ჩეკამ“ ის ხელში ჩაიგდო სწორედ აჯანყების წინა დღეებში, 6 აგვისტოს და ის დაარწმუნა, რომ აჯანყება იყო გაცემული, მისი გამარჯვება იყო შეუძლებელი და გამოიწვევდა დიდ მსხვერპლს. ვ. ჯუღალი ციხიდან კატეგორიულად მიმართა „დამკომს“ და ს. დ. პარტიის ც. კომიტეტს მოქანათ აჯანყება. ამ უკანასკნელებმა არ დააკმაყილეს ჯუღალის მოთხოვნა, მაგრამ იძულებული იყვენ აჯანყება ორი კვირით გადაედვათ. ეს ამბავი გახდა აჯანყების მარცხის მთავარი მიზეზი.



კოტე ანდრონიკაშვილის სიტყვა 85 წლის დღის
წარმოთქმული „დამკომის“ სას. პროც.-ზე, თფილისი 22.07.1925 წელს.

(აგვისტოს აჯანყბის ისტორიის გასაგებად ჭელაზე მნიშვნელოვანია „დამკომის“ თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის განმარტებითი სიტყვები, რომელიც მათ წარმოთქმეს მათი გასამართლების დროს და, რომელთა სრულ ტაქტიკის ქვემოდ გთავაზობთ. კ. ანდრონიკაშვილის სიტყვა პირველად დაიბეჭდა პარიზში „ბრძოლა“ №14, 1926 წ. აგვისტოს ნომერში, საიდანაც ჩვენ გადმოვბეჭდეთ.

ბრალდებული კ. ანდრონიკაშვილი თავიდან პასუხობს სასამართლოს თავმჯდომარის კითხვებს, რომ საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის წევრია 1902 წლიდან, თვითმშეტობის დროს ორჯერ ვიყვავი პოლიტიკური ბრალდებით გასამართლებული, რომელმაც მომისაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში, ამჟარა თავადობა და ჭელა მასთან დაკავშირებული პრივილეგიებით. ამის შემდეგ, ბრალდებული დაქინებით თხოვს სასამართლოს, როგორც აჯანყბის მეთაურს, ნება მისცენ მას თავიდანვე დაწვრილებით განმარტოს, თუ რა პირობებში და რანაირად ჩაისახა აჯანყბის იდეა და რა იყო ამის მიზეზები. ბოლოს თავ-რე თანხმდება იმ პირობით, რომ საბოლოო სიტყვა აღარ ექნება, რაზედაც ანდრონიკაშვილი თანახმაა. იმის ნათელსაყოფად, რომ 1921 წ. მუშაოთა და გლეხთა რევოლუციას კი არ ჰქონია ადგილი, არამედ საქართველოს რუსის ჯარებმა მოუხდინეს ოკუპაცია, ბრალდებული ნებას თხოულობს სასამართლოს წაუკითხოს „სიტყვები ერთ ქართველ პასუხისმგებელ კომუნისტის“. თავმჯდომარე ზარით წყითხვის ნებას არ აძლევს. კ. მდრონიკაშვილი პაუზის შემდეგ განაგრძობს. გუშაგი)

კ. ანდრონიკაშვილი— „დიახ, საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ეს ფაქტია! როგორ შეხვდა ამ ფაქტს ქართველი ხალხი, ქართული პოლიტ. პარტიები? რასაკვირველია, რომ იგინი ვერ შეურიგდენ ოკუპაციას, მაგრამ გამოუცხადეს მათ საოკუპაციო ხელისუფლებას ბრძოლა პირველ დღიდანვე, როგორც ამას ვტობილობთ საბრალმდებლო დასკვნაში? რა თქმა უნდა, რომ არა! ბრძოლაზე ჯერ ფიქრიც არ შეიძლებოდა, პირიქით პოლიტიკური პარტიები, უწევდენ რა ანგარიშს ფიზიკურ ძალას, რომელმაც საქართველოს მოუსპო დამოუკიდებლობა, შეეცადნენ გამოენახათ



” ახალ ხელისუფლებასთან შემათანხმებელი გზა და ენა ქადაგულავი კითხების გადასაწყეტად საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლენის მისათვის კიდევაც საქ-ს სოც. დემ-მა პარტიამ ამოირჩია დე-ლეგაცია ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად (მეც გახლდით ამ დელეგაციაში), ვინახულეთ რევოლუციის თავმჯდომარე, ფ. მახარა-ძემ გვიპასუხა: „ეს არის დელეგაციის აზრი, ჩვენთვის კი სასუ-რველია ვიცოდეთ პარტიის აზრიო.“ თქვენ იცით, რომ ხელისუფ-ლების ნებართვით თბილისში მოხდა ქართ. სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციების ყოილობა, სადაც გამოტანილი იყო ცნობილი 10 აპრილის 1921 წ. რეზოლუცია. ამ ყოილობის და ამ რეზოლუ-ციის ბედის შესახებ თქვენ მოისმინეთ ვრცელი ჩვენება მოწმე-ების სეით დევლარიანის და თევზაიასი, ამიტომ მე აღარ შევაჩე-რებ ამაზე თქვენს ჭრადღებას. მე აღნიშნავ მხოლოდ მხარეებს და ფაქტებს, რომელსაც არ შეეხენ ხსენებული მოწმები. 10 აპ-რილის რეზოლუციის შემდეგ, რომელიც წინააღმდეგი იყო ყოველ-გვარი ინტერვენციისა და შინაური ბრძოლისა ხელისუფლების მი-მართ, ეს უკანასკნელი არა თუ ურიგდება ქართველ პოლიტიკურ პარტიებს, არამედ უსპობს მათ ლეგალურ, ნებადართულ ბიუროებს და აძლიერებს რეპრესიებს და ჭერას! ჩვენმა ცეკამ მომცა წინა-დადება მენახა კომუნისტური პარტიის ცეკას მდივანი და გამეგო მისგან ჩვენი ბიუროს დახურვის მიზეზი. იმ დროს საქ-ს კომ-პარტიის ცეკას მდივნად იყო ალექსანდრე თუმანიშვილი. ვინახუ-ლე და შევეკითხე, რითო აიხსნება ხელისუფლების ასეთი პასუხი ჩვენს რეზოლუციაზე, რომელიც მოუწოდებს პარტიულ მასას, ქა-რთველ ხალხს თანამშრომლობისაკენ საბჭოთა ხელისუფლებასთან? ამაზე მიპასუხა: „სწორედ 10 აპრილის რეზოლუცია გულისხმობს მშეიღობიანობას კი არა, არამედ ბრძოლას ხელისუფლებასთან და ამიტომ ცელა მენშევიკები დასაქერი ხართო.“

მართლაც შეუდეგნ შიგადაშიგ დაპატიმრებას. რაც შეეხება პარტიულ ბიუროს ლეგალურად არსებობას, ამაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ამავე წელს (1921) ჩამოვიდა თბილისში სტალინი. მან პლეხანოვის სახ ელობის თეატრში გააკეთა მოხსენება, დიდ-დაღი ხალხი დაესწრო, მაგრამ აუდიტორია მისი არ გამოღვა. მოსმენით მოუსმინეს სტალინს, მაგრამ მთელი დარბაზი განწყუ-ბილი იყო მის წინააღმდეგ და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეს მოხსენება! კომუნისტებმა სცადეს თავისი რეზოლუცია გამო-



"ერანათ, მაგრამ ვერ შესძლეს. ამის გამო კომპარტიის სტუდენტები ცეკაში სტალინმა გააკეთა მოხსენება „იმ არანორმალურ მდგრადულებას მარეობის შესახებ, რომელიც არსებობს საბჭოთა საქართველოში იმ დროს, როდესაც ხელისუფლება კომუნისტურია და მასსა კი მენშევიკურად განწყობილი.“ ცეკამ გამოიტანა შესაფერისი და-ლეგნილება (ეს დადგენილება მე ჩამივარდა ხელში) იქ ნათქვა-მია: „მოისმინა რა სტალინის მოხსენება, ცეკამ დაადგინა, და-უყონებლივ იქნენ დაპატიმრებული პასუხისმგებელი მენშევიკები.“ იმ დროს რევოლუციის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, როგორც რბილი პოლიტიკის მატარებელი, იქნა გადაუნებული და მის ალაგას და-ნიშნეს ბულე მდივანი, რომელსაც უნდა აელო მაგარი კურსი და კიდევაც აიღო: ხელისუფლება შეუდგა მასიურ ჰერას, არა მარტო მენშევიკების, არმედ ჟელა ქართველ პოლიტიკურ პარტიათა წე-ვრებისას. ციხეებე გაიგოს პატიმრებით. ბრალდებას კი არ უფრ-ბდნენ. ჰის გამო ვინახულე ჩვენი ცეკის დავალებით იმ დროს ჩეკას თავმჯდომარე კოტე ცინცაძე (ეს იყა ჩემს დაპატიმრებამდე 1921 წ. ოქტომბერში). მივაჭციე მისი ურალება დაპატიმრებუ-ლით მდგომარეობას, შევეკითხე თუ რაიმე დანაშაული მიუძღვით წარუდგინეთ ბრალდება და თუ არა, გაანთავისუფლეთ - თქმ. ამ-აზე ცინცაძემ მიპასუხა სიტყა-სიტყით შემდეგი: „ვერავითარ ბრალდებას მათ ვერ წარეცდებანთ, იგინი სხედან იზოლაციის წესით, როგორც ხელისუფლებისათვის მავნე ელემენტებით. იმათი ციხეებიდან განთავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდე-ნად ესა თუ ის პატიმარი აღარ წარმოადგენს საშიშროებას ხე-ლისუფლებისთვის.“ ამავე საქმეზე ვინახულე იუსტიციის კომი-სარი, დღევანდელი საზოგადო ბრალდებელი, ს. ქავთარაძე. მის-განაც მივიღე იგივე პასუხი. ამგვარად იზოლაციის წესით დაპა-ტიმრება და ის განმარტება, რომელიც გააკეთეს იუსტიციის კო-მისარმა და ჩეკის თავმჯდომარემ, აშკარად ამტკიცებდა იმას, რომ ქართველ პოლიტ-პარტიების წევრებს, განსაკუთრებით მენ-შევიკებს, აპატიმრებდნენ არა იმისათვის, თითქოს იგინი აწარ-მოებდნენ ბრძოლას, ან უწევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას რამე წინააღმდეგობას (მაშინ აშკარაა წარუდგენდნენ კონკრეტულ ბრა-ლდებას), არამედ იმიტომ, რომ ქართველ პოლიტიკურ პარტიების, გარდა კომუნისტების, ლეგალურ არსებობას ვერ ითმენდა საბჭო-თა ხელისუფლება. ხელისუფლება თავის ასეთი შეურიგებელი პოლი-ტიკით აიძულებდა ქართველ პოლიტ. პარტიებს გადასულიყნენ

"იატაკქვეშ, ეჭარმოებიათ არალეგალური მუშაობა. სასამართლოს ფურადღება უნდა მივაჭციო იმ გარემოებას, რომელსაც აქმის დოკუმენტის დი მნიშვნელობა „დამკომის“ (დამოუკიდებლობის კომიტეტის) და-არსების და მისი მოქმედების ისტორიაში. საბრალმდებლო დასკვნაში აღნიშნულია, რომ დამკომი ვითომ დაარსდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ეკრძაპაში გასვლის დღიდან. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს არაა მართალი. დამკომის დაარსების მიზეზი იყო იგივე შეურიგებელი პოლიტიკა საქონთა ხელისუფლების, რომელიც მიმართული იყო ქართველი ხალხის და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. მე მოვიყვან ფაქტებს. სამწუხა-როდ მე არ მეძლევა უფლება დოკუმენტების საშუალებით დავა-მტკიცო ცნობილი ფაქტები, მაგრამ მე მაინც აღვნიშნავ.

ავილოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემოღება; ეს სრულიადაც არ გამომდინარეობდა ქართველი ხალხის ნება-სურვილიდან; ვიტჟი მეტს, საქ-ს კომ. პარტიასაც კი არ დაუუნდებია ეს საკითხი და-მოუკიდებლად; ეს მოახვია თავზე მოსკოვმა და რუსეთის კომ. პა-რტიამ. ამას დაამტკიცებს ჩრდილუციები, რომლებიც გამოკვნდათ საქ-ს სხვადასხვა რაიონებში (თფილისში, თელავში, სიღნაღში და დასავლეთ საქ-ს სხვადასხვა რაიონებში) ფედერაციის შესახებ. ამ ჩრდილუციებში აშერად და ხაზგასმით არის ნათევამი, რომ მიესალმებიან და ერთხმად იღებენ რ. კ. პ. ც. კომიტეტის კავბიუ-როს დადგენილებას ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემოღების შე-სახებ. კომუნისტები ფედერაციის შემოღების აუცილებლობას ას-აბუთებდნენ აგრეთვე ეკონომიური მოსაზრებით, რომ ის სასარგე-ბლო იყო ჭველა რესპუბლიკისათვის. საინტერესოა გავიხსენოთ კიროვის მოხსენება, რომელიც მან გააკეთა თფილისში პროფკავში-რების ყოილობაზე ფედერაციის შესახებ 1921 წ. დეკემბერში; მას სხვათა შორის მოჰყავს ერთი პატარა ფაქტი, რომელსაც აქვს ღრმა ეკონომიური მნიშვნელობა ამ საკითხის (ფედერაციის) გასა-გებად. მოვდიოდით ჩევნ აზერბაიჯანიდან საქ-ში და ოვითეულ ჩევნთაგანს ჰქონდა მილიონი მანეთი. გადავედით ფოილოს ხიდზე და შევეღით საქ-ს საზღვრებში, და ეს ერთი მილიონი აზერბა-იჯანის მანეთი იქცა ნახევარ მილიონად ქართულ ფულზე; ჩე-მთვის ეს გასაგები იყოვო, მაგრამ აზერბაიჯანის მუშებისათვის, რომლებიც ჩევნთან ერთად მოდიოდენ, გაუგებარი იყო ეს მოვლენათ; იქაც პროლეტარიატის დიქტატურაა და აქაც, მხოლოდ იქაური მილიონი უდრის აქაურს ნახევარ მილიონს. პირიქით,

„აზერბეიჯანის მუშებისათვის ასეთი ფედერაცია გასაგებიც იყო
და სასარგებლოც, ვინაიდან აზერბეიჯანის და ქართული ფულის
სრული გათანასწორება ხელოვნურად, აშვარა უპირატესობას ან-

იჭებდა აზერბეიჯანს. მართლადაც, თუ აზერბეიჯანის ერთი მა-
ნეთი ფედერაციის შემოღებამდე უდრიდა ქართულ ათ შაურს,
აშვარაა ღირებულება აზერბეიჯანის ფულისა ითვლებოდა ქართულ
ფულზე ორჯერ უფრო იაფად. როდესაც შემოიღეს ფედერაცია,
რომელიც ამ ეგუებოდა ამიერკავკასიის ხალხების განსხვავებულ
ეკონომიურ ცხოვრებას, დააკისრეს იგი ზევიდან პოლიტიკური
მოსაზრებით და ამ გზით აზერბეიჯანის და ქართული ფული ხე-
ლოვნურად ერთმანეთს გაუთანასწორეს, მაშინ მოხდა ის, რომ
აზერბეიჯანელს თავის ერთი მანეთით საქართველოდან გაჰქინდა
ათი შაურის საქონელი უკვე მუქთათ, ეს კი ნიშნავდა იმას, რომ
აზერბეიჯანელი მუშა თუ გლეხი ყლეფფდა ქართველ მუშა-გლეხს.

რომელი სოციალისტური პარტია მოითხოვს თავის პროგრამაში,
ერთი ერის მეორე ერის მიერ გაჰქილებას? მეორე, რომელ დღიდან
მარქსისტი ამტკიცებს იმას, რომ პოლიტიკა (ფედერაცია კი გახ-
ლავთ პოლიტიკური ფორმა) ქმნის ეკონომიკას? მართალია, პოლი-
ტიკა თავის მხრივ ახდენს გავლენას ეკონომიკაზე; ეს მხოლოდ
მაშინ, როდესაც ახალი ეკონომიური ურთიერთობა უკვე შექმნის
შესაფერის პოლიტიკურ ფორმას. ფედერაციის შემოღება კი სრუ-
ლიად ამ იყო რესპუბლიკების ევოლიუციურად, ბუნებრივად ეკო-
ნომიური გათანასწორების შედეგი; პირიქით ამ დროს საქართვე-
ლო ეკონომიურად ღრმად განსხვავდებოდა აზერბეიჯანისა და
სომხეთისაგან და გაცილებით მაღლა იდგა მათზე ამ მხრით.

ამგარად, ამიერკავკასიის ფედერაციამ მოუსპო საქართველოს
ეკონომიური დამოუკიდებლობა და გააღატავა, და, როცა ამიერ-
კავკასიის ფედერაციას ზედ მოვა უშუალოდ შექვანა საბჭოთა
სოც. რესპ. კავშირში, მაშინ საქართველოს დაეკარგა პოლიტი-
კური დამოუკიდებლობის ის ნატამალიც, რომელიც შერჩი მას
გასაბჭოების შემდეგ. ამ ფაქტით აიხსნება სწორეთ ის უკლონი-
ზმი, რომელიც წარმოიშვა კომუნისტთა რიგებში. უკლონისტები
მოითხოვდენ საქ-ს უშუალოდ შესვლას ხსენებულ კავშირში, რა-
თა ამით მაინც შეენარჩუნებიათ საქ-ს პოლიტიკური ერთგვარი
დამოუკიდებლობა. მოგახსენებთ, რომ უკლონიზმი ჩაკლეს, უკლ-
ნისტები დაქსაქსეს. როდესაც ქართული პოლიტიკური პარტიები



" დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან საერთო კურის გვარი მონახება წარმოადგენს უბრალოთ წყლის ნაცვას და დარწმუნდნენ ხელისუფლების გამგებლობის სისტემას მიჰყევს საქ-ლო დალუპეი-საკენ, მათ დაებადათ იდეა მთლიანი ფრონტის შექმნისა საქ – ს დამოუკიდებლობის აღსაღენად უკვე ბრძოლის საშუალებით, და 1922 წ. აგვისტოში ჩაეყარა საფუძველი დამოუკიდ. კომიტეტს.

აუცილებლივ საჭირო მიმართ მივაჭიო სასამართლოს ურა-დღება დამკომის მოქმედების ხასიათზე დღიდან მისი დაარსები-სა თვით აჯანყებამდე, ამას აქვს დიდი მნიშვნელობა ამ პროცე-სში ბრალდებულთათვის. დამკომის მოქმედება მოქმედება განიყ-ფება ორ პერიოდად: პირველი–ნიკო ქარცივაძის თავმჯდომარეო-ბით 1922 წ. აგვისტოდან მის დაპატიმრებამდე (1923 წ. მარტი), მეორე–ჩემი თავ–რეობით 1923 წ. მაისიდან აჯანყებამდე. არსები-თი განსხვავება ამ ორ პერიოდს შეუ გამოიხატება შემდეგში:

დამკომი ნიკო ქარცივაძის თავმჯდომარეობის დროს ეჭვემდებარე-ბოდა მასში შემავალ პოლიტ. პარტიებს. უკანასკნელი სწლეტდ-ნენ საკითხებს და ცხოვრებაში ატარებდნენ დამკომის სახელით. ჩემი თავ–რეობის დროს ხდებოდა პირიქით: დამკომი მოქმედებდა დამოუკიდებლად, საკითხს თვით დამკომი წყეტილა, მხოლოდ დასა-დასტურებლად გადაქონდა პარტიულ ცეკვებში. პარტიებს ინიციატი-ვების უფლება არ ეხშობოდათ, მათ შეეძლოთ თავიანთი წარმომად-გენლების საშუალებით დამკომში ესა თუ ის წინადადება შეეტა-ნათ. პარტიები ეხმარებოდნენ დამკომს. ამგვარად პოლიტიკური პარტიები მთლიან არ იყნენ ჩამოშორებული აჯანყების მოწყობის საჭმეს, იგინი იმავე დროს აწარმოებდნენ თავის წმინდა პარტი-ულ მუშაობასაც. ამას გადაჭრით ვაცხადებ მენშევიკურ პარტიის შესახებ.

დამკომის ასეთი კონსტრუქცია და უფლებები აიხსნება იმ დროით და პირობებით, რომელშიც მას უხდებოდა მუშაობა. ქარცივაძის თავ–რეობით არასდროს აჯანყების საკითხი პრაქტიკულად არ დას-მულა. თუ მაინც დაისვა იმ დროს, როგორც ქარცივაძემ განაც-ხადა, მხოლოდ უფრო თეორიულად, ე.ი., რათა გამოერკვიათ რა ძალას წარმოადგენდნენ პარტიები, თუ მოხდებოდა საქ–ში იღე-სმე აჯანყება. როდესაც მე ჩავუდევ დამკომს სათავეში წინან-დელ კომიტეტისაგან არავითარი მემკვიდრეობა არ მიმიღია, არც ორგანიზაციული, არც სამხედრო, ვინაიდან წინანდელ კომიტეტის მუშაობას პერიოდი წმინდა საკონტაქტო ხასიათი პოლიტ. პარტი-



“ათა შორის, როცა მე შევედი დამკომში, იქ დამხედა მისწურული იასონ ჯავახიშვილი, წარმომადგენლები სხვა პარტიების მიმდევარებულების იუნინ. ჩემ შეკითხვაზე—თუ რატომ არ არიან, ჯავახიშვილმა მიძასუხა, რომ „დაჭერის შემდეგ არ აგზავნიან წარმომადგენლებს.“ ამ საკითხის გამორკვევას მე შეუღები, პარტიებთან მოგახდინე მოლაპარაკება რათა მოეცათ წარმომადგენლები, მაგრამ ამას ვერ მივაღწიყ, მხოლოდ „ესერებმა“ გამოგზავნეს წარმომადგენლი, „სხიველებს“ ან ყავდათ კაცი, ფედერალისტებმა ერთხელ გამოგზავნეს წარმომადგენლი.

დამკომმა ჩემი თავმჯდომარეობის დროს აიღო ხელისუფლებას-
თან აქტიური ბრძოლის ხაზი. მას შინ უძლოდა მთელი რიგი
რეპრესიებისა ხელისუფლების მხრივ. მასიურ დაპატიმრებებს და
გადასახლებებს თან მოჰყვა პოლიტიკურების დახვრეტაც. ეს მოხ-
და ობოლაძის მკვლელობის შემდეგ. მთავრობამ კ მკვლელობის
გამო, რომელიც მოახვია საქ. სოც. დემ. პარტიას, მიუხედავად ამ
უკანასკნელის განცხადებისა ფურცლის სახით, რომ მას ამ მკვლე-
ლობასთან არავითარი კავშირი არა აქვს, დახვრიტა ადგილობრი-
ვად გურიაში **150** კაცი და თფილისის ციხიდან გამოიყანეს **92**
პოლიტ. პატიმარი. მე არ მახსოვებ ის დღე, როცა მე შევხვდი
იასონ ჯავახიშვილს და ვუთხარი: დღეიდან ჩვენ და საბჭოთა ხე-
ლისუფლებას შორის ვერარ მოიძებნება საერთო ენა, მხოლოდ
ბრძოლა და ბრძოლა მასთან.

უნდა მოგახსენოთ, მაინც ველილობდით მშვიდობიანი გზით გა-
დაგვეჭრა საქ-ს კომ. პარტიასთან სადათ საკითხები, მიუხედავათ
იმისა, რომ აჯანყების საკითხი დასმული იყო დამკომში... ნ. ხო-
მერიკის დაპატიმრებამდე 1923 წ. საქ-ს სოც. დემ. პარტიის ცე-
კამ მიმართა საქ-ს კომუნისტურ პარტიას და მთავრობას, სხვათა
შორის აძლევდა წინადადებას მოქადანიათ საქ-ში ჩეფერენცუმი
იმის შესახებ, თუ რაგვარ მართველობას ამჯობინებს ქართველი
ხალხი. ამასთან მოვითხოვდით, რომ ჩეფერენცუმი მომხდარიყ
ფარულ კენჭის ჭით, თუნდაც მხოლოდ მუშების და გლეხების
მონაწილეობით, და წინასწარ პირობას ვსდებდით, რომ თუ ამ
კენჭის ჭაში კომუნისტები მიიღებდენ ხმების თუნდა ერთ მესა-
მედს, ჩევნ ვიღებდით ხელს საბოლოოდ ბრძოლაზე საბჭოთა ხელ-
ისუფლებასთან. ამაზე ვგიაბასუხეს „ზარია ვოსტოკაში“ და ჩევნი
წინადადება სიცილადაც არ ეყოთ. მუდამ ასე ხვდებოდა საქა-
რთველოს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ასრ-

"თველ ხალხის მშვიდობიან წინადაღებებს, ჰიტომ ქართველ პოლიტ. პარტიებს სხვა გზა არ დარჩენდათ გარდა იმისა, რომ თუმცა საკუთარი ძალების საშუალებით და ეცროპის დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიური დახმარებით აღედგინათ ქართველი ხალხის შელახული უფლებები და დაებრუნებიათ წართმეული დამოუკიდებლობა. ეს კი შეიძლებოდა მხოლოთ აჯანყების გზით. და კიდევაც 1923 წლის დამლევს შეუდევით ამ საკითხის პრაქტიკულად დასმა- გადაჭრას, ენერგიულ მზადებას.

შესდგა სამხედრო კომისია, რომელსაც დაევალა ორგანიზაციული შხარე. როგორც მოგახსენეთ, დამოუკიდებლობის კომიტეტი მოქმედებდა პარტიებისაგან დამოუკიდებლად და ამიტომ, თუმცა აჯანყების სფეროში თავის დღის შესრიგში დასვა, მაგრამ პარტიების ცეკვაში არ გადაუტანია, რადგანაც ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი. საჭირო იყო ჯერ თვითონ აეწონ-დაეწონა, გაეთვალისწინებია შინაური მდგომარეობა, საკუთარი ძალები, საერთაშორისო სიტუაცია და, როდესაც მიიღებდა დადგენილებას, მხოლოდ შემდეგ საბოლოოდ მისაღებად გადაეტანა პარტიების ცეკაში. ჩვენ დავიწყო ძალების აღნუსხვით. სამხედრო კომისიას მიეცა ავტონომიური უფლებები. ჩვენ არ ვაღებენდით შეიარაღებულ რაზმებს, რაღაც არ იყო არც მიზანშეწონილი და არც კონსაპირატიული მოსაზრებით დასაშვები. ასეთი რაზმები თავს ვერ დაიჭირდენ და ჩაუვარდებოდენ ხელისუფლებას. მხოლოთ ერთადერთ ჩოლოყშვილის რაზმს შეეძლო აშკარად ეარსება, რაღაც ის ტცუში იმაღლებოდა და ხელისუფლება მას ვერ იჭერდა.

ჩვენ ვემაყოფილდებოდით ძალების აღნუსხვით, როგორც თფილი-სში, ისე პროვინციაში. იყნენ არჩეული მხოლოდ ათის თავები, რომლებიც ცალ-ცალკე იყნენ დაკავშირებულნი სამხედრო კომისიასთან. მომავალ მებრძოლება არც კი იცოდნენ, იჩილცებოდნენ ისინი თუ არა რაზმში, მაგრამ, ვინაიდან ათის თავებს ყველათ ისინი აღრიცხვაშე აფანილი, საკმარისი იყო, სამხედრო კომისიას აჯანყების ორი-სამი დღით ადრე ეცნობებინა მათთვის, რომ შეიარაღებული რაზმიც მზად ჰყოლოდა... მუშაობის ამგვარ მეთოდს ჰქონდა ის კარგი შხარე, რომ არ ყოფილა აჯანყებამდე არც გამცემლობა და არც დარბევა ჩვენი ძალების. არ იყო სავაჭდებულო, რომ რაზმელი ყოფილიყო უსათუოთ პარტიული, რაზმში ჩაწერა შეიძლებოდა უპარტიოსიც.

ყოველ ქალაქში და პროვინციაში ჩვენ ვცდილობდით შეგვეღგინა

“პარიტეტული კომისია იმავე პრინციპზე, რაზედაც იყო აშენებული დამოუკიდებლობის კომიტეტი. სადაც ასეთ კომისიას ვტკი მოაწეულები. რჩებდენ, იქ გვუვდენ დანიშნული რწმუნებულები. სარესუსტებია ანი რწმუნებული კი გვუვდა მხოლოდ ბათომში, ვიზო ანჯაფარიძე. მუშაობა სამხედრო მიმართულებით მიღიოდა კარგათ. როდესაც დავინახეთ, რომ ჩვენ თითქმის მზათა ვართ, მაშინ აჯანყბის საკითხი დავსვით უკვე გადასაწყებად. ეს იყო 1923 წლის ოქტომბერი, იქამდის ეს საკითხი არ გადავიტანია ცენტ. კომიტეტში სანქციის მისაღებად. იგი გადავიტანეთ ჩვენ პარტიაში ცეკას თავმჯდომარე სეით დავდარინანის დაპატიმრების შემდეგ და ცეკამ კიდევაც დაადასტურა აჯანყბა.

ეხლა გადავდივარ იმაზე, თუ რა დამოკიდებულება გვქონდა ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებთან. არაა მართალი, თითქოს ჩვენ ამ მეზობლებთან მოვაწყეთ მჭიდრო კავშირი აჯანყბაში მონაწილეობის მისაღებათ. არც მუდმივი წარმომადგენლები გვჟოლია იქ. მართალია ჩვენ ვცდილობდით დავვეკირა მათთან მჭიდრო კავშირი, მაგრამ ეს ცდა არ დამთავრდა ჩვენ სასარგებლოდ. სომხეთმა თავიდან უარი შემოგვითვალა. აზერბეიჯანთან გ. ფალავას დაპატიმრების შემდეგ არც გვიცდია კავშირის დაკერა. მხოლოთ ჩრდილო კავკასიასთან ორჯელ გავგზავნეთ რწმუნებული-პირველიდ გიორგი წინამძღვრიშვილი, მეორეთ მ. იშხნელი, მაგრამ, როგორც პირველის მოხსენებიდან, ისე მეორისაგან დავრწმუნდით, რომ ჩრდილო კავკასიასთან არა ვამოვა რა და თავიც მივანებეთ. ამიტომ გადაწყდა, რომ საქ-ლო გამოსულიყო თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობილი.

ამასთან ჩვენ გვქონდა იმედი დასავლეთ ევროპის, ჩვენ არ ვიყვით მომხრენი შეიარაღებულ დაბმარების, ე.წ. შეიარაღებული ინტერვენციის. ჩვენ ვიმელოვნებით, რომ დიდი სახელმწიფონი, როდესაც საქ-ში მოხდება აჯანყბა, გაგვიწევენ დიპლომატიურ დაბმარებას ამა თუ იმ სახით. ჩვენი მუშაობა, განსაკუთრებით საქ-ს დემოკ. მთავრობის, სწორეთ ამ მიმართულებით სწარმოებდა-რათა ევროპის სახელმწიფოებრივი აზრი და საზოგადოებრივი წრების შეგვექნა ჩვენ სასარგებლოთ, და ამ მხრით კიდევაც გვქონდა დამაკმაყილებელი ცნობები.

აი ამისა და ჩვენი ძალების იმედით ჩვენ გადავსდგით ნაბიჯი. ჩვენ ვიუვით საკმაოთ მომზადებული და კიდევაც გავიმარჯვებდ-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
გიგლიოთისა

საქართველოს
მეორედა
ბიპარიტუალი

„ით, თუ არა ის საბედისჭერო შეცდომა, რომელიც უკვე აღნიშნავს ისამნ ჯავახისშვილმა: ესაა ჭიათურაში თითქმის ერთი ფლოთ რე გამოსვლა. სწორედ ამან გადასწულითა აჯანყების ბეჭი. ამ გა- რემობამ გააფრთხილა ხელისუფლება მიეღო დროზე ზომები და ჩვენი მთავარი ამოცანა— ვაზიანში მყოფი მთელი ამიერ-კავკასი- ის არტილერიის აღება-ვერ შესრულდა. ამ ამოცანის შესრულება კი (რაც აუცილებლად შესრულდებოდა) ჩვენ გვაძლევდა უტუარ შანსებს გამარჯვებისას. თფილისი იქნებოდა ჩვენ ხელში და მთე- ლი კახეთი ფეხზე დამდგარი. რაკი ჭიათურა ადრე გამოვიდა, მთავრობა მიხვდა, რომ იწყბა საერთო აჯანყება და სწორედ 28 აგვისტოს დღისით მთელი არტილერია გადმოიყანა თბილისი- საკენ (გამოსვლა კი საერთოთ დანიშნული იყო ღამის ორ საათზე 28-დან 29-დან).

ცნობილია, რომ ყველ ფართო მასიურ მოძრაობაში ადგილი აქვს გამცემლობას. აშკარა იყო გამცემლობა ჩვენი გამოსვლის დროსაც. ჩემთვის დღესაც არ არის გამორჩეული, —რატომ სამხედრო კო- მისიამ, რომელიც დატოვებული იყო თფილისში და, რომელსაც და- ვალებული პქნდა მთელი რიგი ამოცანებისა (ორგანიზაციულად და ტენიკურად საკსებით მოწყაბილი), რატომ ვერც ერთი დავა- ლება ვერ შეასრულა: გარდა ვაზიანის აღებისა, პარამოპლანების ხელში ჩაგდება, ბრონევიკების დამორჩილება-ეს სულ თბილისის გარეთ.

პირველი ჩვენი გეგმა იყო თბილისის აღება და ადგილიც იყო მისი აღება. საბჭოთა ჯარები გასული იყო საზაფხულო ბანაკე- ბში. ჩვენ კი საკმარისად ვიყავით მომზადებული, მაგრამ მთა- ვრობას ალბათ ეჭვი პქნდა აღებული (აშკარაა აქ გამცემლობას პქნდა ადგილი), რადგან 16 თუ 17 აგვისტოს მოულონელად თფილისი გააგსო ჯარებით. გამოსვლა თფილისში ამ პირობებში გამოიწვევდა საშინელ სისხლის ღვრას და ამის თავიდან ასაცი- ლებლად ჩვენ ცენტრი გადავიტანეთ პროვინციაში. მეორე გეგმა, რომელსაც ჩვენ დავადექით, გამოიხატებოდა იმაში, რომ ერთ დღეს და ერთ საათს მთელ საქართველოში გარდა თფილისისა უნდა დაწყებულიყო შეიარაღებული გამოსვლა და ეს ასეც მოხდა, მხოლოდ, როგორც მოგახსნეთ, ჭიათურა ჩემთვის გაუგებარ მი- ზეზების გამო, გამოვიდა ერთი დღით ადრე. თფილის კი ავიღე- ბდით გარედან: პროვინციაში გამარჯვებული ქართლის, კახეთის, ბორიჩლოს შეიარაღებული ძალებით და ვაზიანში აღებულ არტი-



„ლერიის დახმარებით შემოვარტყმდით თფილისს ალყას.

დასავლეთ საქართველოში გამოსვლამ მიიღო ნამდვილი ჩატრონული, მასიური ხასიათი; სამეგრელოში, გურიაში, ქუთაისის მაზრაში (ჭიათურა). კაბ ეთში და ქართლში აჯანყებას, მართალია, არ მიუღია მასიური ხასიათი. აიხსნება ეს, ერთი მხრით, იმით რომ კახეთის გლეხვაცობა არ არის პოლიტიკურად საქმარისად მომზადებული და შეგრძებული, მეორეს მხრით, კახეთი იმედს ამყარებდა ვაზიანზე, და, რადგანაც ჭიათურის ადრე გამოსვლამ გააფრთხილა მთავრობა, დროზე იყო მიღებული ამიტომ ზომები და სასწრაფოთ ჩაქრეს სუსტა დაწესებული გამოსვლა კახეთში. კახეთში და ქართლში აჯანყების ჩატრონამ მისცა მთავრობას საშუალება მთელი თავისი ძალები, რესის ჯარი, გადაეცვანა დასავლეთ საქართველოში და იქაც დაემარცხებია მთელი მოძრაობა.

საბრალმდებლო დასკენაში წარმოლგენილია აგვისტოს აჯანყება, როგორც ავანტიურა, ბოროტმოქმედება ჩადენილი უპასუხისმგებლობირების, თავაღ-აზნაურების და მღვდლების მიერ. ასეთი წარმოდგენა აჯანყებაზე შეიძლება კიდევ ჰერონდათ დამარცხების პირველ დღეებში, ვიღრე გამოირკვეოდა, მაგრამ სასამართლო დარწმუნდებოდა დღევანდელ პროცესში მოწმეებისა და ბრალდებულთა ჩვენებებიდან, რომ აჯანყებას ჰერონია ხალხური, ფართე მასიური ხასიათი, რომ შიგ იღებდენ მონაწილეობას უმთავრესად გლეხობა და მუშები. თვით მახარაძე თავის მოხსენებაში ამბობს: „ვიცოდით, რომ თუ მენშევიკები დაიწყებდენ ამავეს, გურიიდან დაიწყებდენ და ეს ასეც მოხდაო. აქ გამოსვლებს უფრო მასიური ხასიათი ჰერონდა, ვიღრე საღმე, უმეტესობა მაინც გლეხობა იყო.“ მერე, თუ აგვისტოს აჯანყება იყო ავანტიურა-მე გეკითხებით- ხელისუფლებას რად დასჭირდა ეგრე სასტიკად და ულმობელად გასწორებოდა ქართველ ხალხს და დაეხვრიტა ოთხი ათასამდე, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენენ მუშები და გლეხები?

ჩვენ დაემარცხდით, დამოუკიდებლობის კომიტეტი მთლად ჩავარდა. ჩვენ დაგვიკირეს შიო მღვიმის ტყეში, სადაც ვიყვით გასული. მოგვიცვანეს თფილისში: მე, იასონ ჯავახიშვილი, მიხ. ბოჭორიშვილი, გ. ჯინორია. რაც შეეხება მიხ. იშხნელს, ის დააპატიმრეს თფილისში და იმავე ღამეს, 4 ენკენისთვეს მოიცანეს ზაქჩეკაში. ზელა ჩვენ ცალკე მოგვათავსეს ჩეკის სარდაფებში. ჩვენ, რა თქმა უნდა, თავზე ხელს არ დაგვისვამდენ და გამზადებული ვი-



”ყველ დასახვრეტად. ჩემს საკანში შემოვიდა ზაკჩეკის თანამდებობის მარე მოგილევსკი, მან მომცა წინადადება გამეცეთებინა განვითარებულ დება, რომ საქ. სოც. დემ. პარტიამ დაუშვა დიდი შეცლომა, რომ დაიწყო ავანტიურა და ამ ავანტიურაში ჩააბა ხალხი. ჩემთვის აშკარა იყო, რომ სოც. დემ. პარტიისათვის ასეთ დამამცირებელ განცხადებას კომუნისტები გამოიყენებდნენ, მხოლოდ მე სიკვდილისაგან გადამარჩენდნენ, ამიტომ მე კატეგორიულად უარი განვაცხადე. მოგილევსკი რამოდენიმე ხნის შემდეგ მეორეთ შემოვიდა ჩემთან. იგივე წინადადება, იგივე ჩემგან პასუხი. ეს ლაპარაკი ხდებოდა მაღლი ხმით და ესმოდა ჩემ ამხანაგებს. მოგილევსკიმ გაჯავრებულად კარი გაიხურა და ასე ხუთი წამის შემდეგ მე გამომიძახეს საკანილან, შემიჭანეს ლიდ ოთახში, გავსილი ჩეკის მოსამსახურებით. ერთ-ერთ კუთხეში თოკით ხელებ გაკრული იდგნენ ი. ჯავახიშვილი, ჯინორია, და ბოჭორიშვილი. ამათგან დაშორებით ჩემთვის სრულიად მოულოდნელად იდგა აგრეთვე გათოვილი გოორგი ცინცაძე. მომგლიჯეს მე პალტო და გამიკრეს თოვლით ხელები. დამაყნეს ჯავახიშვილის, ბოჭორიშვილის და ჯინორიას გვერდით. იასონ ჯავახიშვილმა მომმართა სიტყვებით: „რაიმე გამოსავალი უნდა მოვნახოთ“. მე ვუპასუხე: ჟელაფერი გათავდა, მე მომეცა წინადადება სოც. დემ. პარტიის სახელით გამეცეთებია განცხადება, რომ გამოსვლა იყო ავანტიურა და იგი მოაწყო პარტიამ, მე უარი განვაცხადე. ჯავახიშვილმა მომიგო, რომ ბერია, საქ-ს ჩეკის თავმჯდომარის ამხანაგი, იძლევა წინადადებას, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამნახოს გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდანამ. მე არ ვიცი, რა გამოსავალზე ლაპარაკობს ბერია, მივუგე მე, მხოლოდ არა ფერი საწინააღმდეგო არ მაქვს გავიგო მისგან წინადადება. ჯავახიშვილმა მიმართა იქვე მდგომ ქართველ თანამშრომელს, რომ მას გადაეცა ბერიასთვის ჩეკი თანხმობა წინადადების მოსასმენათ. არ გასულა ხუთი წამი, რომ მე და იასონ ჯავახიშვილი გაგვიძახეს შენობის სულ ზედა სართულში და შეგვიცვანეს ბერიას კაბინეტში. იქ იქნენ თვით ბერია, მოგილევსკი, მოროზი, შემდეგ შემოვიდა საქ. ჩეკის თავმჯდომარე გვანტალიანი. შესვლისთანავე მივმართე ბერიას: თქვენ თურმე იძლევით წინადადებას, რაში გამოიხატება იგი? ბერიამ განვაცხადა: „თქვენ დამარცხდით, მაგრამ ნაწილობრივ შიგ და შიგ შებრძოლება გრძელდე“.

" ბა. რა თქმა უნდა, ამ დანარჩენ რაზმებსაც ჩვენ მოუღებთ ბლუკ
ლოს, მხოლოდ უბრალო სისხლის დაღრი იქნება აუცილებლიური გადა
ამ შეიარაღებულ ჯგუფების შეჩერება შეგიძლიათ თქვენ, კომი-
ტეტს: გააკეთოთ განცხადება და მიეცით დაფანტულ რაზმებს ჩა-
გვაბარონ იარაღი და მათ ჩვენ ხელს არ ვახლებთ და მასიურ
დახვრეტასაც შეგაჩერებოთ.“ ასეთ განცხადების შემდეგ ჩვენ
აშეარად ვიგრძენით, რომ ჩვენი როლი არ დამთავრებულა, რომ
ჩვენ განვაგრძობთ პასუხისმგებლობას ქართველ ხალხის წინაშე.
ჩვენთვის აშეარა იყო, რომ ბრძოლის გაგრძელება დაფანტულ შე-
იარაღებულ ჯგუფების სახით, მაშინ როდესაც მთავარი ძალები
დამარცხდენ, იქნებოდა ავანტიურა და დამლუპველი ქართველ მო-
სახლეობისათვის. ამიტომ, რაკი ჩვენ გვეძლეოდა საშუალება მი-
გვემართო მოწოდების სახით დაფანტულ რაზმებისათვის, რათა
შეეჩერებინათ ბრძოლა და ჩაებარებინათ იარაღი მთავრობისათვ-
ის, ჩვენ პირდაპირ მოვალეობას შეადგინდა დავთანხმებულიყვით
მოცემულ წინადაღებაზე. მე განუცხადე ბერიას, რომ მისი წინა-
დაღება იმდენათ სერიოზულია, რომ საჭიროა დანარჩენების დას-
წრებაც; მან იმ წამსვე მისცა განკარგულება ამოეფანათ დანა-
რჩენებიც: იშხნელი, ჯინორია, ბოჭორიშვილი. ჩვენ ჭველანი ვის-
ხედით ხელებშეკრული და ასე ვაწარმოებდით მოლაპარაკებას.
მხოლოდ შუა მოლაპარაკებაში რომ ვიყვით, მაშინ მოგეხსნეს
თოკები. მე გადავეცი მოსულებს წინადაღება. ჯინორია დაპა-
ტიმრეს დასავლეთ საქართველოში და იყო იქაურ მდგომარეობის
კურსში და გზა და გზა თფილისისაკენ. რა ხდებოდა, ისიც იც-
ოდა, გააკეთა პატარა მოხსენება, სადაც აღნიშნა, რომ მრავა-
ლი ხალხი დაჭრილია, განაგრძობენ ჭერიას, იხვრიტებიან მასიუ-
რათ, თვითონ იყო ამის მოწმე, და რიგში დგანან დასახვრეტადო.
მოწოდებას ექნება მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, თუ ახლავე შე-
სდება დეკლარაცია, მისი ცოტა ხნის დაგვიანება დაუკარგავს
მას ყოველივე ფასსო. ვიდრე გამოქვეყნდებოდეს ეს მოწოდება,
საჭიროა ამ წუთშივე, ამაღამევე იქნეს გაცემული ბრძანება შე-
აჩერონ მასიური ხერეტა. ამაზე ბერიამ გვიპასუხა: „თუ კომი-
ტეტი დათანხმდება დეკლარაციის გამოშვებაზე, ამ წუთშივე ჩვე-
ნი თანდასწრებით პირდაპირი მავთულით მთავრობა, დაგზავნის
ბრძანებას ხერეტის შეჩერების შესახებ.“ ჩემს შეკითხვაზე, თუ
რამდენათ ჩეკის გადაწყვეტილებას გაიზიარებს მთავრობა—მიპა-
სუხა, რომ რაც ამ კაბინეტში გადაწყვება, არის ამავე დროს



"მთავრობის გადაწყვეტილებათ. ჩვენ დავთანხმდით. რა აჭმალუნი
და, ჩვენ მივღიოდით რისკზე, დასაშვები იყო, რომ დეკლარაცია
იას დაგვაწერინებდენ და სიტუას კი არ შეასრულებდენ. მართა-
ლია დეკლარაცია მაინც თავის დადებით როლს ასრულებდა იმ
მხრით, რომ შეაჩერებდა უკვე უმიზნო ბრძოლას, რომელსაც გა-
ნაგრძობდნენ დაფინანსული რაზმები, მაგრამ გადარჩებოდა დახვ-
რეტისაგან დაპატიმრებული ხალხი თუ არა, ამის სრული გარან-
ტია არ გვქონდა (ჩვენ რა თქმა უნდა არ ვიცოდით, რომ ხელი-
სუფლებას უკვე ჰყოლოდა ათასობით დახვრეტილი). სიმართლე მო-
ითხოვს ითქვას, რომ თავის დაპირება მთავრობამ შეასრულა:
მე ვიცი უტუარი ფაქტები, რომ სწორეთ იმ ღამეს, როდესაც
ჩვენ ხელი მოვაწერეთ (ეს იყო 4 ენცენისტვეს ღამის მე-4 საათ.)
გაანთავისუფლეს დახვრეტისაგან თფილისაბათომში, სიღნაღში ას-
ობით დაპატიმრებულნი (ამის მოწმებად არიან თვით დასახვრე-
ტია გამზადებულნი). როდესაც დავთანხმდით დეკლარაციაზე, მე
განვატხადე, რომ ჩვენ ამ დეკლარაციას სრულიად არ უკავშირ-
ებთ ჩვენი პირადი დახვრეტის საკითხს, ვინაიდან დეკლარაციას
აქვს მხედველობაში სულ სხვა საგანი. ჩვენ დავიხვრიტებით თუ
არა, ეს მოლაპარაკებაში არ შედის-თქმ. ამაზე
კვანტალიანმა მიპასუხა სიტყა-სიტყით ასე: „თქვენ სწორეთ
სვამთ საკითხს: თქვენი დახვრეტი არ უკავშირდება ამ განცხა-
დებას; ადვილათ დასაშვებია, რომ ამ დეკლარაციას მისცემთ და
თქვენ კი დაიხვრიტებით.“ ჩვენ შეუდევთ დეკლარაციისათვის
დებულების შედეგნას; ჩვენ აღვნიშნეთ ფაქტი ჩვენი დამარცხე-
ბისა და იმ გარემოების, რომ ევროპა არ დაგვეხმარა და მოტ-
ცუებული დავრჩით. ამის შემდეგ ვაძლევთ რაზმებს წინადაღებას,
დაიშალონ და ჩააბარონ მთავრობას იარაღი. მოელ პასუხისმგე-
ბლობას მომხდარ ამბებზე ვიღებდით ჩვენ თავზე. ეს დებულე-
ბები ჩეკამ მიიღო, მხოლოდ მოგვთხოვა შეგვერანა ორი დებუ-
ლება: აგვისტოს გამოსვლები მოგვერათლა ავანტიურათ და ამ ავ-
ანტიურაში მონაწილეთ გამოგვეცხადებია ერის ზედაფენები.
მძიმე იყო ჩვენთვის ამ დებულების მიღება: ამით მარტო ჩვენი
თავისთვის გამოგვმნდა პოლიტიკური სიკვდილის განაჩენი; მე-
ორე, ილახებოდა თვით მოძრაობა; მესამე, კომუნისტები ფართედ
გამოიყნებოდნენ თავის სასარგებლოდ და კიდევაც გამოიყნეს
(ეს ჩვენთვის აშკარა იყო, როდესაც ასეთ დებულებას გვაკისრე-
ბდნენ), მაგრამ, როდესაც მივიღეთ მხედველობაში დეკლარაციის

1924 - 1984

„ეს უარყოფითი მხარე, მეორე მხრივ ის შედეგები, რომელიც
მას მოჰყენდოდა, როგორც დახვრეტისაგან ხალხის გადარჩენა,
უმიზნო სისხლის ღვრის შეჩერება, მოსახლეობის დარბევისაგან
გადარჩენა, ჩვენ ვარჩიეთ „ავანტიურა“ და „ერის ზედაფენები“
სიტუაციების ფასად გადაგვერჩინა ის, რისი გადარჩენა ჯერ კი-
დევ შეიძლებოდა. მით უმეტეს, ყოველი ქართველი, რომელიც
შეგნებულად მიუდგებოდა შექმნილ მდგომარეობას, კარგათ მიხ-
ვდებოდა საქმე რაში იყო და ამასთან სიტუაცია „ავანტიურა“
და „ზედაფენები“ არსებითათ სრულიადაც არ სცელიდა და არ
უკარგავდა აგვისტოს გამოსვლებს მის ნამდვილ ხალხურ და მა-
სიურ მნიშვნელობას. ჩვენ დავმარცხდით, და დამარცხდა აჯან-
ქნა ფიზიკურად, მაგრამ მორალურად გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა!
ამით ვათავებ ჩემ განმარტებას.“

კოტე ანდრონიკაშვილს

გახსოვს შენ წუთი რომ მოგვითრინდა,
შეკრბა ბედენზედ ჩვენი ლაშქარი,
ბერმა ალამი გვიკურთხა წმიდა
და აჯანყების ზარი დაჭკარი.
მთლად საქართველო აღსდგა უკლებლად,
შეგვექმნა, ძმაო, ომი ჩართული,
წუთით ამაღლდა თავისუფლება,
მაგრამ დამარცხ და დროშა ქართული.
მე გამოვიტეც მარცხის მნახველი,
შენ მანდ დარჩენა უფრო გიჭვარდა
და გავიტაცე შენი მახვილი,
დაღლილ ხელთაგან რომ გაგივარდა.
არ იცი ბედი სხვას რას გარგუნებს...
მყევხარ მეტეხში გ ამოკეტილი,
მაგრამ დადგება წუთი კეთილი
და მოჭე კარებს მოგიყაკუნებს.
თავისუფლება აღსდგება მაშინ,
შენსა მეტეხზედ გადაშლის ალამს.

შალვა ამირეჯიბი
(„კავკასიონი“ №13, პარიზი 1968)

ი ა ს ო ნ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ს ი ტ ყ 3 შ ა რ მ ი თ ე ბ ი ლ ი
[წარმოთქმული საქ. უზენაეს სასამართლოში 31.07.1926 წლის დღეს]

უფალნო მოსამართლენო, ბრალმდებელმა ოკუჯავამ ბრძანა: საქმეში არაა ცნობა შესახებ იმისა, თუ სად მოიჩინა ჭრილობა იასონ ჯავახიშვილმა, და ამიტომ წინააღმდეგი ვარ დაკმაყოფილებული იქნეს იმისი სარჩელით. ბრალმდებელს თუ ჰქონდა სურვილი შეეძლო მიეღო აღნიშნული ცნობა საგანგებო კომისიაში, სადაც მე მომარჩინეს, მაგრამ...რა შუაშია აქ ჩემი ჭრილობა? არ მეგონა, რომ მისთანა გამონავარდებას პიროვნულად ჩემს წინააღმდეგ ადგილი ექნებოდა იმ საბრალმდებულო სიტყვაში, რომელშიაც მოითხოვდნენ ჩემს სიკედილით დასჯას; არ მოველოდი ამას განსაკუთრებით იმ ბრალმდებელისაგან, რომელიც ორი საათის განმავლობაში გვიკითხავდა ლექციას გმირობასა და რაინდობაზედ.

მე ჩემს სიტყვაში ა შევეხები სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებსაც ბრალადა გვდებენ, რაღაც ეს საქმეები ყურით მოთხეულია პროცესში და, გარდა ამისა, ამით დაიჩრდილებოდა ის ეროვნული მოძრაობა, რომელიც დღეს დამნაშავის სკამზეა დამული. ვილაპარაკებ მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათის ბრალდებებზე.

მე მაბრალებენ იმას, რომ „ვიყავი წევრი პარიტეტული კომიტეტისა, რომლის მიზანსაც შეაღენდა საქ-ში მუშაობა და გლეხთა მთავრობის ძალით დამხობა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება.“ ესაა მთავარი ბრალდება. პასუხი ამაზე იქნება იმავე დროს პასუხი სხვა, მეორე ხარისხოვან ბრალდებებზე.

უკვე მოგახსენეთ და კვლავ გავიმეორებ, რომ ვიყავი დამოუკიდებლობის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი მისი არსებობიდან უკანასკნელ დღემდე; ვმუშაობდი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმში, ვიღებდი აქტიურ მონაწილეობას აჯანყების შემზღვებასა და ხელმძღვანელობაში...მაგრამ დამნაშავედ ჩემს თავს არა ვცნობ. რატომ? ამის ასახსნელად საჭიროა შევეხო განვლილ მომენტებს, წარსულ ბრძოლას. შევეცდები ჩემს განმარტებაში ავმალლდე იმ პრინციპიაღლურ პოზიციამდე, რომელზედაც იდგა საზოგადოებრივი ბრალმდებელი ქავთარაძე, ვინაიდან სწორედ ეს პოზიცია შეეფერება დღევანდველ ისტორიულ მომენტს და ჩემი ერის ინტერესს.

საზოგადოებრივი ბრალდებელი ამნაირად ხსნის ჩვენს მოძღვანელი ადამ და ევილან იყო ბრძოლა მეორე და მესამე ინტერნაციონალური თა შორის. საქ-ში მოშედარი აგვისტოს აჯანყება-ესაა ერთი ეპიზოდთაგანი ამ ბრძოლაში. თუ ეს ასეა, გაურკვეველია რა კავშირი აქვს ამ საქმესთან ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებსაც ესე გულუხვად დაურიგა სახელმწიფო ბრალდებელმა დახვრეტის მუხლები. ჩვენ არ შევდივართ არც ერთ ინტერნაციონალში და ჩვენი ინტერნაციონალი კი, ჯერჯერობით, ყველ შემთხვევაში არ შევვიტნია? ცხალია, რომ ინტერნაციონალების ურთიერთობით ვერ აიხსნება საქ-ს უკანასკნელი ბრძოლა: არის რაღაც სხვა მომენტი, რომელსაც ბრალდებელმა, განზრახ თუ უნებლიერ, ვვა-რდი აუხვია.

ჭართულ პატრიოტულ ინტელიგენციის ის თაობა, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით, პირველად ეზიარა ეროვნულ-პოლიტიკურ მუშაობას მაშინ, როცა აქ მძვინვარებდა მეფური რუსეთი, რომლის წინა-აღმდეგ ჭართ-ლი ერი აწარმოებდა ეროვნულ ბრძოლას მთელი მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა სივრცეზედ. ჯერ კიდევ 1802 წ. ამხელრდა კახეთი რუსეთთან საბრძოლველად, შემდეგ 1804 წ. მთიულეთის გამოსვლა, 1812-ში კახეთის მეორე აჯანყება. აღსანიშნავია ალექსანდრე ბატონიშვილის და სოლომონ მეფის თავდა-დებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, იმერეთის აჯანყება 1820 წელში, ოცდაათიანი წლების შეთქმულება.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჭართული ეროვნული იდეა საუკუთხესოდ სახიერდებოდა მოწინავე პირთა სიტყასა და საქმეში: გასახსნებელია მეორე დიმიტრი თავდადებული – დიმიტრი ყაფიანი, რომელმაც სამშობლოს გულისათვის რუსი ჯალათი-სგან მოწამებრივი სიკვდილი მიიღო; შემდეგ დიდი ილია, რომელიც 50 წლის განმავლობაში იყო ეროვნულ მოძრაობის დიქტატორი და, რომლის მოხევის სიტყები: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთნოდეს“, გახდა ჩვენი ერის ლოზუნგად.

მეოცე საუკუნეში მომხდარი, ე.წ. რუსეთის პირველი რევოლუცია 1905 წ. არ იყო მოკლებული საქართველოს წიაღში ეროვნულ ელუქერს. ამ საუკუნის დამდეგს ჩაისახა და ჩამოყალიბდნენ ჭართული ეროვნული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც შემოკრბენ ეროვნულ დროშის გარშემო. ძველი სიძლიერით ამობოქრდა ჭართველი ერი.

რუსეთის ყაფილ იმპერიის სივრცეზედ მოხდა მეორე რევოლუ-

ცია, რომელიც სხვადასხვანაირად შევიგრძენით შიდა ჭრუსქმებული და საქართველოში: იმ დროს, როცა იქ, რუსეთში სკოლაში იყო შესახ ებ იმისა, თუ რა ხასიათი უნდა მისცემოდა რევოლუციას—იქნებოდა ის პოლიტიკური თუ სოციალური, ბურჟუაზიული თუ სოციალისტური,— ჩვენთვის ნათელი და უდავო იყო, რომ აქ რევოლუცია უნდა ყოფილიყო, უპირველესად ყოვლისა ეროვნული.

ორი დიდი თარიღი ახასიათებს რუსეთის რევოლუციას: 28 ოქტომბერი 1917 წ. და ამავე წლის 25 ოქტომბერი. ქართველების თვის მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პირველს, ისე განსაკუთრებით მეორე თარიღს, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი საკუთარი დღესა-სწაულები: 19 ნოემბერი 1917 წლისა, როცა შეიქრიბა ქართველი ერის პირველი ეროვნული ქილომბა და 26 მთავ 1918 წლისა, როცა გამოვაცხადეთ ჩვენი დამოუკიდებლობა.

ჩვენ ყველანი, განურჩევლად პარტიისა, ვიბრძოდით საქ-ს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. იყო ბევრი შეცდომები პოლიტიკაში. მთ გამოსწორებას ვცდილობდით შინააური საშუალებებით. როდესაც ესე თუ ისე მიშუშდა საერთაშორისო კრიზისები, გადავწყიტეთ დამფუძნებელი კრების დათხოვნა და პარლამენტის მოწვევა, და ის იყო უნდა შევდგომოდით ნორმალურ მუშაობას, თავს დაგვატუდა თებერვლის სუსტიანი დღეები.

რა მოხდა თებერვალში? მართალია, პირველად ზოგი ამბობდნენ, საქ-ში ადგილი ჰქონდა რევოლუციასათ, მაგრამ ეხლა ამ ზღაპარს აღარავინ იმეორებს. ჩვენ ყველანი აქტიური მომქმედნი პირნი ვიყავით თებერვლის ამბებისა და კარგათ ვიცით, რომ მაშინ იყო არა რევოლუცია, არამედ რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა საქ-ზე. რამდენად მართებული იყო რუსეთის ეს საქციელი? ამის შეფასება საჭიროა, რადგან იქიდვინაა აგვისტოს დღეების დასაწყისი.

დამოკიდებულება საქ-სა და ძველ რუსეთს შორის დამყარებული იყო 1783 წლის ტრაქტატზე, რომლითაც საქ-ომ ერთგვარად შეეიზოდა თავისი უფლებები, რუსეთმა კი მიიღო თავის თავზე გარკვეული ვალდებულებანი ჩვენს მიმართ. რუსეთმა დაარღვია ეს ხელშეკრულება, შემდეგ უარპყ კიდეც იგი; საქ-ს უფლება ჰქონდა გაუქმებულად ჩატვალა ტრაქტატი, რის გამო საქ-ს დაუბრუნდა ის მდგომარეობა, რომელიც ჰქონდა ტრაქტატამდე, ე. ი. სუვერენობა, რაც იცნეს რუსეთმა და ანტანტამ. ამიტომ რუსეთის 1921 წლის შემოსევა იყო საქ-ს დამოუკიდებლობის

შელახვა. რომ ისტორიული უფლებებიც არ გვქონდა ჭარბი უფლებების დებლობის გამოცხადებისათვის, საკითხის იყო გვესარტებული ანთენა გადა დემოკრატიულ პრინციპით ერთა თვითგამორჩვევისა.

დამოუკიდებლობა გამოაცხადა საქ – ის ეროვნულმა საბჭომ, სადაც შედიოდნენ ფერები პარტიის წარმომადგენლები და სეიმის წევრები. იგივე აზრი გაიზიარეს ფერები რევოლუციონურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა, და ბოლოს, დამოუკიდებლობა დაადასტურა საქ – ს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც არჩეული იყო ოთხ-ფორმულიანი სისტემით. ესე გამოირკვა ჩვენი ერი და განა ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ ერი ა იყო დაკითხული ამ საგნის შესახებ, როგორც ბრძანებს ბრალმდებელი ქავთარაძე?

საკითხავია, რამდენად მართებული იყო კომუნისტური რუსეთის შემოსევა თვით კომუნისტური თვალსაზრისით; ამისთვის კი საჭიროა ვიცოდეთ თუ როგორ უცხეროდა ეროვნულ საკითხს კომუნისტური პარტია დღიდან მისი არსებობისა უკანასკნელ მომენტა მდე. ჯერ კიდევ 1896 წ. ლონდონის საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესმა მიიღო დადგენილება, რომ დაჩაგრულ ერებს უნდა მიეცეთ უფლება თვითგამორკვევისა. ეს დღულება გამოერია რუსეთის სოც. დემ. პარტიის პირველმა ყრილობამ არი წლის შემდეგ და იმავე პარტიის მეორე ყრილობამ იგი შეიტანა ცალკე მუხლად პარტიის პროგრამაში.

ლენინის თქმით, მეორე ყრილობაზე, ერთა თვითგამორკვევას ჰკულისხმობლნენ პოლიტიკური და არა კულტურული მნიშვნელობით და ესმოდათ ის, როგორც ერის უფლება განცალკევებაზე. თვით ლენინიც ამავე შინაარსა სდებს ამ ცნებაში: „ერთა თვითგამორკვევა არის არა უფლება ავტონომიაზე, არა უფლება ფედერაციაზე, რაღაც ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ზოგელგვარი ფედერაციისა, ეს არის უფლება განცალკევებაზე“-ო, ამბობს ლენინი.

რაღაც, „თვითგამორკვევა“ ბუნდოვანი ტერმინი იყო, ამიტომ ბოლშევიკებმა იგი შეცვალეს ტერმინით: „უფლება განცალკევებაზე“. და ამ უფლებას ბოლშევიკები აღევლნენ მცირე ერებს, არა მარტო კაპიტალიზმის ხანაში, რევოლუციის და მის მიმდევნო მომენტებში, არამედ სოციალიზმის დროსაც. აი რასა სწერს ლენინი 1919 წ. ოქტომბერში თვითგამორკვევის შესახებ წარმოებულ ჯამში: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სოციალიზმის ღალატი იქნებოდა, ჩვენ რომ უარგვევთ ერთა თვითგამორკვევის განხორცი-



ელება სოციალიზმის დროს"-ო.

ლენინმა კატეგორიულად მოითხოვა ჩაგრულ ერთათვის, გვერდის უფლების მინიჭება თემპერატურის რევოლუციის შემდეგ, სახელმძღვანელო 1917 წ. სექტემბერში; ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინის და ჯუღაშვილის ხელის მოწერით, 1918 წ. 2 ნოემბერს გამოსცა „ერთა უფლებას დეკლარაცია“, სადაც სხვათა შორის დეკლარატიულად აღმოჩნდა იყო: 1. რუსეთის ერთა სწორუფლებიანობა და სუვერენობა, 2. რუსეთის ერთა უფლება თვითგამორკვევაზე, თვით განკერძოებამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაფუძნებამდე.“

საკითხს განცალკევების შესახებ, ბოლშევიკების აზრით, სწყვეტს თვითონ ჩაგრული ერთ მარტო და არა მჩაგრულთან ერთად. როცა ნორვეგია ეყოფილა შვეციას, ეს საკითხი გადასწყიტა თვით ნორვეგიამ, ომელიც შვეციაზე ორჯერ პატარაა, და არა შვეციამო, ამბობს ლენინი, და სწყვეტს ამ საკითხს ერთ და არა ესათუ ის კლასიო.

მე-8 ჭრილობაზე ლენინმა ბუხარინის საპასუხოდ განაცხადა: „ჩვენმა პროგრამამ არ უნდა იღაპარა კოს თვითგამორკვევებზე, რადგან ეს არაა სწორი. იმან უნდა სთქვას ის რაც არის. ყველამა ერმა უნდა მიიღოს უფლება თვითგამორკვევაზე, ეს ხელს უწყობს მშრომელთა თვითგამორკვევას. ჩვენ თუ ვიტა ვით, რომ არ ვცნობთ ფინეთის ერს და ვცნობთ მხოლოდ ფინეთის მშრომელთა მასებს, ეს იქნებოდა სისულელე(პუსტიაკოვებიშია ვეშჩ). არ ცნობა იმისა, რაც არის, არ შეიძლება. ის თვითონ გაიძულებს თავის ცნობას.“

ამგვარად, კომუნისტურმა რუსეთმა თავისი შემოსევით შელახა საქ – ს უფლებები და მასთან ერთად მან ნაცარტუტად აქცია კოკომუნისტური პრინციპები ეროვნულ საკითხში.

შეიძლება იმიტომ მოვიდა რუსეთი აქ, რომ საქ – ში ეგულებოდა ანტანტა? ერთ დროს აქ იყო ანტანტა, როგორც სამხედრო ძალა, ბათომის ოლქის ოუბატიაც კი მოახდინა მან, რისთვისაც ვებრძოდით, მაგრამ ამისთანა მაგალითები განა მარტო პატარა საქართველოშია? უზარმაზარ რუსეთში იგივეს არა ჰქონდა ადგილი, როცა სახალინის ნაწილის ოკუპაცია მოახდინა იაპონიამ? მაშა ამის გამო ამერიკა და სხვები უნდა მისეოდენ რუსეთს?

და ბოლოს, რუსეთმა ხელშექრულება დაგვიდვა, როცა აქ იყო ანტანტა, შემოგვესია მაშინ, როცა აქ ანტანტა არ იყო და იმ-

იტომ, რომ ის აქ არ იყო.

ან იქნება იმითაა გამართლებული რუსეთის შემოსეჭა უსრიალისა თომ ჩვენ ვეშველებოლით ვრანგელს და დენიკინს? მაგრამ არც ვრანგელი და არც დენიკინი რუსეთის ზედაპირზე აღარ იყვნენ მაშინ, როცა ჩვენზე წამოვიდა რუსეთი. ისე, რომ ეს „საბუთიც“ არა საბუთობს.

მაშ რად დაგვიპტერეს? არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება რადეკის გულშრფელობაში, როდესაც ის მესამე ინტერნაციონალის შეერთებულ ქრებაზე აცხადებს: „რუსეთმა იმიტომ დაიპტო საქართველო, რომ უნდა უზრუნველეყო ნავთის მისადგომი გზებით.“

როცა პოლონეთი შეეცადა ერთვარად შეელახა დანციგის უფლებები მარკის საკითხში, რუსეთის კომუნისტურმა პრესამ დიდი აურზაური მორთო: პოლონეთი ჩაგრავს დანციგს, თვით რუსეთი კი თავით ფეხებამდე ჭაპავს საქართველოს.

საბუთ. რუსეთი წამოვიდა ჩვენზე ლამაზი ლოზუნგებით, მაგრამ ამ ლოზუნგების ქვეშ ჩვენ დავინახეთ იმპერიალისტური ზრახვანი და საქმენი. კომუნისტურ რუსეთს დაპტონბის საქმეში გვერდში ამოუდგნენ ყველა ჯურის რუსები, როგორც აქ, ისე საზღვარარიეთ.

გაერთიანებულ დამპტონბელ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ერთი კაცი ადგა გაერთიანებული საქ-ლო, ქართველმა ერმა საკადრისი პასუხი გასცა შემოსეულ მტერს... ჩვენს მატიანეში ოქროს ფურცლებითაა შეტანილი ტაბახმელას, კოჯორის, გომის, მუხადირის, გაგრის, სოხუმის, ათონის, საჯავახოს ბრძოლები და თუ მტერმა გვძლია—არა იმიტომ, რომ ერს არ უნდოდა ბრძოლა, როგორც ამას ბრძანებს საზოგადოებრივი ბრალმდებელი. მთავრობამ ვერ გამოიჩინა შორსმჭვრეტელობა, არ მიიღო დროზე თადარივი, ვერ გამოიყნა ერის ძალები. დამარცხდა მთავრობა და არა ერი. ძველმა მთავრობამ მიატოვა საქ—ს სახლვრები, ქართველმა ერმა ხმალი დროებით ქარქაშში ჩააგო და დაუწყო ცდა მოვლენებს...

აქ შესდგა საბჭოთა მთავრობა ქართველ ბოლშევიკებისაგან. საჭიროა მოვიგონოთ, როგორ იქცეოდნენ ქართველი ბოლშევიკები თებერვლის დღეებამდე?

1917 წელს ისინი დაესწრონენ ეროვნულ ჭრილობას; 26 მაისის აქტს ისინი არ იზიარებდნენ და დაიწყვს სხვადასხვა კუთხეებში აჯანყებების მოწყობა, მაგრამ... ფელგან დამარცხდნენ. როცა მათ დაინახეს, რომ ქართველი ერი მათთან არ არის, მაშინ წავიდნენ

საქართველოდან, გამოუქიდვენ რუსეთის ჯარს და ხელი შეუსრულებელი საქ – ს დაპყრობას უცხო ძალის მიერ.

რამდენათ მართვული იყო ქართველ ბოლშევიკების ეს ნაბიჯი თვით კომუნისტურ თვალსაზრისით? სტალინი ამბობს: „ერებს უფლება აქვთ მოეწყონ თავისი სურვილისამებრა; იმათა აქვთ უფლება შეინახონ ყოველნაირი თავისი ნაციონალური დაწესებულებანი, როგორც მაგრე, აგრეთვე სასარგებლო: არავის არ შეუძლია შეერის ძალით ერის ცხოვრებაში“ – მ.

მაშ, როგორ უნდა მოქცეულიყო კომუნისტური პარტია, თუ ის არ იზიარებდა დამოუკიდებლობას? ამაზე პასუხს ვპოულობთ იმავე ლენინის წერილში. „ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების შესახებ“: „თუ ნორვეგიელთა ერის უმრავლესობა მონარქიას უჭერდა მხარს, ხოლო პროლეტარიატი – ჩესპებლიკას, მაშინ ნორვეგიელ პროლეტარიატის წინაშე საერთოდ იყო ორი შესაძლებლობა: ან რევოლუცია, თუ მომწიფებული იყო სათანადო პირობები, ან დამორჩილება უმრავლესობისადმი და ხანგრძლივი მუშაობა პროპაგანდით და აგიტაციით.“ აი, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქართველი ბოლშევიკები.

რუსეთ- საქ – ს ომის შემდეგ საქ – ში ხელისუფლების სათავეში ჩაღვნენ ქართველი ბოლშევიკები. მოსალოდნელი იყო, რომ ხელისუფლება შეეცდებოდა თავისი ფრთხილი პოლიტიკით დაევიწყობინა ქართველ ერისთვის, ამ ხელისუფლების წარმომშობი მომენტები. მართლაც, ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საქ – ში მოხდა ძალაუფლების შეცვლა: ბურჟუაზიის მაგიერ ქვეწის სათავეში ჩაღვნენ ქართველი მუშები და გლეხები, ხოლო დამოუკიდებლობა დარჩა კვლავინდებურად, იმ განსხვავებით კი, რომ წინედ საქართველოს პქრდა ფიქციური დამოუკიდებლობა, ეხლა კი მას ექნება ფაქტიური დამოუკიდებლობათ.

რამდენად შეეგუა ამ დეკლარაციის შინაარსს მთავრობის შემდეგი მოქმედება? პირველ ჩიგში გააერთიანეს რკინის გზა: ამას მოჰყა მოვლენა, რომელზედაც მე-12 ჭილობაზე მოგვითხრობს კოტე ცინცაძე: „იწერენ მუშებს როსტოკიდან, 12 - X დეკემბერთან № 20- 221 დართულ ლოკმენტში უნდენ, რომ კავკასიის საჭიროებისათვის აუცილებელია აგენტები: საზოგადო ნაწილისთვის ერთი უფროსი, სამი მისი ამხანავი, 34 ტეხნიკოსი, 22 გზის უფროსი ხელოსანი, 199 საამხანავო სტაროსტა, 6 ზედამხედველი, 396 გზის დარაჯი, 317 ხელოსანი, 180 სამატარე-

ბლო დარაჯი, 4 ხილის დარაჯი, 3 საწყაბის გამგე, 6916 კუტენი ნტის მუშა, 2209 შავი მუშა, 182 ასენიზატორი, 24 მოლისტიური მწმენდელი, ერთი საქმის მწარმოებელი, 33 მწერალი, 14 უფროსი მოანგარიშე, 32 მოანგარიშე, 153 კანტორის გამგე, 110 მემანქანე, 16 უფროსი. 15 000 კაცამდე გამოწერილია ადგილობრივ ელემენტების შესაცვლელად. აი, როგორ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლება თავად-აზნაურობას!

თავმჯდომარე : ბრალდებულო ჯავახიშვილო, გაძლევთ შენიშვნას : თქვენ უფლება არ გაქვთ მოიყვანოთ ისეთი საბუთები, რომლებიც არაა დართული საქმეში.

იასონ ჯავახიშვილი : ციტატა, რომელიც მოვიყანე ამოღებულია მეთორმეტე კონფერენციის ოფიციალურ ანგარიშიდან. საზოგადო ბრალდებულმა აქ არა ერთი საბუთი მოიყანა იმისთანა, რომელიც არაა საქმეში. მაშ მეცოდინება, რომ შეზღუდული ვარ თავდაცვის უფლებებში.

თავმჯდომარე : განაგრძეთ.

იასონ ჯავახიშვილი : ამ კონაწერიდან გამომდინარეობს ის, რომ საქ – ში თავადები და კაპიტალისტები კი არ შესცვალეს ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, არამედ ქართველი მუშები ჩამოაგდეს და მათი ადგილი დაიკირდეს რუსმა მუშებმა.

შემდეგ, ახალმა ძალაუფლებამ დაიწყო ექსპერიმენტები ქართულ ეკლესიის მიმართ. მიუხედავათ იმისა, რომ გამოაცხადეს სინიდისის თავისუფლება, დაიწყო ჩვენი რელიგიის უდიერად დეცნ. ძალით დაპკეტეს ქართული ეკლესიები, რიცხვით, თვით გაზეო „კომუნისტის“ ცნობით, 1 500, დაუკეტავი დარჩა არა უმეტეს 15-სა, აიძულებდნენ მღვდლებს გაკრეპილიფნენ. არ გვაკმარეს, შეურაცხვეს საფლავი დავითისა და კონსტანტინესი, რომელნიც იჯვნენ არა საეკლესიო, არამედ ეროვნული გმირები: ამით შეაგინეს ჩვენი ეროვნული გრძნობა. რად მიმართავდა ხელისუფლება რეპრესიებს საქ – ს მართლმადიდებელ ეკლესიის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ სარწმუნოება არ ეგუება კულტურას? საფრანგეთი, ინგლისი ჩვენზე კულტუროსანი ერებიდ მაგრამ სარწმუნოებისათვის იქ ხელი არ უხლიათ. იქნება ეკლესიას ადგილი არ ჰქონდეს საბჭოთა ქვექებში? აზერბეიჯანში არცერთი მიზგითი არაა დახურული. სომხეთში, როგორც სხიანს მიასნიკოვის წიგნიდან : „სომხური პოლიტ. პარტიები საზღვარგარეთ“, დაკეტილია მხოლოდ რამდენიმე ეკლესია საბჭოთა რუსეთში კი, თითქმის ყველა ეკლე-

სია ლიაა, და გარდა ამისა, იქ სპეციალური სემინარიებია, მლებიც მღვდლებს ამზადებენ.

ან შეიძლება, ამ დევნით უნდოდათ დაეხშოთ სარწმუნოებრი-
ვი გრძნობები? მერე მიაღწიეს ამას?!

ქართველმა ერმა ქართულ ეკლესიის დევნაში დანახა ვოსტორ-
გოვების მოვლინების საშიშროება და მართლაც რუსეთის „ცხოველი
ეკლესია“ შეეცადა კვლავ გაბატონებულიყა აქ და საქ - ს ეჭლე-
სია გამოეცხადებინა თავის ეპარქიად.

აერი მიდგა საქართველოს ტერიტორიაზე: რუსეთმა დაუთმო
ანგორას ჩვენი უძველესი ტერიტორია: ბათუმის ოლქის ნაწილი,
არტანი და ამგვარად მოურიგდა მას საქართველოს ხარჯზე.

არ დასტოვეს უსაჩუქროდ სომხებიც. რუსეთმა, რომლის ფარგ-
ლებში შევიდა გასაბჭოებული სომხეთი, იცნო საქ - ს კუთვნი-
ლებათ მთელი ყაფილი თფილისის გუბერნია - 1920 წ. 7 მაისის
ხელშეკრულებით. საქ - ს დაპყრობის შემდეგ კი მისცეს სომხებს
თითქმის მთელი ბორჩალოს მაზრა თვით ხრამიდე. რატომ?
ლორი ი სტორიულად ჩვენ გვეკუთვნოდა, ბუნებრივად ჩვენ საზღ-
ვრებში შემოდის, ეკონომიკურადაც, და ამას კომუნისტებისათვის,
როგორც მარქსისტებისათვის, გადამჟრელი მნიშვნელობა აქვს -
საესებით საქ - სთანაა დაკავშირებული. მართალია, სომხები სკა-
რბობენ იმ კუთხეში ქართველებს ჩიცხით, მაგრამ ეს უმრავლე-
სობა ხელოვნურადაა შექმნილი რუსების მიერ; და შემდეგ, თუ
კი წმინდა ქართული სოფლები შეიძლება შევიდენ ასეთში, რად
უნდა იყოს დაუშვებელი სომხური სოფლების დატოვება საქართ-
ველოს საზღვრებში?

აზერბაიჯანს ჩვენთან არაფერი სადაც არა ჰქონდა, უნდა გა-
გვენაწილებინა მხოლოდ ზაქათალა...ძლად მიაჩეჩეს აზერბაიჯანს
სილნალის და თფილისის მაზრების ნაწილები და ზედ დაურთეს
დავით გარეჯის სავანეც, რაც ათავრით არაა გამართლებული.

და ბოლოს, ბუდუ მდივანმა მოსკოვში ოფიციალურად განაც-
ხადა: „ისე მოვაწერე ხელი სომხეთ-საქართველოს ხელშეკრუ-
ლებაზედ ტერიტორიის შესახებ, რომ არც კი წამიკითხავს.“
რამდენად სახელმწიფოებრივად მოქცეულა მდივანი, როცა თვალ-
დახუჭულად აწერდა ხელს ამისთანა პირველხარისხოვან დოკუმ-
ენტს, სჩეს თუნდაც იქიდან, რომ ამ ათიოდე თვის წინად
ამიერ-კავკასიის ფერა ცენტრებმა აღძრეს შუამდგომლობა რუ-
სეთის წინაშე, რათა პილენკოვო შეერთებიათ აფხაზეთისათვის.

1924 - 1984



რუსეთმა რამდენჯერმე გამოგზავნა კომისია, რომ გამოცხადოთ თავისი დას-
ტური... აი როგორ იქცევა ის უზარმაშარი რუსეთი, რომელსაც
ერმაკებმა ხელის ერთი მოქნევით შემოუერთეს უშველებელი ცი-
მბირი... და ჩვენი პატარა საქართველო კი რა იოლად უთმობს
სხვებს დიდ ტერიტორიას, რომლის ყველი გოჯი მორწყულია ჩვე-
ნი მამაკაპათა სისხლით.

ეხლა გადავიდეთ ფედერაციაზე. პირველ ხანებში გამოცხადდა
საქ – ს დოკუმენტებლიბა და საბჭოთა საქ – ი, ბუნებრივია, „შე-
უკავშირდა“ საბჭოთა რუსეთი. შემდეგ შექმნა ორსართულიანი
ფედერაცია. რატომ ამ შევიდა საქართველო უშუალოდ საკავშირო
ფედერაციაში? სტალინი მის შესახებ მობის : „საქიროა შენარ-
ჩუნება ამიერკავკასიის ფედერაციისა, როგორც ეროვნული ზავის
ორგანოს [ე.ი. ზავი საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის შო-
რის ამ. კავკასიაში და ამ ერთა შორის თვითეულ დასახელებულ
ერთეულებში], ეს კავშირი ართმევს საქართველოს პრივილეგიურ
მდგომარეობას. ეს პრივილეგიებია : თბილისი, როგორც რკინის
გზის კვანძი და ბათუმის ნავსადგური, რომლებსაც უაღრესად
საქიროებენ აზებეიჯანი და სომხეთი; საქართველოს კი შეუძლია
ბოროტად და მეზობლებისათვის საზიანოდ გამოიყენოს ეს მდგომა-
რეობა...“ რამდენად სწორია ეს მომწურავი აზუმენტაცია? ბა-
ქოს ნავთი ესაქიროება უკრანის, ხოლო აქედან განა გამომდი-
ნარეობს ის დებულება, რომ უკრაინამ და აზერბეიჯანმა უნდა
შეკრან წინასწარი ფედერაცია? რკინის გზა, მისი კვანძები
და სადგური გადავიდა საკავშირო ცენტრის ხელში, ულოლიკობა
არაა, რომ საქართველოს დაუწყო იმ პრივილეგიების წარმევა,
რომლებიც საკავშირო ცენტრსა აქვს?

ან იქნება ამიერკავკასიის ფედერაცია მართლა ერთა სოლიდა-
რობის განსამტკიცებლად უნდა არსებობდეს? აზერბეიჯანში, სომ-
ხეთში და საქ – ში ხელისუფლება მუსავატელებს, დაშნაკელებს
ან ეროვნულ დემოკრატებს რომ ჰქონოდათ, მაშინ ასე თუ ისე
გასაგები იქნებოდა კომუნისტების ეს მტკიცება, ვინაიდან ისინი
ყოველთვის მხობლენ, ვითომ ჩვენ ხელს ვუშლიდეთ ეროვნულ
სოლიდარობას... მფრამ საბჭოთა სისტემის არსებობა და ამ ქვე-
ბის საერთო ფედერაციაში უშუალოდ შესვლა ნუთუ არ უნდა
ყოფილიყო, მათი აზრით, ერთა სოლიდარობის საკმაო გარანტია?
მერე, ჩამოაგდო ერთა სოლიდარობა ამ ფედერაციამ? არასოდეს

ეროვნული შუღლი და მტრობა არ ყაფილა იმ დონემდე ასული როგორც ეხლა და ამას თვით კომუნისტებიც არ მაღალ ამიერ-კავკასიის დაარსებით საქ – ს წართვა არა პრივილეგი-ები, არამედ დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნასახი.

შესაძლებელია სოჭვან, რომ ტერიტორიის ასე გამიჯვნას, ფე-დერაციას და სხვას მარქსიზმი და ლენინიზმი მოითხოვს. საკმარისად ვიცნობ ამ მიმართულებებს და გადაჭრით ვაცხადებ, რომ თქმა იმისა, ვითომ ან ერთი ან მეორე მიმართულება მოი-თხოვდეს, რათა ჟელგან და ჟელას ქართველი ერის ინტერესები ეწირებოდეს, ცილისწამება იქნებოდა ერთისაც და მეორისაც. ვთქვათ, რომ კომუნისტების თვალსაზრისით ეს ასეც უნდა ხდე-ბოდეს და ჩვენ ვცდებით, მაგრამ აი რას მაბობს თვით ფილიპე მახარაძე: „სახელმწიფო ძალა-უფლება არსებობს არა მარტო კო-მუნისტებისათვის, არამედ ჟელა მუშებისათვის და გლეხებისათ-ვის“ – ღ. ჟელა ამის შემდეგ აი რა მივიღეთ: „ამხანაგებო, ამ-ბობს ფ. მახარაძე, ჟელასათვის ცხადია, როგორი თავისუფლება და დამოუკიდებლობა არის ეს. ჩვენ ხომ ერთი პარტია გვავს, ერთი ცენტრალური ორგანო გვაქვს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ერთი სწერებს ჟელა რესპუბლიკებისათვის ჟელაფერს და იძლევა საერთო ლირექტორებს, თვით პასუხისმგებელ პირთა დანიშვნამდე ამა თუ იმ რესპუბლიკებში, ეს ჟელაფერი გამოდის ერთსა და იმავე ორგანოსაგან; ასე, რომ ამისთანა პირობებში თავისუფლე-ბაზე, დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი თავისთავად უკვდად გაუგე-ბარი დებულებაა!“ და ბოლოს ფ. მახარაძე დაასკვნის: „მხანაგე-ბო ჩვენ დავაწესეთ საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლება არა იმისთვის, რომ აგველოთქებით სახელმწიფო, რომელსაც ასე თუ ისე იქ (საქართველოში) არსებობდა, არამედ, რომ მასები საბჭო-თა სისტემისათვის გვეზიარებინა. გამოქვეყნებული იყო დამოუკი-დებლობა და ჩვენ რაიმე უნდა გაგვეკეთებინა“ – ღ.

ამგვარად, იმ ცვლილებათა დედა-აზრი, რომელიც მოხდა აქ თებერვლის შემდეგ, ფაქტიურად მდგომარეობს არა ხელისუფლე-ბის შეცვლაში, რასაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, არამედ საქ – ს დამოუკიდებლობის გაცამტვერებაში. ამ გარემო-ებამ თვით ქართველ კომუნისტების რიგებში გამოიწვია გადამ-ხრელობა, ე. წ. „უკლონიზმი“, ქართველი ერი კი აიძულა დად-გომოდა აჯანყების გზას.

ხალხის გამოსვლებს პირველ ხანებში ჰქონდა სტიქიური ხასი-

ათი: ხალხმა დაინახა მტრის შემოსევის საშინელება დაწილებული
შედეგები და დაწყუ სხვადასხვა კუთხეებში თავისი პჯინულები.

აჯანყდა სვანეთი 1921 წ. საქ-ოს დამოუკიდებლობის კონ-
ტერს აბრალებენ არა მარტო იმას, რაც მის დაარსებამდე მოხ-
და, არამედ იმასაც, რასაც მის ლიკვიდაციის შემდეგ ჰქონდა
ალაგი, მაგრამ სვანეთის პირველ გამოსვლაზე არას ამბობენ.

აქ მოვისმინეთ მიზეზი სვანეთის აჯანყბისა: სვანეთს ძალას
ატანდნენ, თქვენ ქართველები არა ხართ, ამიტომ მოითხოვთ,
რომ რუსეთმა უშუალოდ შეგიეროთოდ. ვერ გამიგია: თუ სვანები
ქართველები არ არიან, მით უმეტეს რუსები ვერ იქნებიან....
და ან როგორ ეწეოდა ანტი-ქართულ პროპაგანდას ქართველი ხე-
ლისუფლება, თუნდაც კომუნისტური ?

ბევრ ადგილას ტქუში პარტიზანული რაზმები გავიღნენ, სხვათა
შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. აქა სთკვეს ვითომოც ჩოლოყაშვი-
ლი ჩვენი პარტიის კარნახით გასულიყოს. ამ მტკიცებას აფუძნე-
ბენ სვიმონ ყაფიანის ჭერილებით ჩვენებზე. მაგრამ მოწმე მიხე-
ილ ჯავახიშვილმა დატევორიულად უარჲო, რომ თითქოს ჩოლო-
ყაშვილზე პარტიას ასეთი გავლენა მოეხდინოს.

ჩოლოყაშვილი ხელისუფლებამ აიძულა, რომ ეს ნაბიჯი გადაედ-
გა. ჩვენმა პარტიამ მის რაზმთან კავშირი მხოლოდ შემდეგ დაი-
კირა. სახელმწიფო ბრალმდებელი შეეცადა წარმოედგინა ჩოლოყა-
შვილი, როგორც მძარცველი, კაცის მკვლელი; გაიხსენა მისი წარ-
სული: წინად აღიტუანტი იყო, შემდეგ სასურათო კომისარიატის
რწმუნებულიო. ჩემი ზნეობრივი მოვალეობა განვაცხადო, რომ
ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ეროვნუ-
ლი მებრძოლი და საუკეთესო პარტიზანი იყო შიშველ-ტიტველი,
მშეერ-მწყურვალი ის სამ წლის განმავლობაში იბრძოდა საქ- ს
დამოუკიდებლობისათვის და, როცა დამარცხდა, გახსნილ ალამით
დასტოვა ჩვენი მიწა-წყალი. მან პირნათლად შეასრულა მოვალე-
ობა სამშობლოს წინაშე.

წინადაც ჩვენში ასე იყო, როცა მტერი შემოგვესოდა ხოლმე,
საუკეთესო მამულიშვილნი გაიხიზნებოდნენ ტქუში და იქიდან იწ-
ყბდნენ პარტიზანულ ბრძოლას. მოიგონეთ თუნდა ის, რომ ლუა-
რსაბ და სვიმონ მეფეები ერთი საუკუნის განმავლობაში აწარ-
მოებდნენ პარტიზანულ ბრძოლას და ამის გამო შეუნარჩუნეს
საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა.

თავისით აჯანყდა ხევსურეთიც. აქ ბრალმდებელი ამტკიცებს,

რომ ხევსურეთის აჯანყება ნაკარნახ ევი იყო დამოუკიდებელი და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტების მიერ, სამფერის ბრძანებიდან ნომერი პირველით, გამორკვეულია, რომ სქეფერი დავით ვაჩინაძეა. საბრალმდებლო დასკვნაში სწერია: „ვარდენ წულუკიძე აჩვენებს, რომ ნომერ პირველ ბრძანების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო თვით იასონ ჯავახიშვილმა.“ გადავათ ვალიერე გამოძიების მთელი მასალა და აღმოჩნდა, რომ ვარდენ წულუკიძეს არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს და ან... შესაძლებელია მას სცოდნდა ეს? აი რა სწერია სქეფერის წერილში: „გასწყიტე ზოგიერთ კავშირი ვარდენთან, რადგან იგი აქტივობის წინააღმდეგია.“ განა დასაშვებია, რომ ვარდენის თანდასწრებით ასეთი რამე დაგვეწერა?

მიხეილ ჯავახიშვილმა აქ აჩვენა, რომ ჩვენ პარტიას არ გაუცია განკარგულება ხევსურეთში აჯანყების მოხდენის შესახებ, რომ სქეფერს კომიტეტის დაუკითხავად მიუწერია და ამ წერილის არსებობაზე გავიგეთ გაზითებიდან.

მერე, სამფერის წერილმა გამოიწვია ხევსურეთის გამოსელა? აქ ამბობდნენ, რომ ხევსურეთის ამბებს ადგილი ჰქონდა 1923 წლის აგვისტოს მიწურულში და სექტემბრის დამდეგს... დანამდვილებით კი თარიღი ა იყო გამორკვეული. ვავსებ ჲ ნაკლს: საქართველოს აჯანყება მოხდა 1924 წლის 28 აგვისტოს; ხევსურეთის გამოსვლა მოხდა 1922 წლის 28 აგვისტოს.

ბრძანება ნომერ პირველში სწერია: „გაცნობებთ, რომ საქ – ს პარტიზანთა მთავარი სამხედრო ოპერატიული შტაბის გადაწყვეტილების თანახმად, ოკუპანტებისაგან საქ – ს განთავისუფლების დროთ დანიშნულია ამ წლის სექტემბრის 27 ვილე 15 ოქტომბრისა. ოპერატიულ გეგმას გამოსვლის დღის აღნიშვნით მიიღებთ ადგილობრივ, სექტემბრის 20, დართულ პაკეტით. სექტემბრის 15-სთვის უსაჟუოდ წარმოადგინეთ თქვენი ოპერატიული მოსაზრებანი და სხვა...“

აქედან ნათლად სჩანს, რომ სამფერის ბრძანება ვერ შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზად ხევსურეთის გამოსვლისა, რომელიც მოხდა 28 აგვისტოს, რომ, პირიქით, ბრძანებაში აკრძალული იყო ნააღრევი და სეპარატიული გამოსვლა.

მიუხედავათ იმისა, რომ სამფერის არ გაუცია ბრძანება ხევსურეთის გამოსვლის შესახებ, ჩვენ პასუხი მოვთხოვეთ დავით ვაჩინაძეს; დამოუკიდებლობის კომიტეტმა კი გასცა ბრძანება აჯან-

ჟების ლიკვიდაციის შესახებ, როგორც ეს საქმიდანაც ჩანს. ამგვარად გამორკვეულია, რომ ხევსურეთი გამოვიდა ჭაველაშვილი კარნახის გარეშე. ესე დაიწყო ერის სტრიქური ბრძოლა!

დაპყობამ და იმ ნაციონალურმა გეზმა, რომელსაც აწარმოებდა აქ ხელისუფლება, აიძულა ქართული პოლიტიკური პარტიები გაერთიანებულიფნენ რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

გაცამტერდა ჩვენი დამოუკიდებლობა, გარეშე ძალამ ჩვენ თავს მოგვახვია შეიარაღებული ბრძოლის იდეა... ბრძოლა დამთავრდა აგვისტო-სექტემბრის დღეებით. ფაქტიური მხარე მე გავაშუქე ჩემს პირველ სიტყაში. აღარ გავიმეორებ.

ბრალმდებელნი თავს გვახვევენ ინტერვენციის მომხრეობას. ამტკიცებენ, რომ ვიღაც სხვა გვიკარნახებდა, გვტრძოლებდა...

აქ დამცველებმა მომწურავად დამტკიცეს, რომ ინტერვენციაზე არავინ ცდილობდა და მას ადგილი არცა ჰქონია.

პირადად მე დავკამაყოფილდები მხოლოდ იმით, რომ წავიკითხავ მემორანდუმს, რომელსაც ხელს ვაწერდით კოტე ქდრონიკაშვილი და მე და, რომელიც მიმართული იყო ინგლის-საქონთა კონფერენციის სახელზე. მემორანდუმი თავდება ამნაირად: „დამოუკიდებლობის კომიტეტი სთხოვს სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომლებიც დაესწრებიან გენუის კონფერენციას, მიიღონ მხედველობაში ეს განცხადება და წინააღმდება მისცენ რუსეთის მთავრობას, დაუყვანებლივ გაიცავონს საქ - ს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარები და ამით საშუალება მისცეს ქართველ უმრავლესობას სურვილისამებრ მოირჩიოს ერის ნებისყოფის მთავრობა...“

ამით ზედმეტად მტკიცდება, რომ მოვითხოვდით არა ეგრძის ჯარების გამოგზავნას, არა ინტერვენციას, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს ინტერვენციის მოხსნას.

აქ დაიღვარა ჩვენი წმინდა ქართული სისხლი და არა სისხლი ზანგებისა, ფრანგებისა, ინგლისელებისა... ზანგრძლივი ბრძოლის პროცესის განმავლობაში ქართველები განუწყვეტელი ხალისთ მიღიოდენ ციხის გზით მეტეხისაკენ, გადასტლების გზით რუსეთისაკენ, ტანჯვის გზით - საბურთლოსკენ. ამ ბრძოლაში ჭელა ქართველები ერთად ვიყვათ: მუშები, გლეხები, ბურჟუაზია და სხვა....

საზოგადო ბრალმდებელმა ბრძანა: „აჯანყება, რომელსაც დამო-



უკიდებლობის კომიტეტი ხელმძღვანებლობდა, პროგრესიული მიზანები ლენა არ იყოთ.“ რატომ? – შიომღვიმის მონასტრიდან უცინდეს აჯანყებათ, სად გაგონილა მონასტერი და ჩევოლიუციათ, სთვა მოქალაქე ოკუჯავამ. ამ სტუდებში რამდენიმე შეფლომაა: აჯანყება ჩვენ სხვა ადგილიდან დაიწყოთ და არა შიომღვიმიდან. ჩვენ ვიჭვით არა შიო მღვიმის მონასტერში, არამედ ტუში, მის მაცლობლად.

რუსეთში ეროვნულ მოძრაობის კერად ხანგრძლივად ითვლებოდა ტროიცეკო - სერგის ლავრა. ამჟამად მსოფლიო ჩევოლიუციის ციტადელი კრემლი, რომელშიც ერთი კი არა, რამდენიმე მონასტერია. ჩემი აზრით არ უნდა ჰქონდეს გადამჭრელი მნიშვნელობა იმას, თუ საიდან დაიწყოთ ჩევოლიუცია. გასახსენებელია, რომ ოქტომბრის ჩევოლიუცია დაიწყო იმ პატივცემულ დაწესებულებით, რომელსაც ერქვა... (აქ სიტყვა აკლია).

აჯანყება არ იყო მასიურიო...ბრალმდებელი ქავთარაძე ბრძანებს: გამოსვლები გურიაში, სეანეთში, იმერეთში მასიური იყო, მაგრამ სამეგრელოში კი არაო, რადგან სენაკი 15-მა კაცმა აიღოო.

ეს არაა სწორი, სენაკზე წავიდა 200 კაცი, აიღო კი პირველში ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა 40 კაცი. კონსპირაციის მოსაზრებასაც, რომ დავანებოთ თავი, რა საჭირო იყო ათასები, თუ სენაკს ორმოცი კაცი აღებდა და ისიც მხოლოდ ყვირილით. ხალხი იმ წამსვე ადგა უჩემდელო ენტუზიაზმით, შეიარაღდა და ოთხი დღის განმავლობაში რამოდენიმე ათასი კაცი უდრიეკად ებრძოდა რუსის ჯარს.

მოქალაქე ოკუჯავამ თქვა: „ხალხმა ოლონდ კი რაიმე სანახაობა დაინახოს და თამამად გამოვთ.“ არც ეს არის მართალი! 1921 წ. 25 თებერვალს თბილისში შემოიჭრა რუსის ჯარი, ქართველები კარზე კი არ გამოვიდნენ და ენტუზიაზმით კი არ შეხვდნენ, არამედ სახლებში ჩაიკეტნენ და გულამოსკვნით ტიროდნენ. დასავლეთ საქ – ში გამოსვლებს უდავოთ მასიური ხასიათი ჰქონდათ. აღმოსავლეთ საქ – ში მოხდა ნაწილობრივი გამოსვლები და თუ აქ აჯანყება გამარჯვებით არ დაგვირგვინდა, ეს ჭიათურის ნააღრევი გამოსვლით აიხსნება და განსაკუთრებით გამცემლობით. ხალხი კი მთლიანად ჩვენთან იყო.

ბოლოს, განა შეიძლება ეჭვის შეტანა აჯანყების მასიურობაში, როცა მსხვერპლი ათასობით ითვლება?

სულ ცოტა რომ ვთქვათ, რამოდენიმე ათასი ქართველი ხომ გა-

მოვიდა ოჯანუბის დროს? და, როცა მასიურობის ასეთი დროის
პრეტენზიებით მოდიან ბრალმდებელნი, რატომ ავიწყდეთ, თუ
25 თებერვალს 1921 წლისა მათ გვერდში ხუთი ქართველიც
არ ჰყოლიათ და საქართველო მათ რუსის ჯარმა დაუჭრო.

ან შეიძლება იმიტომ არ იყო ჩვენი ბრძოლა პროგრესიული,
რომ აჯანუბაში მონაწილეობა მიიღო ყაფილ პრივილეგიურ წო-
დების ხალხმაც? ჩვენი ოჯანუბა უმთავრესად მოახდინა გლეხობ-
ამ, როგორც ამას თვით სტალინი ამოწმებს, მაგრამ არც მუშები
და ყაფილი თავადები და აზნაურები იჯნენ ამ ბრძოლის გარეშე.

„აჯანუბულებს რეაქციონური ლოზუნგები ჰქონდათ, ერთ ადგი-
ლას მათ შოთა რუსთაველის ძეგლი დაამტკრიეს, მეორე ადგილას
გამოაქვეჭეს ლოზუნგი: გაუმარჯვოს ქრისტიანობას!... ამით სა-
ზოგადო ბრალმდებელმა იმ პრინციპიალობას გადაუხვია, რომელიც
ახასიათებდა მის პოზიციას. როგორ? რუსეთის ოქტომბრის რე-
ვოლუციის დროს არა ერთი ძეგლი, არამედ მთელი რუსეთი და-
ანგრიეს....“ გრაბ ნედელი ია” და „ლიუბ ნედელი ია“ და „შემოიღეს!...“ მერე, ამაში იყო ოქტომბრის რევოლუციის დედა-
აზრი? აგრეთვე საქართველოში: განა ძეგლის გატეხა და არ-
აქრისტიანების დაბეჩავება იყო ჩვენი მიზანი? ეს ხომ უბრალო
ექსცესები იყო, ნაძირალათა საქმე და, როგორც გამონაკლისი,
ვერ დაახასიათებს ჩვენ რევოლუციას. ჩვენი ლოზუნგი იყო:
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, და განა ეს რეტროგ-
რალობის მაჩვენებელია?

იტყვიან: როდესაც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად დაბეჩავე-
ბული ერები ებრძებიან იმპერიალისტურ ერებს, ეს პროგრესი არ-
ისო, როცა დაბეჩავებული ერები ებრძებიან ძევევამოსილ საბჭოთა
რუსეთს, ეს რეგრესიათ. ნამდგილად კი ბრძოლა დაბჭობელთა
და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ვინც უნდა იყოს ეს მჩაგვრე-
ლი: შავი თუ წითელი იმპერიალიზმი, -დიდი დადებითი, პროგრე-
სიული მოვლენაა.

აი, რატომ არ ვთვლი ჩემ თავს დამნაშავედ!

მე გავათავე. ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის; აჯან-
უბა წავაგეთ და ისინი, ვინც ამ აჯანუბას ვშესვეურობდით,
წავალო გოლგოთაზე.

მაგონდება ერთი არაბული ლეგენდა: მზემ აღარ გამოანათა
და დაიკარგა. სიბნელეს ვერ შეეგუა ერთი ჩიტი, რომელმაც მი-
ზნად დაისახა ქვეჭიერებისათვის მზე დაებრუნებინა. ამ მიზნით



მან დაიწყო ფრენა სულ ზევით და ზევით და მიაგნო მზეს უცდეს
არ მახსოვეს, მისცა თუ არა ჩიტმა მზე ქვექიერებას. პირი მართვის
ჩიტი კი დაიღუპა... ის დაიწვა მზის სხივებში.

[„დამკომის“ თავმჯდომარის თანაშემწის, ეროვნულ-დემოკრატი-
ული პარტიის ცენ. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, იასონ ჯა-
ვახიშვილის ეს სტუდია, წარმოთქმული, „დამკომის“ წევრების გა-
სამართლების დროს, საქ – ს უზენაეს სასამართლოს წინაშე, გა-
დომვებეჭდეთ, განსვენებულ განონ ნანუკაშვილის ნაშრომიდან:

„პასუხი საქ – ს ოკუპანტებს“, რომელიც განსვენებულ ლევან
ზურაბიშვილის არქივში აღმოჩნდა. გუშაგის რ.]

ა გ ვ ი ს ტ ა ს დ დ ე ე ბ ი

როცა შემოჰკირა შეთქმულთა ზარმა,
ატოკდა გული, შვებით დამთვრალი;
მთას უპასუხა უმაღვე ბარმა,
მოედვა ჭელგან შეტევის ალი.

გარბოდნენ ჩუმად შავი ლანდები...
ცხელოდა სოფელს, იწვოდა მიწა.
გაინაწილეს ამანათები
და ცა უეცრივ ელვამ დაფხრიშა.

წამოიშალნენ ზღვაზე ტალღები,
ქარიშხალს ქშენით მოჰქონდა ქაფი;
ამბოხდა გრძნობა ნატუსაღები,
გაირღვა ციხე და ალაყაფი.

ისმოდა ხმები სწრაფად ნასროლი,
გათენებისას ხალხს არმ ახარებს;
გაევლო ცეცხლის წითელი ზოლი
ლიხის აქეთ და იქეთა მხარეს.

მეფობდა ჭელგან ერთი სურვილი,
ათასი გული ერთ მკერდში სძგერდა;
არ იყო შური, არც სიძულვილი,
მომავალს ჭელა ნდობით უცქერდა.

მაგრამ გრიგალი ვინ შეაჩერა,
დალეწავს ვაზებს სექტემბრის სეტჭა
მახვილმა მებრძოლთ მკერდი დასერა
შეწყდა ფურინა და გულის ფეთქვა.

მუხლებზე ლოცვით დაეცა ცოლი,
დედის გოდება სწვდებოდა ცამდე;
იბრძოდა რაზმი და წინამდლოლი
უკანასკნელი სისხლის წვეთამდე.

დაჭრილი ლომი შველას ელოდა,
მაგრამ არ სურიდა ძალა მართლისა
ეკლიან გვირგვინს ეზიდებოდა
სასაფლაომდე შვილი ქართვლისა.

წალეკა ქარმა ნორჩი წალკოტი,
გადატკადა ხმალი, დაეშვა მეტავი;
მრავალათასი გულდანაკოდი,
წამება, ხვრეტა, ძმათა საფლავი.

ოქროს აქვანი ჩაეშვა ტბაში;
დასწვეს ალამი; გადასჭრეს მაჯა;
საბედისწერო დიდ შეტევაში
პატარა ერმა ვერ გაიმარჯვა.

მაგრამ სურვილი არ გატეხილა რეალურობა
და საქართველო იმ დღეს მოელინა:
მრავლის მოწამე, მხნე მეტეხილან
ასწიოს დროშა აგვისტოელის.

ევტიზი აბულაძე,
„კავკასიონი“ №10, პარიზი 1964.

საუკუნოდ იყოს ხსენება მათი!

1921 წლის ოქტომბერვალ - მარტში ქართული მშე კვლავ ჩაესვენა და
მის შემდეგ 63 წელია მას თავისი სხივები საქართველოზე არ დაუ-
ფრქვევია... მაგრამ ქართველ ერს ბრძოლა არ შეუწყერია. ბრძოლა
განსაკუთრებით ფიცხელი და შეუპოვარი იყო დაპყობის პირველ 3-
4 წლების გრძელობაში და იგი დაგვირგვინდა 1924 წლის აგვისტოს
სახალხო-ეროვნულ აჯანყებით, რომელიც, როგორც კარგად ცნობილია,
ქართველი ხალხის სისხლის მორევში ჩააღრჩეს გამძვინვარებულმა საბ-
ჭოთა ჯალჟაებმა.

მიუხედავად იმისა რომ ამ ჩვენ ეროვნულ ტრადიციაზე ბევრი
თქმულა და დაწერილა, მისი ჟელა დეტალები ჯერ კიდევ არ არიან
მიომწურავად გაშუქებულნი და ალბათ მომავალშიაც არა ერთი აქ-
ამდე უცნობი ფაქტი გამუდავნდება, ქართველ პატრიოტთა მაშინდელ
თავდადებაზე და საბჭოთა ხელისუფლების გულშემზარევ მხეცობაზე.

საუკუნოთაოდ ცნობილია, რომ ჭიათურის აჯანყების დამარცხების
შემდეგ, რუსის საოკუპაციის ჯარმა და ჩეკისტებმა დაპატიმრეს
ჟელა ვინც ხელში მოხვდათ, აჯანყებაში ბრძლდებული თუ უბრალო,
ჩაპერებეს რეინის გზის პირუტყების რონლდებში, ჩაიჭანეს ზესტა-
ფონში, გადააყნეს სანერვეში და აქ ასე რონლდებში კარებ ჩაკვ-
ტილები დახვრიტეს... მაგრამ აღბათ ბევრს არ ეცოდინება ამ საშინე-
ლების ის შემზარავი ეპიზოდი, რომელსაც, 1978 წ. 8 ოქტომბრის
თარიღით, მწერდა ჩემი მევობარი სიმონ ბლიაძე და, რომლის მთა-
ვარი ადგილები მომყავს: „უკან რომ ვიხედები, ტანში ცივი, შიშის
ერუანტელი მივლის; მაშინებს საიქიოს არსებობა; რა ვიცი, იქნება
მართლაც ასევებობს რამე? და რა პირით უნდა შევხვდე, როგორ გა-
ვუსწორო თვალები საიქიოში ჩევნს ძმებს, მევობრებს, ამხანაგებს,
რომ გვენდვნენ, გამოვიდნენ, აჯანყდნენ! ჩვენ კი, ვინც უფრო მო-
საკლავები ვიყვით, ჟელა გადაერჩით: პავლე, ვაკო, ბუკუტა და მე

გადავრჩით; შემთხვევით კი არა, როგორც ზოგიერთი ბრძანებულების, არამედ ხალხმა გადაგვარჩინა, იმან შეგვინახა, იმანგვე უშესაბამის გვიფანა სამშევიღობის და მისმა ნლობამ და სიჭარულმა გაგვაძლებინა ამდენ ხანს. ბევრი კიდევაც შემნატრის, ბეჭნიერი კაცი ვგონივარ, და ეს არის, რაც მარცხვენს: მე აქ ბეჭნიერი და ისინი, ზოგს თოფისთვის ხელიც რომ არ მოუკიდნია, უმოწყლოდ შეეწიონენ საერთო ქართულ საქმეს!

რა უნდა ვუთხრათ შეხვედრისას ნიკოლა ხარშილაძეს, პარმენა სამხარაძეს, კოლა სარალიძეს, აკაკი ლოლაძეს, პავლე გაფრინდაშვილს და რამდენი უნდა ჩამოვთვალო ჭიათურა - საჩხერის რაიონებიდან, 176 კაციდან, ბევრი მხოლოდ ოციოდ გაზაფხულს რომ ითვლიდა ძლიერს, ჩინის გზის ვაგონებში ჩაკეტილები, ზესტაფონის სანერგებში შეცვანილები, პირუტკებივით ამოხოცილნი, მდინარე ჭირილის პირის რიც-სილაში გათხრილ ორმოებში ჩაჭილები; მეგონა რუსებმა დახვრიტეს, უარესი, რუსის პოლკი გარს ერტყა და ქართველ ჩეკისტებს დაახვრეტინა! თუ არ დაგიხოციათ, მათთან ერთად თქვენც დაგხოცავთო, ყოფილა მუქარა. და, როდესაც გაისმა რუსულად ბრძანება: ცეცხლი!-ო, ქართველ ჩეკისტებს ხელი აკანკალებიჲ, სროლი ვერ გაუბედნიათ... მაგრამ გამოჩენილა ერთი სულით და ხორცით მახიჯი, ვინმე კალენიკე კურტანიძე, რომელსაც ეს ბრძანება არც კი ეხებოდა, ჩეკისტი კი არა, უბრალო მილიციონერი, და იმას ბოროტი მეტიჩრობით პირველს უსვრია; შემდეგ სხვებიც აყალიან.... შეზარავი ჭირილი, გმინვა და კვერცხსა დაჭრილების... და, როცა ეს ჯოჯოხეთური ხმაური წყდება და ვაგონების კარებებს აღებენ, დაუკერებელი სანახობა: სისხლის და ხორცის მორევიდან, რომელშიც ირეოდენ დაჭრილი ქართველი ჭაბუკები, გაღმოხტება ერთი ბიჭი, რომელსაც ტკია ას შეხებოდა იმიტომ, რომ ვაგონის ქერის რკინის ხლახლებში შეკუმშულიყა, და სანამ ჩეკისტები გონიერ მოსულან, არჩილა მავარაშვილს (ასე ჩემევია სასწაულობრივად გადარჩენილ ჭაბუკს) მდინარეში შეუტოპავს და მეორე მხარეზე გასულა. მაგრამ, ვაი ამ გადარჩენა! ჭკუაზე შეშლილა და თორმეტი წლის წინად თბილისში კიდევ ცოცხალი იყო, მითხრეს.*

* ამავე დასახვრეტ ვაგონებში იმყოფებოდენ ქალიშვილები: იულია გაფრინდაშვილი და ნინა წერეთელი, რაც შემთხვევით გაიგო ონის ჩეკის თავმჯდომარე სოფრომაძემ. ქალწულთა დახვრეტა სად გავიგონიათო, უკიეინა ჯალათებს, გამოიჭანა ვაგონიდან დახვრეტის წინო,

დაჭრილ-დახოცილები ჩაუყრიათ ორმოებში და დაფენებული და ტები გაქცეულან და დღესაც მოუთხრობენ საქართველოს ფილიან ჟურნალი თველით მხილველ მოწმეთა ნაამბობს : მეორე დღეს მიწა კიდევ ინძრეოდა; ამ საშინელებას, იმ დღეებში სტიქის ულმობელობაც დამატებია: დიდი ნიაღვრის გამო ადიდებული მდინარე ჭირილა ნაპირებიდან გაღმოსულა, ორმოები გაღმოუშლია, ცხედრები ვინ საღ და ვინ საღ ჭალებში ლამსა და ქვიშაში შეურევია, ზოგი კიდევ გაურიყავს და ჭავ-ჭარნების საყორტნად გაუხდიათ - მწერლა გულდათუთ ჭული მეგობარი სიმონი.

176 ქართველი ჭაბუკის ასეთი ტრალიკული ბოლო საქ - ს ისტორიაში იმავე ადგილს დაკავებს და ისევე დაუვიწყარი იქნება, როგორც სამასი არჯველი, ცხრა ძმა ხერხეულიდე, მარაბდის, დიდორის, კრწანისის, ასპინძის, კოჯორის გმირულ ბრძოლებში დაცემულთა სათაფანებელი სახელები.

მათვის პირადი ბედნიერება არ არსებობდა, ჭელაფერი საშშობლოსა და მშობელი ერის ბედნიერებას შესწირეს და ხსენება მათი საუკუნოდ დარჩება, სანამ ერთი ქართველი მაინც ცოცხალი იქნება.

ამოდენა ბოროტება, ცოდვა და დანაშაული ერისა და კაცობრიობის წინაშე დღემდე დაუსჯელია და დავიჯეროთ, ასე დარჩება მუდამ? კითხულობს სიმონი და პასუხსაც თვითონვე აძლევს: ადრე თუ გვიან განკითხვის დრო დადგება, რის ნიშნებიც ნათლად ისახებიან ჩვენი ფირუზი ცის ქვეშ, ზურმუხტ ხმელეთზე: შავი ზღვის ნაპირებიდან სამხრეთ-საათაბაგოზე გადავლით, სამხრეთ-სპარსეთის საზღვრებზე, კასპიის ზღვის ნაპირებზე, მთელ შუა-აზიაზე იაპონიის ზღვამდე, ექვსი ჰასი კილ. მეტ. სიგრძეზედ და ოციოდე კილომეტრის სიღრმაზე, თანამედროვე სამხ. ტექნიკით კბილებამდე შეიარაღებული ექვსი მილიონი ჯარები პირისპირ დგანან და ერთმანეთს ზვერავენ. გრა ისინი ბელურებზე სანალიროდ არიან გამოყანილი? არა, კიდევ ერთხელ გავიარდება... რომელ დიქტატურას უცოცხლია ამ ქვეზად მუდმივად? იქნებ ეს ხვალ არ მოხდეს ან ზეგ,

და გადაარჩინა ორი პატრიოტი ქალწული მოწმებრივ სიკვდილსო, - გვშერს ჩვენი უხუცესი მოღვაწე ვალერიან (ვალიკო) ჩუბინიძე.

რამდენ დედას დაებადებოდა იმედი, ჩემი შვილი შეიძლება გადარჩენილი იყოს. მავონდება, ჩემი და მარგალიტა, იმასაც კი მწერდა ჭუნია იაშვილი, პაოლოს ძმა, გადარჩენილა, მად, ევროპაში სადღაც უნდა ცხოვრობდეს, მოძებნე და შეგვატყაბინეო. დ. ვ.

სულ ერთია ჩვენ მოვესწრებით თუ არა, ჩვენ რწმენით უდარესზეც დიო უნდა ვესალმებოდეთ ჩვენ უთვალავ წამებულთა ხსოფლის მომსახულების გადასახლებში უკრეს თავი, საიდანაც ცოცხალი და საღი თითქმის ჯარავინ დატრუნებულა, მაგრამ ქართველი ხალხის ბრძოლა დამპტომბლების წინააღმდეგ ამით არ დამთავრებულა და არც მისი სისხლისდენა. აქ ჩვენ მიზნად არ გვაქვს ყველას აღნუსხვა მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო ერთი პერიოდი, 1936 - 37 - 38 წწ., საბჭოთა კავშირის ე.წ. „კულტურული რევოლუციის“ ხანა, რომლის შედეგადაც გაანადგურეს ქართული ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც მორღურად ვერ გატეხს, ვერ დამორჩილეს. მათ შორის იყვნენ მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, პოეტი ძმები ტაბიძეები; პაოლო იაშვილმა თვითმკვლელობით დაასწრო, ისე როგორც ჰერუაზე მოსულმა ბუდუ მდივანმა. იმავე სისხლით გუმაძლარი სტლინის მინისტრის შედეგად საქართველოში დატრუნებულ 50-ამდე ყოფილ ემიგრანტს უეცრად ყველას ერთად თავი მოუყრეს და იმავე ღამეს დახვრიტეს, მათ შორის: ჩემი ძმა სიმონიკა, დაიკო წერეთელი, ვახტანგ ოთხმეზური, გოგი მგელაძე, ზურაბ ზელიავა, ლევან ნაკაშიძე-მარტო ესენი რომ დავასახელო, რომელთაც პირიდათ ჰაიდელბერგისა და დარმშტადტის უნივერსიტეტებიდან ვიცნობდი და, რომელთა საფლავები საქართველოში დღემდე მიუვნებელია.

სისხლის მსმელ საბჭოთა ტირანიას გადაურჩა მხოლოდ ქურდიანი (სახელი აღა მჯონდება, ჩემ ძმასთან ერთად სწავლობდა დარმშტადტში საინჟინეროზე). იმ დროს თითქოს შემთხვევით მისი ცოლის მშობლებთან ყოფილა გერმანიაში სტუმრად.

ქართველი ხალხი თავისი არსებობის მთელ სიგრძეზე თავისუფლებას იცავდა, რისთვისაც მან უამრავი მსხვერპლიც გაიღო, მაგრამ საერთო ჯამში ის ყველთვის გამარჯვებული დარჩენილა, მაშინ, როცა მის მოწინააღმდეგე ბევრ სახელმწიფოს მსოფლიო რუქაზე ვეღარ ვნახულობთ. გამორიცხული არ არის, რომ ასეთივე ბედი ეწიოს ჩვენს დღევანდელ მპტომბელ საბჭოთა რუსეთსაც.

სიმონ ბლიაძე
დავით ვაშაძე

1984 წლის მაისი,

აგვისტოს აჯანყების ზოგიერთ
 საკითხებზე

უდავოა : აგვისტოს აჯანყების სათავეები 1921 წლის თებერვლის წაგებულ ოშპი ძეგს და ბუნებრივად თხრობაც იქიდან უნდა დავიწყოთ.

1921 წელში იოლად დამარცხდა ჩვენი მხედრობა. ეს არა იმიტომ, რომ ქართველი ხალხი უკმაყოფილო ყოფილის მენშევეკური მთავრობის და წინააღმდეგი საქართველოს სახელმწიფოს საბჭოთა რუსეთიდან გამოყოფის, როგორც ამას დღემდე ირწმუნება საბჭოთა პროპაგანდა, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება მოუმზადებელი შეხვდა საბჭოთა რუსეთის, მაშინ ჯერ კიდევ შენიღბულ, იმპერიალიზმს, ღროშე და სათანადო სიმაღლეზე ვერ მოაწყო თავდაცვის სამხედრო ორგანიზაცია და შეიარაღება.

მე მგონია, რომ ეს იოლი დამარცხება, ერთ - ერთი სტიმულთაგანი იყო ქართველი ხალხის გადაწყვეტილებისა: ნებით თუ ძალით, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, სამშობლოდან გაეძევებია მოძალადე რუსი და კვლავ გამხდარიყ თავისი თავის ბატონ- პატრონი.

იმისა და დამარცხების დღეებში ცხადი გახდა, რომ პატარა საქართველო მარტოდმარტო იყო მტრულად განწყობილ უზარმაზარ იმპერიის პირისპირ და, რომ საკირო იყო მეგობრების და თანამებრძოლების ძიება.

დამარცხების პირველ დღეებშივე დაიწყო პასიური წინააღმდეგობა და მზადება მომავილ საბედისწერო შეტაკებისა. მზადება ორ ფრონტზე გაიშალა: თვით სამშობლოში და საზღვარგარედ, საერთაშორისო აქენაზე.

1921 წლის 16 მარტს, ქალ. ბათუმში შეკრებილი დამფუძნებელი კრება აღდგნა: მთავრობა გაიხიზნოს საზღვარგარედ და იქიდან აწარმოოს საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებლობის აღსადგენად. ნოე უორდანიას მთავრობამ პარიზი არჩია თავის სარბიელად, საფრანგეთის მთავრობის მიჲ მატიუება მიიღო და იქ დასახლდა. აქვე იმყოფებოდენ კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკველი, ექვთიმე თაყაიშვილი, ზურაბ ავალიშვილი, სამსონ ფირცხალავა, გიორგი გვაზავა და სხვა საქართველოს გარედაც კარგად ცნ მიიღო ლიდერები, რომლებმაც დაუყოვნებლივ გააჩაღეს დიპლომატიური დემარშები და წარმომადგენლობა, როგორც სახელმწიო-

ფონებრივი, ისე საზოგადოებრივი დაწესებულებების წინაშე უმომავალი რესი კი იყო ახლად დაარსებული საერთაშორისო წესრიგის თავისებული ზარის, ე.წ. „ერთა ლიგის“, რომელსაც მსოფლიო ოში გამარჯვებული „ანტანტის“ სახელმწიფოები მეთაურობდენ, —თანაგრძნობის და მხარდაჭერის მოპოვება.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრით, დამატებების პირველ ხანებში მაინც, გამოძახილი მეტისმეტად გულისგამტები იყო. არც ერთ ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ოფიციალური პროტესტის ხმა არ გაისმა მათ მიერ ცნობილი დამოუკიდებელი საქართველოს უმიზეზო დაპტობის საპროტესტოდ. კიდევ მეტი, ინგლისის მთავრობამ მიღებაც კი არ ისურვა სამშობლან დევნილ საქ – ს მთავრობის თავმჯდომარენოე უორდანიასი და მით აგრძნობინა, ჩვენიდან ნურავითარ დახმარებას ელითო. ამიტომაც არის, რომ უორდანია „ჩემი წარსული“-ში მწარედ იგონებს : „დაგბრუნდი პარიზში გულდაწყეტილი. არავინ არავითარ ინტერესს არ იჩენდა, გარდა სოციალისტებისა. არც ერთ სხვა პარტიას თანაგრძნობის რეზოლუციაც კი არ გამოუტანია, არც ერთ მთავრობაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს დაპტობას და მოსპობას შთაბეჭდილება არ მოუხდენია. აშკარა იყო ჩვენთვის, რომ ევროპის საზოგადოება დაღალულია, სხვისი სატკივარი მათ არ სტკივა, არც კი ამჩნევს მას და ცდილობს მხოლოდ ერთს: იყოს თავისთვის წერარათ, უდარდელათ.“

ბატონ ნოეს მიერ აქ მოყვანილი მიზეზი – ევროპის დალლილობა–სწორია. პირველი მსოფლიო ომის ხოცვა-ელეტა-ნგრევიდან ახლად გამოსული დასავლეთი ევროპა, ქართველების ლამაზი თვალებისათვის, საბჭოთა რუსეთს ომს აღარ აუტეხავდენ. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა ინგლის-საფრანგეთის მიერ მხარდაჭერილ დენიკინის, ვრცელის და კოლჩავის მოძრაობებზე.

გარდა ამისა იყო სხვა ღრმა პოლიტიკური მიზეზებიც, რომლებიც საქართველოს მეზუევიკურ-მარქისისტულ მთავრობას სიმპატიურს არ ხდიდა ევროპის ანტი-მარქისისტულ პარტიებისა და მთავრობებისათვის. ქართველ სოციალისტებს არ შეიძლებოდა ერთსა და იმავე დროს თანაგრძნობა და პატივისცემა პქნებოდათ სოციალისტური წრეებისაც და მათდამი მტრულად განწყობილი მთავრობებისაც. ჩვენი ბედი თუ უბედობა კი ის იყო, რომ ძლიერი სოციალისტური პარტიები და მთვრობა გვევდა, ხოლო ერთი ლიბერალური ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მეტად სუსტი, რომლის გავლენა საერთაშორისო არენაზე სრულიად უმნიშვნელო იყო.

1924 - 1984

სამაგიეროდ, როგორც ითქვა, საქ – ს სოც. დემოკრატიული შრომისათვის ბას საერთოდ და მის წარმომადგენლებს: ნოე ეორდანაშვილს, კარლ ჩხეიძეს, ირაკლი წერეთელს და სხ. დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ სოციალისტური ინტერნაციონალის, რომელიც მძიმე-მძიმედ აახლებდა ომის განმავლობაში შეწყვეტილ მოღვაწეობას, და ინტერნაციონალში შემავალ ერების სოც. პარტიების წინაშე. მიუდგომელი გამკითხველი ვერ უარყოფს, რომ ქართული სოციალიზმის წარმომადგენლებს ძალა და ღონე არ დაუზოგავთ, რომ ეს მათი ავტორიტეტი ქართული ეროვნული საქმისათვის მოქემარებინათ. ამ დროს ლენინის რუსეთსაც არ ეძინა და მისი მოკავშირე კომუნისტური პარტიების საშუალებით ქართველებს წყალს უმღვრევდენ, იმ მთავარი არგუმენტით, რომ თითქოს 1921 წლის თებერვალში საქართველოში რუსეთის ინტერვენციას კი არ ჰქონებოდეს ადგილი, არამედ შინაურ სამოქალაქო ომს, რომლის დროსაც კომუნისტებს გაემარჯვებინოთ ბურჟუაზიულ ხელისუფლებაზედ.

მაშასალაშვილი, პირველი ნაბიჯები გადადგმული იქნა ევროპის სოციალისტურ წრეებში, რომელთა საშუალებითაც იმედი იყო საერთოდ საზოგადოებრივ აზრზე და მთავრობებზე ზეგავლენის მოხდენის.

ასე მაგალითად, 1921 წ. მაისში საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტმა გამოიტანა რეზოლუცია. ის მოითხოვდა „საქ – ს დაცლას რუსის ჯარისკაცებისა და მოხელეებისაგან.“

13 ივნისს იმავე წლისა, ქართული დელეგაცია ნ. ეორდანაშვილის მეთაურობით ჩადის ბეჭგიაში, სადაც ბ. დებრიუკერის წინადადებით, სოციალისტური პარტია იღებს რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს: „შეიქმნას საარბიტრაჟო კომისია, რომელშიც შევღენ კომუნისტები და სოციალისტები, საქართველოს საკითხის მოსაგვარებლად. მთელ ბეჭგიაში გამართულ სოციალისტთა და მუშათა მიტინგებზე გამოსული ორატორები სიმპატიას უცხადებდენ საქართველოს და აღუთქვამდენ მხარდაჭერასა და დახმარებას.“

იმავე წლის 22 ივნისს ქ. ბრაიტონში გაიხსნა ინგლისის მუშათა პარტიის წლიური კრილობა, რომელსაც დაესწრო ნ. ეორდანა. კონგრესის რეზოლუცია საქართველოზე ამბობს: „კონგრესი, უცხადებს რა თავის თანაგრძნობას ქართველ ხალხს, გამოთქვამს აწმენას, რომ მას უნდა მიეცეს საშუალება რათა სამხედრო ძალადარანების გაზრშე, თავისუფლად იმართოს ფორმა თავისი მმართველობისა, ის რაც მას სასურველად მიაჩინა. ამიტომ იგი მხარს უჭერს ქართ. სოც. დემოკრატების წინადადებას, შეიქმნას საერთაშორისო შერეული კომისია, რომელშიც შევღენ სოციალისტები და კომუნისტები, და ამ კო-

მისი განვითარების ზედამხედველობის ქვეშ ქართველმა ხალხმა რეფერანციალური საშუალებით გამოიქვას თავისი ნებისუფავა"-ო. ა.შ. და ბრძანებულებელი კომიტეტის სხდომაშ ქ. ბრიუსელში განიხილა საქართველოს საკითხი, მას დაესწრებ: ბბ. კ. ჩხეიძე და ვლ. ვოიტინსკი და კრებამ საბოლოოდ ერთხმად მიიღო: 1. საქ - ს ტერიტორია დაპყრობილი იქნა მოსკოვის ჯარების მიერ და მოსკოვის ხელისუფლებას საქ -ში დანიშნული ჰყავს ხალხისათვის უცხო ხელისუფლება, რომლისამი მცხოვრებლები მტრულად არიან განწყობილი. მსოფლიო პროლეტარიატის თვალში მოსკოვის მთავრობა ერთადერთი პასუხისმგებელია საქართველოს დანგრევისა და იქ გამეფებული ტერორის რეჟიმისათვის.

2. იმ დროს, როცა მოსკოვის მთავრობა მოითხოვს, რომ ის ცნობილი იქნებს სხვა სახელმწიფოთა მიერ, ის პატივისცემით უნდა მოეპყრის სხვა ხალხების უფლებას თუ უნდა, რომ მის უფლებებს სცენ პატივი, და არ უნდა გათელოს ის ელემენტარული პრინციპები, რომ მელნიც საფუძვლად უნდა ედოს კულტურული ერების: ურთიერთობას.

ამიტომ, აღმასრულებელი კომიტეტი კვლავ დაეინიხით მოითხოვს: ა) რომ რესეფის მთავრობამ გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოდან და მით შეძლება მისცეს ქართველ ხალხს თვით გახდეს თავისი ბედის პატრონი; და ბ) წინადადებას აძლევს მეორე ინტერნაციონალის მომხრე ფერა პარტიებს, როცა მათ წინაშე დადგება საკითხი მოსკოვის მთავრობის ცნობის შესახებ, ანგარიში გაუწიონ იმ მცირდო კავშირს, რომელიც არსებობს ამ საკითხსა და საქ -ს დემოკრატიის განთავისუფლების შორის.“

იმავე ხანებში მსგავსი რეზოლუციები იქნა მიღებული საფრანგეთის და ევროპის ფერა სხვა სოც. პარტიების აღმას. კომიტ - ბის მიერ.

ლენინის მთავრობამ ფერა ეს წინადადებები უარყო და განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს მოაწყოს საქ -ს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ყოილობა, რომლის დადგენილებები უკეთ გაგვაცნობენ ქართველი ხალხის გრძნობებს!!!

გენუის საერთაშორისო კონფერენციის მოახლოებასთან დაკავშირებით, საბჭოთა მთავრობამ მოინდომა სოციალისტურ პარტიებთან დაახლოება, რომ მათი დახმარებით მიეღწია საერთაშორისო ცნობისათვის, რაც მას იმ დროს მეტად ესაჭიროებოდა. ამ მიზნით მან ეშმაკობას მიმართა და სოციალისტურ ინტერნაციონალებს საერთო პროლეტარული ფრონტი შესთავაზია. საქართველოს საკითხშიდაც მან ვითომეც შემარიგებელი პოზიცია აიღო.

მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ ორგანოში სერიოზული დრო-ისვა საკითხი საქართველოს შესახებ შერეული კომისიის „შესაქმნელად რომელშიც შევიღოდენ კომუნისტები და სოციალისტები. აქედან კი ეს საკითხი გადავიდა სამი ინტერნაციონალის ეჭვიუტივების კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ბერლინში 2 აპრილს. აქ, მეორე ინტერნაციონალის სახელით ბ. ვანდერველდემ და მაკლონალდმა განაცხადეს, რომ მათთვის ბოლშევიკებთან ერთად საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის მოწვევა და მათთან საერთო ფრონტი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ბოლშევიკები ზოგ სხვა პირობათა შორის დასთანხმდებოდნენ საქ-ში ოკუპაციის მოხსნაზე და ქართველ ხალხს მიეცემოდა საშუალება თავისუფლად ეთქვა თუ რა მთავრობა და რა გვარი წესწყობილება სურდა მას. ყველა ამის გამოსარკვევად კი, ორატორები მოითხოვდენ სამივე ინტერნაციონალის წარმომადგენერლობაგან სააკენტო კომისიის შექმნასა და გაგზავნას საქართველოში. ამ განცხადებას შეუერთდა $2\frac{1}{2}$ ინტერნაციონალის სახელით ბ. ბაუერი. რადეცი, რომელიც კომინტერნის წარმომადგენელი იყო, თავიდან სასტიკად წინააღმდეგი იყო ამ წინააღმდების, მაგრამ, როცა დანარჩენებმა კედელთან მიიმწყდიოს, იძულებული იყო დათანხმაბულიყო. (სხვათა შორის, ამ კონფერენციაზე რადეცი, პირველმა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებიდან, საჯაროდ განაცხადა, რომ „მათ (საბჭოთა მთავრობამ) დაარღვევის საზავო ხელშეკრულება საქ-სთან და ამ ქვეყნას ომის საშუალებით დაეპატრონენ, რადგანაც საბჭოთა რუსეთს ნავთი სკირიაო.“ ირაკლი წერეთლის მოთხოვნით, რომელიც კონფერენციას ესწრებოდა, რადეცის ეს განცხადება ოქმში იქნა შეტანილი.)

და კონფერენციამ საბოლოოდ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამბობდა : „კონფერენცია ადასტურებს სამივე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტების განცხადებას, რომ ისინი მზად არიან მიიღონ და განიხილონ სხვადასხვა მიმდინარეობათაგან წარმოდგენილი მასალები საქ-ს საკითხის შესახებ. კონფერენცია ავალებს საორგანიზაციო კომიტეტს დააგროვოს ამ მასალის დასკვნები და მოახსენოს იგი სამივე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტების მომავალ კონფერენციას.“ ამ რეზოლუციის შესაბამისად შეიქმნა 9 კაცის კომისია, რომელსაც უნდა განხილა ყველა მასალები საქ-ს შესახებ, მაგრამ საბჭოთა მხარეს სრულებითაც არ ჰქონდა განზრახვა ამ კომისიასთან გულწრფელი თანამშრომლობისა; როგორც კი გენუის კონფერენცია დამთავრდა, რუსებმა მიატოვეს სოციალისტურ ინტერნაციონალთან ერთად საერთო ფრონტის შექმნის იდეა, პირიქით, მათ, როგორც ბურუუაზიის“ ფენტებს“ და „ლაქიებს“ სასტიკი ომი

გამოუცხადეს, ხოლო საქართველოში რეპრესიები გააძლიერეს, ერთხელ და სამუდამოდ გაეტხათ ქართველების წინააღმდეგ კანკალებისა და ერთხელი ხალხის ცხარე წინააღმდეგობის, რაც გამოიხატა: სვან-ეთ-რესპუბლიკურის, შემდეგ ფშავ-ხევსურეთის ამბოხებებში, თბილისის მუშების წერილობით პროტესტებში და გაფიცვებში, გენუის კონფერენციისადმი საქართველოს ეკლესიის მწფების ამბრიუნვაში, ბოლოს ერთა ლიგისათვის მირთმეული დამოუკიდებლობის კომიტეტის წერილით, -გამოძახილმა, რის გავრცელებასაც, რა თქმა უნდა, ზოგადმხრივ ხელს უწყობდენ გადმოხვეწილობაში მყოფი მთავრობის და პარტიების წარმომადგენლები, გამოიწვია, არა მარტო სოციალისტური წრების, არამედ აგრეთვე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისა და მთავრობათა სიმპატიების ზრდა ქართველი ხალხის მიმართ.

1923 წლის ჰამბურგის სოც. ინტერნაციონალის კონგრესში, რომლის საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობდა საქ-ს სოც. დემ. პარტიის მრავალრიცხვანი დელეგაცია ირ. წერეთლის მეთაურობით, საქ-ს შესახებ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„კონგრესი დასტურებს მეორე ინტერნაციონალის და სოციალისტური პარტიების ვენის გაერთიანების რეზოლუციებს საქ- - ს შესახებ; ის მოითხოვს საქ- - დან საბჭოთა ჯარების გაყვანას და ქართველი ხალხის სუვერენულ უფლებების აღდგენას.“

აგვისტოს აჯანყების წინ, **1924 წლის თებერვალში**, ქ. ლიუქსემბურგში შეკრებილი გაერთიანებული სოც. ინტერნაციონალის აღმა- სრულებელი კომიტეტი საქ- - ს შესახებ იღებს შემდეგ რეზოლუციას :

“იღებს რა მხედველობაში, რომ საბჭოთა მთავრობის იურიდიული ცნობა ევროპის მთავრობების დღის წესრიგში დგას, აღმასრულებელი კომიტეტი მთავრნებს ინტერნაციონალში შემავალ პარტიებს, რომ თანახმად ჰამბურგის კონგრესის დადგენილებისა, სოც. პარტიები, როცა მოითხოვენ თავიანთ მთავრობებისაგან საბჭ. მთავრობის ცნობას, ვალდებული არიან იზრუნონ, რომ ამ აქტმა ხელი არ შეუშალოს საქ- - ში სამხედრო ოქუპაციის შეწყვეტის შესახებ მოლაპარა- გებას. ეკზეკუტივი მოუწოდებს ჯელა სოც. პარტიებს გასწიონ შე- საფერი პროპაგანდა საქართველოს საბჭ. საოკუპაციო ჯარების მიერ დაცლის სასარგებლოდ. [ჯელა ზემოღ მოყვანილი რეზოლუციები ამო- დებულია აწ განსვენებულ კონსტრინქ (კოწია) გვარჯალაძის წიგნა- კიდეზ: „საქ- - ს სოც. დემ. მუშათა პარტიის მუშაობა საზღვარგარეთ“ პარიზი 1936.]

ახლა, მოკლედ აღვნიშნოთ ევროპის სახელმწიფოებისა ფაქტურული ლიგის განწყობილება საქართველოს საკითხისადმი. როგორც უცნობისა ლია, ჩვენს ქვეყნაში საბჭოთა ჯარების შემოქრის შინ, ერთა ლი- გის საერთო კრებამ საბოლოოდ გაიზიარა ინგლისის წარ- მომადგენლის, პროფ. ფიშერის არგუმენტაცია და დაადგინა, რომ დროებით გადადებლიკო ერთა ლიგაში საქართ. რესპუბლიკის მი- ლების სფიქტი. ეს ნათლად უჩვენებდა იმას, რომ ინგლისი და საე- რთოდ ერთა ლიგის წამყანი სახელმწიფოები მზად არ იყენ რუსე- თის წინააღმდეგ საქ-ს დამოუკიდებლობა დაეცვათ. ეს გადაწყვეტი- ლება ერთი დიდი მიზეზთავანი იყო იმისა, რომ კრემლმა გაბედა საქართველოშე გამოლაშქრება.

მიუხედავთ ამ დაპლომატიური მარცხისა, საქ-ს რესპუბლიკის და- მოუკიდებლობა ფეხს იყიდებდა და ძლიერდებოდა საერთაშორისო სა- რბილზე, 1921 წ. 27 იანვარს მოკავშირთა კონფერენციის უმაღ- ლესმა საბჭომ, რომელშიც შედიოდენ: ინგლისი, საფრანგეთი, იტალ- ია, იაპონია და ბელგია, იურიდიულად (*de jure*) იცნო იგი. მიუ- ხედავთ ამისა, როგორც უკვე ამ წერილის დასაწყალში აღვნიშნეთ, არც ერთმა ამ სახელმწიფომ საჯაროდ საპროტესტო ხმა არ აიმაღ- ლა, როცა რუსეთმა მათ მიერ ცნობილი სახელმწიფო უმიზეზოდ მოს- პო. რაც შეეხება ერთა ლიგას, ის ყოფილი დარჩა ნოე უორდანის, სა- ერთაშორისო საქმეთა მინისტრ ევგენი გიგიშვილის და ჩვენი ელჩების პარიზსა და ერევანში არა ერთ მემორანდუმ-წარდგინებებზე. ამის შესახებ ინტერესს ა იქნება მოკლებული გავიხსენოთ ბ.ივანე ზურა- ბიშვილის სამართლიანი საფედურის სიტყვები : „საქ-ს მთავრობის და საქ-ს ლეგაციის მემორანდუმებმა და თხოვნებმა, ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა საერთაშორისო კონგრესისა და მრავალ სხვა საზოგადოებათა რეზოლუციებმა საქართველოსთვის ამ უბედურ 1921 წელს ვერ დააძრევინეს ენა ერთა ლიგას, – მან ყოფილი ისეთ აღმაშფოთებელ მოვლენას, როგორიც იყო საერთაშორისო ხელშეკრუ- ლობის აშკარა და უმიზეზო დარღვევა და დიდის ერისაგან პატარა ერის დამოუკიდებლობის ცინიკურის ძალმომრეობით მოსპობა(ივ. ზუ- რაბიშვილი: „საქ. საერთაშორისო მდგრმარეობა.“ პარაზი 1936.)

ქართველი ხალხის მზარდება წინააღმდეგობამ საოკუპაციო ხელისუ- ფლების წინააღმდეგ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიო საზო- გადოებრივ აზრზე, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა დემოკრატიულ მთავრობებზე. ამას ემატებოდა სოციალისტური პარტი- ების თანაგრძნობა და მხარდაჭერა საქართველოს სასარგებლოთ. ამ

საყველთაო აღშფოთებამ აიძულა ერთა ლიგის მეთაურობაც, რომ ამ საერთაშორისო მშვიდობის ორგანიზაციას თავისი სიტყვა „ფრჩვა ქართველი ხალხის ტრადიციის შესახებ“. და, როცა ჩვენი მთავრობის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პარიზში, ბ. აკ. ჩხერიძემა, 1922 წ. 26. აგვისტოს, ერთა ლიგის მთავარ მდივანს საქ-ს მთავრობის მემორანდუმი გადასცა, ერთა ლიგის სჲჭოთა და უახლოეს საზოგადო კრებისადმი წარსადგენად : ერთა ლიგის სამდივნომ დადებითად უპასუხა და საქართველოს საკითხი დღის წესრიგში დასვა. საქართველოს დაცვა ითვავა, ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა, ბელგის მთავრობის წარმომადგენელმა, ბ. დე-ბრიუკერმა, რომელმაც შემდეგი შინაარსის რეზოლუციის პროექტი შეიტანა, ერთა ლიგის საზოგადო კრებაზე დასამტკიცებლად :

„ერთა ლიგის საზოგადო კრება აღშფოთებული იმ უსაშველ მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება დღეს საქართველო, მტერშემოსული და მის მკვიდრთა სურვილის წინააღმდეგ დაჭერილი, მოუწოდებს საბჭოს ურადღებით ადევნოს თვალი ქვეჭირების ამ კუთხის ამბებს, რათა ისარგებლოს ყველივე შემთხვევა, რომელიც კი მოეცემა, ამ ქვეჭისათვის ნორმალური მდგომარეობის დასაბრუნებლად.“

ერთა ლიგაში მიღებული წესის თანახმად, ბ. დე-ბრიუკერის რეზოლუციის პროექტი, სანამ საზოგადო კრება განიხილავდა, დასამტკიცებლად გადაეცა ე. წ. მეექვსე კომისიას. ამ უკანასკნელმა ის განიხილა 20 სექტემბრის სხდომაზე, ბ. დე-ბრიუკერის ბრწყნვალე და დასაბუთებული მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, ზელა სახელმწიფოს წარმომადგენელი თანაგრძნობას გამოთქვამდა ქართველი ხალხისალმი, გმობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობას... მაგრამ ინგლისის წარმომადგენელი შიშის გამოთქვამს, რომ ასეთი რეზოლუცია სამხედრო ჩარევას არ გვახვევდეს თავზე და წინადადებას იძლევა, რეზოლუცია შესწორდეს ისე, რომ ნათლად ნათქვამი იყოს: ერთა ლიგის საბჭომ იზრუნოს მშვიდობი ან და საერთაშორისო სამართლის შესაფერ საშუალებებით, რათა ამ ქვეყნას დაუბრუნდეს ნორმალური მდგომარეობათ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ერთხმად მიღების სურვილმა გაიმარჯვა, ინგლისის წარმომადგენლის შესწორება მიღებულ იქნა და კომისიამ საბოლოოდ ერთხმად შემდეგი რეზოლუცია მიიღო : „ერთა ლიგის საზოგადო კრებამ, გაითვალისწინა რა საქ-ს მდგომარეობა, მოუწოდებს საბჭოს ურადღებით დევნოს თვალი ქვეჭირების ამ კუთხის ამბებს, რათა ისარგებლოს ყველივე შემთხვევა, რომელიც კი მოეცემა, და დაეხმაროს მშვიდობიან და საერთაშორისო სამართლის შესაფერ საშუალებით ამ ქვეჭისათვის ნორმალურ

მდგომარეობის დაბრუნებას.“

მეექვეს კომისიის მიერ ერთხმად მიღებული ეს რეზოუტუტის შემთხვევაში, ასევე ერთხმად იქნა მიღებული საზოგადო კრების მიერ. რეზოლუციის მიღებას წინ უსწრებდა მხოლოდ ბელგიის წამომადგენლის ბ. დე-ბრიუკერის მჭევრმეტჯელი წარდგინებითი სიტყვა. ამ სიტყვის ის ნაწილი, რომელიც ქართველებისადმია მიმართული, ზელმეტი არ იქნება ჩვენს მკითხველებს შევახსენოთ :

„....რადგან საქ-ო გაიგებს, რაც აქ მოხდა, ნება მომეცით მივმართო სიტყვით ჩემს მრავალრიცხოვან ქართველ მეგობრებს და მტკიცედ განვუცხადო მათ, რომ საზოგადო კრებაში შემოტანილი რეზოლუცია მათთვის მარტონდენ დაპირებას კი არ შეიცავს, არამედ რჩევასაც, რომელსაც აძლევს მათ : ერთა ლიგა აქ არის; ის წარმოადგენს ჯერ ახალსა და ნაკლულოვან მეთოდს, მაგრამ ისეთს, რომელიც წარმოებაში შედის და, რომლის მნიშვნელობა იზრდება. ამ მეთოდის დანიშნულებაა საერთაშორისო უთანხმოებათა მოწესრიგება სხვა გზით, ვიდრე იარაღისათვის ბრიფულის მიმართვით...ის იმედს გაძლევთ; რადგან იმედი არის, რადგან იცით, რომ დრო სიმართლისა, რომელსაც თქვენ მოითხოვთ, მოვა, თავი შეიკავეთ ისეთ მოქმედებისაგან, რომელიც სასოწარკვეთილებას შეუძლია აღძრას...შეინახეთ თქვენი გულის სილრმეში ის ცეცხლი, რომელიც თავისუფლებისათვის იწვის.“

პირველი დიდი მარცხი

უბრალო თვალის გადავლებითაც ცხადია, რომ ბ. დე-ბრიუკერის პირველ რეზოლუციის ტექსტსა და ერთა ლიგის საზოგადო კრების მიერ საბოლოოდ მიღებულ ტექსტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. უკანასკნელში ხაზგასმულია, რომ „საბჭომ ...დაეხმაროს მშვიდობიან საშუალებებით...“ მაშინ, როცა ბ. დე-ბრიუკერის მიერ კომისიისადმი წარდგენილ რეზოლუციის ტექსტში ნათქვამი იყო: „....ისარგებლოს (საბჭომ) ყოველი შემთხვევა, რომელიც კი მოეცემა...“ ამის გარდა, საზოგადო კრების რეზოლუცია საბჭოს არ უდებს მოქმედების ვადას, საბჭოს შეუძლია პრაქტიკული ნაბიჯი გადაღვას, როცა ის ამისათვის შესაფერ მომენტს დაინახავს. საბჭოს შეუძლია ხელსაყრელ მომენტს ელოდოს რამდენიმე თვე, რამდენიმე წელი და, რატომაც არა, რამდენიმე ათეული წელიც. ამიტომ ერთა ლიგის ეს რეზოლუცია უფრო მორალური, ვიდრე პრაქტიკული ხასიათისაა. ცხადია: უკვე ამ დროს ერთა ლიგის უძლიერეს სახელმწიფოებს, პირველ რიგში ინგლისს და საფრანგეთს, უკანა ზრახვები ჰქონდ-

ათ: მიუხედავათ საქართველოსადმი აშკარა თანაგრძნობისთვის მიზნური სურდათ, რომ ამას მათვეის ხელი შეეშალა საბჭოთა ასტურისთვის მორიგებაში. რეზოლუციის ერთხმად მიღების მოტივით, ბელგიის, შვეიცარიის და სხვა ჩვენი დამოუკიდებლობის ერთგული დამცველი დელეგატებიც დათანხმდენ რეზოლუციის საბოლოო ტექსტის მიღებაზე. ბოლოს და ბოლოს, რა შეეძლოთ ამ პატარა სახელმწიფოების წარმომადგენლებს? თუ ინგლისი და საფრანგეთი უარს იტყოდენ, ისინი ხომ ვერ აუტეხდენ რუსეთს ომს საქართველოსთვის?

მიუხედავათ ასეთი სიკონლისა, და შეიძლება სწორედ ამის გამოც, ერთა ლიგის ამ რეზოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა, ჩვენი აზრით, აგვისტოს ეროვნული აჯანყების მოწყობის გადაწყვეტილებაზე. საქ-ს ეროვნულმა მთავრობამ და სხვა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, როგორც დევნილობაში, ისე ადგილობრივ, სამშობლოში, ყურად არ იღეს ბ. დებრიუქერის პათეთიური გაფრთხილება და,

ევროპის საზოგადოებრივი აზრის, სოცილისტური ინტერნაციონალის და მასში შემავალი პარტიების მხარდაჭერით გამნევებულებმა, გადაწყვიტეს აჯანყების მოხდენა, აღმათ იმ მოსაზრებით, რომ კარგად მოწყობილი სახალხო გამოსვლები საქართველოში, ერთი მხრივ, ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა ერთა ლიგის საბჭოს თუნდაც მშვიდობიანი ჩარევისათვის, და მეორე მხრით, ქართველი ხალხის წინააღმდეგობის მანიფესტაცია, თვით საბჭოთა მთავრობასაც ჩააფიქრებდა და კომპრომისზე უბიძებდა. რომ ჩვენი მთვრობა აჯანყების მომხრე იყო, ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ 1922 წის ბოლოს უცხოეთიდან სამშობლოში ჩავიდა აჯანყების მოსამზადებლად, სოც. პარტიის გამოჩენილი ორგანიზატორი, ნოე ხომერიკი.

მაგრამ ამ დროს უკვე, ჩემი ლრმა რწმენით, საყველთაო ეროვნული აჯანყების გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო, საერთაშორისო მოვლენები სწრაფად ვითარდებოდენ ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო 1922 წლის ფევრალში საქართველომ ხელიდან გაუშვა, მცირე მსხვერპლით რუსეთის ულლის გადაგდების ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა. ამაზე ლირს ცოტა შევჩერდეთ. დამოუკიდებლობის კომიტეტი 1922 წლის მარტში ქმნის „სამხედრო ცენტრს“, გენ. კ. ფეხაზის თავმჯდომარეობით, აჯანყების მხედრულად მოსამზადებლად და სახელმძღვანელოდ. კახეთში ქაშუცა ჩოლოცაშვილის რაზმი არ ასვენებს ხელი-სუფლებას, ქართლში მიშა ლაშქარაშვილის, სახალხო განწყაბილება

საერთოდ მთელ საქართველოში მეამბოხე იყო, ხოლო კუნძულები ხევსურეთში გამოსვლების შეკავება აღარ ხერხ დებოდა. სამხედრო ცენტრს აქვს პოლკ. როსტომ მუსხელიშვილის, რომელიც საბჭოთა არმიის შტაბის უფროსია, ეროვნული აჯანყების სადა მაგრამ ადგილად განსახორციელებელი გეგმა. ამ შეთქმულების და მისი წარუმატებლობის შესახებ მოთხოვნილი იყო „თავისუფლების ტრიბუნა“ №40, 1983 წლის მაისის ნომერში, როცა აღვნიშნეო ჩეკის მიერ 15 მალალი რანგის ქართველი ოფიცრისა და პატრიოტის დახვრეტის სამოცი წლისთავი. მხოლოდ, მაშინ არ შევხებივართ იმ მიზეზს თუ მიზეზებს, რამაც გამოიწვია საქ. სოც. დემ. პარტიის ცაკის ისეთი მტკიცე წინააღმდეგობა მაშინდელ აჯანყებისადმი..

როგორც კარგად ცნობილია, ს. დ. პარტიის ცაკმა მაშინ იფიციალურად განაცხადა: აჯანყება ჯერ ნააღრევია, მისთვის ჩვენ კიდევ მზად არ ვართ. ეს მოტივი სერიოზული და სარწმუნოა, მაგრამ, მე მგონია, საქმარისი და ამომწურავი არ არის. მაშ რა იყო ამაზე უფრო სერიოზული საბუთი, რაც ჩვენს სოციალისტებს თვის აკავებინებდა აჯანყებაზე?

ამაზე პასუხის გაცემა ადგილი იქნება, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს მიერ ზემოდ აღნიშნულ საერთაშორისო ფაქტს: 1922 წლის გაზაფხულზე ლენინის მთავრობამ, კომინტერნის საშუალებით, სურვილი გამოიჩინა სოციალისტურ ინტერნაციონალთან დაახლოების, რამაც დიდი იმედები აღძრა ევროპის სოციალისტურ წრეებში. 2 აპრილს ბერლინში კიდევაც იყრიბება ამ ინტერნაციონალების აღმასრულებელი ორგანოების კონფერენცია, რომელზედაც კომინტერნის წარმომადგენლებმა პრინციპში მიიღეს საქართველოს საკითხის შეთანხმებით მოგვარება და კონფერენციის მიერ შექმნილ „ტრაკაციის შერეულ კომისიას“ დავალა ცნობების შეკრება, თუ რა მოხდა და რა ხდება საქართველოში.

ჩვენ ზემოდ ისიც ვთქვით, რომ ეს შემათანხმებელი იდილია დიდ ხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც შეთანხმება ზოგიერთ დათმობუსაც გულისხმობს, რაც კომუნისტებს არ შეეძლოთ, მაგრამ მან მაინც მოასწრო თავისი ცუდი როლის თამაში აჯანყების საკითხში. იმ დროს, როცა ევროპის სოციალისტურ წრეებში დიდი იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკებით და შერიცვებით მოგვარდებოდა სოციალისტურ და კომუნისტურ ინტერნაციონალებს შორის, მაშინ აჯანყების მოდენა საქართველოში იქნებოდა ამ იმედისათვის უკნიდან

ლანგრის ჩაცემა, რასაც ჭართველი სოციალისტები ვერ ჩაიღინდნენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი შინაარსის უნდა ყოფილიყო ის და-რექტივები, რომელსაც პარიზში მყიფ ეროვნულ მთავრობიდან ღუ-ბულობდა საქ-ს სოც. დემ. პარტიის ხელმძღვანელობა 1922 წლის კახეთ-ხევსურეთის აჯანყების წინ.

მართლაც და, სამი ინტერნაციონალის „ცხრათა კომისია“ ხომ კი-დევ შეიკრიბა 1922 წ. 23 მაისს და იმსჯელა საქართველოში შერე-ული კომისიის გაგზავნაზე, „იქაური მდგომარეობის შესასწავლად და გამოსარტვევიდ.“ რის შემდეგაც, სანდ საბოლოოდ ხილი ჩატვებმ-და სოციალისტურ და კომუნისტურ სამყაროს შორის, ერთ თვეს მა-ინც უნდა გაევლო და ეს ამბავი საქართველოში აჯანყების, 28 აგ-ვისტოს, წინა დღეებში არ ეცოდინებოდათ.

ჩვენი ვარაუდით, საერთაშორისო მდგომარეობის შეტრიალების ამ-ბავი და მასთან დაკავშირებული ახალი პოლიტიკის ინსტრუქციები, თბილისში უნდა მოსულიყო 1922 წლის ბოლოს, რასაც ამინშებს სწო-რედ ამ პერიოდში ნოე ხომერიკის დაბრუნება პარიზიდან და სოც. დემ. პარტიის გაცხოველებული მზადება ამ დღიდან აჯანყებისათვის....

მაგრამ, მაინც, მე მეონია, რომ ლენინთან მშვიდობიანი მორიგების იმედი ჯერ კიდევ არ იყო მთლად მყვდარი ჩვენს სოციალისტ ლიდე-რთა შორის. აღსანიშნავია : ნოე უორდანიას პოლიტიკური ანალიზის მიხედვით, საქ-ს დაპყობა ლენინის საქმე არ იყო, არამედ მის ირგვლივ მყიფ მეორე ხარისხოვან ბოლშევიკების, როგორც სტალინი და ორჯონიკიძე. ჰიტლი საბჭოთა ჯარების შემოჭრის პირველ დღე-ებიდან ლენინის სიკვდილამდე ის იმედოვნებდა, ლენინის მთავრობა-სთან მშვიდობიან შეთანხმებას. ასეთი აზრი გამოსჭვივის განსვენე-ბული მთავრობის თავმჯდომარის მოგონებების წიგნიდან : „ჩემი წა-რსული“. ამ აზრის ის მარტო არ უნდა ყოფილიყო მის პარტიაში.

ამრიგად, უნდა დაგასკვნათ, რომ 1922 წლის კარგ დროს შერ-ჩეული და კარგად დაგეგმილი შეთქმულება ჩაიშალა, არა რომელიმე პარტიის ქვენა მოსაზრებებით, ან ხელმძღვანელთა დოფააპიობით, არამად არსებული რეალური საერთაშორისო მდგომარეობის შედე-გად. შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავე იყო საქართველოს უბელობა.

სანამ მა შეთქმულების შესახებ საუბარს დავამთავრებდე, მინდა მოკრძალებული პატივი მივავო ამ შეთქმულების მთავარ გმირს. ის შეიძლება გიორგი სააკაძეს შეედაროს იმ გაგებით, რომ ორივე საქართველოს მტრების სამსახურში იყვენ, როცა ღალატის ფასად,

სამშობლოს ხსნა გადაწყიტეს, თუმცა როსტომ მცხელიშვილის მიერ ქმედებაში უძირო მაღულიშვილობის გარდა ვერაფერს აღმოჩნდა მაშინ, როცა ქართლის მოურავისაში, შეიძლება ეჭვი შევივიდეთ.

თავისი მოწამებრივი სიკვდილით მას ეკუთვნის, ჩვენს ჯერ კი-დევ დაუწერელ ისტორიის ფურცლებზე, მხარი დაუმშვენოს კახეთის გმირებს : ბიძინას, შალვას და ელიზბარს.

აგვისტოს ეროვნული აჯანყების თარიღის საკითხი

კ. ანდრონიკაშვილის და იას. ჯავახიშვილის სიტყვები, რომლებსაც აქვე ხელახლად ვძექდავთ, საქმაო სურათს იძლევიან ჩვენი ქვეყნის მდგრმარეობაზე, არა მარტო საბჭოთა, არამედ ფრეთვე ძველი რუსეთის ჩექმებქვეშ და საუცხოოდ ასაბუთებენ ქართველი ხალხის აჯანყების უფლებას. ჩვენ, ჩა თქმა უნდა, მათ ნათქვამებს აღარ გავიმეორებთ. მაგრამ მათ არ შეეძლოთ ჟავაფერი ეთქვათ საჯაროდ მაშინ, დღეს კი დასაფიცი აღარაფერია, ანდა მათ მაშინ ზოგი რამ არ შეეძლოთ ცოდნოდათ და მხოლოდ გვიან გახდა ცხადი. აი, ზოგიერთ ასეთ საკითხზე მინდა ვისაუბრო და პირველ რიგში თარიღის შერჩევაზე და აჯანყების პასუხისმგებლობაზე.

1922 წლის ბოლოდან მოყიდებული „დამკომი“ და მასში შემავალი პარტიები გადაწყეტით ემზადებოდენ აჯანყებისათვის. დამკომში გაერთიანებული იჯენ : სოც.-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოც.-ფედერალისტების, სოც.-რევოლუციონერების და სხიველების პარტიები, მათში უძლიერესები იჯენ პირველი ორი და ეს უმაღლეს დამკომშიაც ჩანდა, რადგანაც თავმჯდომარე იყო სოც. დემ. კ. ანდრონიკაშვილი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ ერ. დემოკ. იას. ჯავახიშვილი. უმაღლეს დონეზე დამკომში სრული თანხმობა და ურთიერთ პატივისცემა სუფევდა, მაგრამ, როგორც პოლკ. სოლ. ზალდასტანიშვილი ბრძნებს, მომდევნო დონეებზე, პარტიებში კი-დევ პქონდა ადგილი უნდობლობას. გასაგებიცაა: არ შეიძლებოდა გავლილ მეოთხედ საუკუნეში წარმოებულ კლასთა ბრძოლის პოლიტიკას, თავისი დაღი არ დაემჩინია ქართულ საზოგადოებაზე.

პოლიტიკური ემიგრაცია, მთავრობის ჩათვლით, მუდმივად უარყოფდა აჯანყების პასუხისმგებლობას და, გასაგები მიზეზის გამო, არც კ. ანდრონიკაშვილსა და იასონ ჯავახიშვილს გაუმეღავნებია, მაგრამ დღეს, აჯანყებიდან 60 წლის მერე, სიმართლე როგორლა დაიმაღება,

ანდა რად უნდა დაიმალოს? რომ ჩვენი ეროვნული მთავრობა თანა-
ხმა იყო პრინციპში საყველთაო აჯანყბისა 1922 წლის ზოლოდან
მოყოლებული, ეს მე უკვე აღნიშნე და, რომ საქ. ს. დ. პარტია
აჯანყბაში მონაწილეობას არ მიიღებდა, თუ ბ. ნოე უორდანიას
ნებართვა არ ექნებოდა, ესეც უდავოა. უმთავრესი დამკომი კი
პასუხისმგებელია აჯანყბის დაწყების დღისა და საათისა.

ჩვენს მიერ ზემოდ მოყანილი ინტერნაციონალის და ერთა ლიგის
რეზოლუციები საქ—ს შესახებ, თავისთავად მეტყველებენ საყველ-
თაო ეროვნული აჯანყბის იდეის სასარგებლოდ, მაგრამ 1923 და
1924 წლებში საქონთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა სწ-
რაფად და მკვეთრად იცვლება: ჯერ ინგლისი, მერე საფრანგეთი და
მათ შემდეგ ფრანგი ერობის ქვეყნები სდებენ ცნობისა და ვაჭრობის
ხელშეკრულებებს მასთან. ამასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლებამ
თავისი ავტორიტეტი საკმაოდ გაამტკიცა თითქმის მთელ ყოფილ რუ-
სეთის სივრცეშე, თავის წიაღში ჩატკეტა რა ყოფილი სახალხო არ-
პუბლიკები ბუხარისა და ხივისა. ამასთან არც ისაა მნიშვნელობას
მოკლებული, რომ ღენინის „ნეპის“ პოლიტიკის წყლობით, რუსეთი
ეკონომიურადაც მომძლავრდა, რუსმა დამშეული კუში ცოტა ამოივ-
სო.

ასეთ შეცვლილ პირობებში, გარდა სოც. ინტერნაციონალის რეზო-
ლუციებისა, აღარავითარი დახმარების იმედები აღარ შეიძლებოდა
ყოფილიყო არც ერთა ლიგისაგან, არც რომელიმე სახელმწიფოსაგან,
თუნდაც მშვიდობიან საშუალებებით.

ფრან ამ ცვლილებებს, რომლებიც საქ— ს საყველთაო აჯანყბის
გამარჯვების საწინააღმდეგოდ მეტყველებდენ, სამწუხაროდ აჯანყ-
ბის უშუალო ხელმძღვანელებმაც და ემიგრაციის პასუხისმგებელმა
პირებმაც ანგარიში ვერ გუშვის და ერთხელ აჯანყბის მზადება-
ში გადაშევებულებმა თავის დროზე თავი ვეღარ შეიკავეს.

1924 წლის დამდეგს დამკომის სამხედრო კომისიის მიხედვით
აჯანყბა მხედრულად მზად იყო. სანამ აჯანყბას დაიწყებენ, რომე-
ლსაც თებერვლისთვის ვარაუდობენ, დამკომი პარიზში აგზავნის
ვასო ნოდიას ინსტუქციების ჩამოსატანად და აჯანყბის ხელმძღ-
ვანელთა ჩამოსაყავანად. ვ. ნოდია უკან ვერ ბრუნდება მაისამდე
და თან ჩამოიყანა: ვალიკო ჯულელი, ბენია ჩინკვიშვილი, ვლასა
მგელაძე, ბიქტორ ცენტერაძე და ცინცაბაძე, ხუთივე სოც. დემოკ-
რატი, არც ერთი სხვა პარტიელი, რაც უკვე უნდობლობის ჭიას
აჩენს ერ.- დემოკრატთა შორის, მაგრამ ეს მაინც არ იყო

აჯანყების წარუმატებლობის მიზეზი.

06036350

„ახალმა ჩამოსულებმა, იგონებს პოლკ. ს. ზალდასტრანის შემდეგი დასახელებულ წიგნში, ჩამოიტანეს შემდეგი ინფორმაცია : საერთა-შორისო მდგომარეობა ხელს უწყაბს აჯანყების დაწყებას, და, თუ ვინიცობაა აჯანყება დამარცხდეს, გაშინ მოძრაობა პროვენციებში უნდა გაგრძელდეს, ამა ამით პარიზში მყიფმა გაერთიანებულმა ცენტრმა შესძლოს ზოგიერთ მევობრულად განწყობილ სახელმწიფო-სთან დიპლომატიური წესით მოავაროს საქ - ს საკითხი რუსებთან.“

ბ. ზოლდასტანიშვილის სიტყვებს აღასტურებს თუნდაც ის ფაქტი,

რომ საქ-ში იმ დროს ჩავიდენ ეს გამოჩენილი სოციალისტუ-
ბი ვ. ჯულელის მეთაურობით. საერთაშორისო მდგომარეობის დასა-
ხვა, „რომ ის ხელს უწყობს აჯანყების დაწუბას“, როგორც ის ზე-
მოდ თქმულ ანალიზიდან გამომდინარეობს, უკველად იყო შეცდარი:
საერთაშორისო მდგომარეობა 1924 წლის ზაფხულისათვის არამც
და არამც არ იყო ხელსაჭრელი საყველთაო ეროვნულ აჯანყების.
პარიზის „გაერთოანებული ცენტრის“ მოვალეობა იყო, ვასონ ნოდია-
სადმი მიცემულ ინსტრუქციებში, გადაჭრით გაეფანტა საქ-ში არ-
სებული ერთა ლიგის და „ზოგიერთი მეგობრული სახელმწიფოს“
დახმარების იღუზიები და საქ-ში აჯანყების სახელმძღვანელოდ არ
გაეგზავნა დალიგო აულელი და ბერია ჩხილკვეთი.

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობა შეიქნა თვით საქ-ში აჯანყების წინ. 1924 წლის დასაწყისიდან „ჩეკამ“, თავისი ბინძური და ყავ-ლად არადამიანური მეთოდებით, შესძლო ქართველების ერთი ნაწილის მორალური გაზრდა, პატრიოტულ წრეებში შეაპარა ისინი, თავი იჩინა გამცემლობამ, თვით აჯანყების ხელმძღვანელ ორგანო-ბში, ერთი-ერთმანეთზე მიყულებით აპატიმრებენ გამოცდილ ავტორი-ტეტურ ხელმძღვანელებს, შიშის და უნდობლობას სთესავენ გარედ დარჩენილებში. მივყეოთ ისევ პოლკ. ს. ზალდასტანიშვილს :

„ამ ხანში „ჩეკამ“ ხელში ჩაიგდო დიდი აქტიური და ენერგიით
სავსე პირები : ჯერ ნ. ხომერიკი, შემდეგ, 1924 წ. 24 იანვარს,
გოგიტა ფალავა... 28 იანვარს დაიჭირეს აგრეთვე გოორგი წინამძღვრიშვილი...
სამხედრო კომისიაში გ. ფალავას მაგივრად შემოვიდა
ლ. ბელთაძე, რომელიც ერთი კვირის მუშაობის შემდეგ დაპატიმრებული
იქნა. მის მაგივრად შემოვიდა ნ. კახიანი, აპრილში ესეც
ხელში ჩაუვარდა ჩეკას...“ მაგრამ ფულაზე დიდი მარცხი იყო გ.
ჯუღელის „ჩეკის“ კლანშებში ჩავარდნა, რასაც ადგილი ჰქონდა,
სწორედ აჯანყბის დაწყების წინა დღეებში, 6 აგვისტოს.

ვალიკო ჯუღელი



საქართველო
შიგდიკონიას

აჯანყებასთან დაკავშირებით, ვალიკო ჯუღელის პიროვნება ლირსია მასზე შეჩერებისა. ის ახალგაზრდობაში იყო შეგნებული და გატა-ცებული ბოლშევიკი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში, თბილისში რომ საბჭოები დგებოდენ, ვ. ჯუღელი ნ. ურდანიას მიე-მხრო და ამრიგად ის აღმოჩნდა, იქნებ მისი რწმენის წინააღმდეგ, საქ-ს დამოუკიდებლობის მამთავართა შორის. თავისი დინამიურო-ბით ის ხდება გვარდიის უფროსი და მით რეჟიმის დასაჭრენი ძა-ლი. საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქ-ს დაწყობის თანავე ვ. ჯუღელი მთავრობასთან ერთად მიდის ევროპაში, ხოლო ეროვნული აჯანყების ორი თვით აღრე ბრუნდება, რა თქმა უნდა ფარულად, როგორც აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და, როგორც მთავრობის მესამდებლე და სანდო პირი.

ვ. ჯუღელი, რომ უფრო მეტი სიფრთხილე გამოეჩინა, აჯანყების დაწყებამდე გურიაში დარჩენილიყო, თბილისში არ ჩასულიყო, შეიძ-ლება აჯანყებაც სხეავგარად დამთავრებულიყო და არც ის ჩავარდ-ნოდა „ჩეკის“ ბრძანებებს. თბილისიდან მან კავშირები დაამყრა საქ-ს ჭელა კუთხეებთან, გაახშირა საიდუმლო თათბირები და შეხ-ვედრები, რაც არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილა „ჩეკის“ ჯაშუშთა ქსელს და მართლაც, სულ რაღაც თორმეტი დღით აღრე აჯანყების დაწყებისა, ვ. ჯუღელი შეიძყრეს, რაც დასაწყისი გახდა აჯანყების დამარცხების ტრალებისა.

ვ. ჯუღელი ნიჭიერი და ენერგიული პიროვნება ჩანს, მას გააჩნდა ხელმძღვანელის, მეთაურის და წინამძლოლის საჭირო თვისებები: ავტომოტორულობა, დამაჯერებლობა, მომხიბლეელობა, აღმაფრთოვა-ნება, მაგრამ, ამავე დროს, იგი ჩანს აღგზნებული ბუნების: ადვი-ლად იცის აღფრთოვანება და ასევე ადგილად ვარდება სასოჭარკ-ვეთილებაში. საქართველო ახლად ჩამული, როცა მოისმენს ინფორმაცი-ას აჯანყების სამხედრო შზადების შესახებ, სწრაფად აენთება და მოითხოვს დაუყვანებლივ დაიწყოს აჯანყება. ასევე, როცა დაპატი-მრებულს „ჩეკა“ გააცნობს ნამდვილ თუ მის მიერ შეთითხნილ საბუ-თებს, ის ადგილად ირწმუნებს მათ, დარწმუნდება, რომ აჯანყება გაცემულია წინასწარ და თუ მოხდა მას სისტლში ჩაახრიობენ. ამის შემდეგ ის მისთვის ჩვეული ენერგიით გადაეშვება ბრძოლაში, აჯანყების სალიკვიდაციოდ. „ჩეკას“ თხოვს გაანთავისუფლოს, რომ დამკომი დააჯეროს აჯანყების მოხსნაში, როცა უარს ეუბნებიან,

ჩეკასთან შეთანხმებით, ციხიდან სალიკვიდაციო წინადაღიდან
გზავნის ს. დემ. ვანო ლონტს. ამ უკანასკნელმა მისია შეასრულა,
ინახულა სოც. დემ. პარტიის ცაკი და მას ჯუღელის სახელით აჯა-
ნების მოხსნა სოხოვა. ვ. ჯუღელი მისი პარტიის ცეკის პასუხით
არ დაქმაყოფილდა და, რა თქმა უნდა, „ჩეკის“ თანხმობით და
ალბათ ჩაგონებითაც, ფიცხლად გაილაშქრა აჯანების წინააღმდეგ
საბჭოთა პრესის ფურცლებზე. ეს კი აშკარა ღალატის ტოლფასი
იყო.

ჩეკის ჯალათებმა ის მაინც დახვრიტეს აჯანების პირველ დღეებ-
ში...თავისი მოწამებრივი სიკვდილით, მან გჭიოსყდა თავისი დრო-
ბითი სისუსტე, პარტიულმა და სხვა პატრიოტმა მეგობრებმა მას
გულშრეველად შეუნდვეს ეს მისი დროებითი სისუტე და ჩეკი
რწმენით, ისტორიის სამსჯავროც არ დარჩება მის მიმართ გულშევა.

სანამ ვ. ჯუღელზე საუბარს დავამთავრებდეთ, ერთი ამბავი გვი-
ნდა გავიხსნოთ და ისტორიის წინაშე გამოსარჩვევად საკითხი და-
ვაჭნოთ იმ მოსაზრებით, რომ მას დიდი მნიშვნელობა ექნება, რო-
გორც აგვისტოს აჯანების, ისე ვ. ჯუღელის პირ-
ოვნების გასაგებად : აგვისტოს აჯანების მზადებასთან დაკავშირე-
ბით, თავის მოგონებაში ბ. ვალიკო ჩუბინიძე ამბობს :

„ჭიათურაში წამოსვლის წინ საიდუმლოდ მაჩვენა სოლომონ თელიამ
ვალიკო ჯუღელი (თუ რა რიცხვში მოხდა ეს შეხვედრა ბ. ვალი-
კობინიძის „მოგონებიდან“ არ ჩანს)... მისივე გეგმის მიხედვით მე
12 აგვისტოს 1924 წელს 8 კაცით უნდა ჩავსულიყვავთ თბილი-
სში ... ამასთანავე შევადგინე რაზმი 12 აგვისტოსათვის თბილისში
წასაცავად, მაგრამ რაზმი შედიოდენ : გრიშა წერეთელი(გასილის),
გრიშა გამჭრელიძე, ოველ ცერცვაძე, კალისტრატე საჩალიძე, ვანო
ბედენაშვილი, სევერიან ხვედელიძე, დ. ჩუბინიძე, გოგიტა აბდუშე-
ლიშვილი. ეს პირები, უკვე შეიარაღებული, მზად მყავდა და ველო-
დი თბილისისაკენ გამგზავრების დღეს. ეს მზადება, სხვათა შორის,
არ იცოდა არც გიორგი წერეთელმა და არც გიორგი გურულმა. ეს
იყო ვალიკო ჯუღელის პირადი დავალება, რომელიც მოელოდა, რომ
ამ გზით პროვინციებიდან თბილისში შეიკრიბებოდა 600 კაცზე
მეტი ...“ (ვ. ჩუბინიძე : „მოგონება“, პარიზი 1953, გვ. 256, 258)

ბ. ვ. ჩუბინიძის „მოგონებიდან“ ვიცით აგრეთვე, რომ ის იყ
ჭიათურის „დამკომის“ აქტიური წევრი, ერთ-ერთი შეიარაღებული
რაზმის უფროსი, რომელსაც აჯანების დროს უნდა აეღო ჭალაჭის
ერთი მნიშვნელოვანი უბანი და მან მართლაც პირ-

ნათლად შეასრულა მასზე დავალებული ამოცანა, მაგრამ ეჭირებული კულტურის დაპატიმრების შემდეგ.

თუ გ. ვ. ჩუბინიძის ზემოდ მოყვანილი განცხადება სინამდვილეს წარმოადგენს, მაშინ იქნან ორი მთავარი დასკვნა გამომდინარეობს:

1. ვ. ჯუღელი რომ „ჩეკის“ ხელში არ ჩავარდნილყო, მაშინ ვ. ჩუბინიძე მისი რეა შეიარაღებული რაზმელით და მასთან ერთად საქართველოს სხვა რაიონებიდან სულ 600-ზე მეტი რაზმელი (შეიარაღებული) 12 აგვისტოს, ე. ი. შეიარაღებული აჯანყბის დაწყების წინ (რადგანაც ჯუღელის დაპატიმრებამდე, აჯანყბის დაწყება დანიშნული იყო 17 აგვისტოს გამთენიას) თბილისში უნდა ყოფილიყენ, ვ. ჯუღელის პირად განკარგულებაში, ისე, რომ მის შესახებ არაფერი არ უნდა ცოდნოდათ, არც ჭიათურის და არც სხვა რაიონების „დამკომებს“. ეს ხომ ღალატის ტოლფასი იყო, რაც დიდათ დააბრკოლებდა საერთოდ აჯანყბათა წარმატებებს ჟელა უბნებში და კერძოდ ვ. ჩუბინიძის შემთხვევაში—ჭიათურას?

ამასთან ერთად ისიც საკითხავია, თუ როგორ შეიძლებოდა აჯანყბის წინა დღეებში, თბილისში ისე შეპარულიყენ 600-ზე მეტი შეიარაღებული რაზმელები, რომ „ჩეკის“ თვალყურს ისინი გამოპარვოდენ?

2. ვ. ჯუღელის ჩავარდნის შემდეგ, ვ. ჩუბინიძეს არც კი უცდია, რომ, ვ. ჯუღელის მიერ მასზე დავალებული მისის შესახებ, კავშირი დამტკრებია მთავარ დამკომთან, ანდა საკუთარი პარტიის ცენტრით მაინც. ეს კი იმას მოწმობს, რომ ვ. ჯუღელის განზრახვა სხვამ არავინ არ იცოდა.

პირველ კითხვაზე ვ. ჩუბინიძეს შეუძლია პასუხი გასცეს, თუ მას ეს სურს და თუ უნდა, რომ მისი ამდენი მსხვერპლი შეუბლალავი დარჩეს მომავალი შთამომავლობის წინაშე.

რაც შეეხება მეორე დასკვნას, იქნან გამომდინარე დიდმნიშვნელოვან კითხვაზე: რისთვის უნდოდა ვ. ჯუღელს ეს „600-ზე მეტი“ შეიარაღებული ერთგული რაზმელები, აჯანყბის ჟელა სხვა ხელმძღვანელების ფარულად, ვ. ჩუბინიძე ვერ გაგვცემს პასუხს, რადგანაც, არც მას არ ეცოდინება, მაგრამ საქ—ს ისტორიას კი შეუძლია ის გამოიძიოს.

„დამკომა“

ვ. ჯუღელის ჩავარდნა თავისთავად დიდი დანაკლისი იყო აჯანყბის საქმისათვის, მარტო იმის გამოც, რომ სოც. დემ. პარტიისათვის იყო „იმედი“ გიმარჯვების და არა დამკომის თავ—რე კ. ანდრო-

ნიკაშვილი, მაგრამ მისი ასეთი შემობრუნება, უყაფანო მოწოდებული ბი აჯანყბის მოსახსნელად, დიდ მეტყობა – უიმედობას შეუძლებელი შეთქმულებში, განსაკუთრებით კი სოც. პარტიის რიგებში და ამავე დროს გააფრთხილებდა აჯანყბის გარდუგალობაში ხელისუფლებას. ასეთ პირობებში კ. ანდრინიკაშვილის განცხადება :

„ჩენ ვიყვით საკმაოდ მომზადებული და კიდევაც გავიმარჯვებდით, თუ არა ის საბედისტერო შეცდომა, რომელიც უკვე აღნიშნა იასონ ჯავახიშვილმა : ესაა ჭიათურაში თითქმის ერთი დღით აღრე გამოსვლა. სწორედ ამან გადასწულიტა აჯანყბის ბედი“-ო, -მეტი რომ არ ვთქვათ, დამაჯერებელი არ არის. .

როცა სამოცის წლის სიშორიდან ვაკეირდებით, „დამკომის“ მთავარი პასუხისმგებელები: კ. ანდრინიკაშვილი და იას. ჯავახიშვილი ყოველმხრივ შემკობილი ჩანან, რომელთა წინამდლოლობაც ჩვენზე ბევრად დიდ ერებსაც დაამშვენებდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მათ უხდებოდათ გადაწყვეტილებების მიღება და მოქმედება, პოლიციის აგენტებისგან გაუღენთილ გარემოში, რაც კიდევ უფრო სულშემხუთავი გახდა ვ. ჯულელის დაპატიმრების შემდეგ. ალბათ ამის მიზეზითაც იყო, რომ მათ თბილის დასტოვეს და შეფიცულთა ბანაკში გდაიტანეს აჯანყბის შტაბი. ამით მათ თავი გადაირჩინეს დროებით, აჯანყბის დაწყებიდლე, მაგრამ აჯანყბის დღეებში სრულიად მოწყვეტილი დარჩენ დედაქალაქიდან, საღაც უიმაოოდ აჯანყბის დაწყების პასუხისმგებლობა ვერავინ გთედა, ისევე, როგორც ქვეწის სხვა კუთხეებიდან და ამის გამო აჯანყბას ვეღარავითარი ხელმძღვანელობა ვეღარ გაუწიეს, მაშინ, როცა ეს ისე საჭირო და აუცილებელი იყო.

აჯანყბის მთავარსარდლად გერ. სპირიდონ ჭავჭავაძის არჩევა, სრულიად უნაყოფო გამოდგა: ვერავითარი ინიციატივა ვერ გამოიჩინა, ვერარა კვალი ვერ დამჩნია ამ დიდ საქმეს, ბოლოს და ბოლოს კი შეფიცულთა რაზმის ზემდეტი ბარგი გახდა. .

„დამკომის“ საბასუხისმგებლო გადაწყვეტილებათა კულიმინაციებს წარმოადგენენ აჯანყბის დაწყების და შეწყვეტის გადაწყვეტილებები. ორივე მათ მიიღეს უაღრესი გარეგანი დაწოლის პირობებში, მაგრამ, როცა ბრძოლის შეწყვეტის რეზოლუციას იღებდენ, მათ აღარავითარი თავისუფლება აღარ გააჩნდათ, ისინი „გათოკილები“ იჟენ „ჩეკის“ სარდაფში და შეიძლება ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება მათ ძალით გამოგლიჯეს. ამ გადაწყვეტილებამ სიკლილს გადაარჩინა ბევრი პატიმრობაში მყოფი პატრიოტი და ამიტომ ის ოფი-

ციალურად, საჯაროდ არც ერთ პასუხისმგებელ პირს არ ყდომულისა, მაგრამ იგი არარად ხდიდა უკვე გაღებულ ამდენ მსხვილს, უფრო უბელი იყო თვით აჯანცემის საბოლოო მიზნებისა და იმედების.

რა იყო, რაში მდგომარეობდა აჯანცემის მიზნები და იმედები? არავის არ შეიძლებოდა ეფიქრა, რომ აჯანცებული ქართველი ხალხი საბჭოთა რუსეთს დაამარცხებდა და მას აიძულებდა საქართველოს დაპტობაზე ხელი აელო, არამედ მაშინდელი ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ იმედოვნებდა, რომ ძლიერ და ვაძლე სახალხო გამოსვლების შემთხვევაში, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება, საქართველოს მეგობარ სახელმწიფოთა და განსაკუთრებით ერთა ლიგის დიპლომატიური მხარდაჭერა მოსკოვის მთავრობას აიძულებდა საქართველოს ოუბაციაზე ხელი აელო. აი, ამ მიზნის და იმედის ხორც შესხმას აენო აჯანცემის სწავალია ჩატრობამ, რასაც ხელი შეუწყოდებობის შეწყვეტაზე, რაც 5 სექტემბერს გამოქვეწდა. სულ მოკლედ მაინც განვმარტოთ ეს.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის და ერთა ლიგის ასამოქმედებლად საჭირო იყო საკმაოდ დიდი დრო. სანამ ქართველების აჯანცემის ამბავი ევროპაში ჩავიდა თითქმის ერთმა კვირემ გაიარა. აკ. ჩხერიელის და ხ. შავიშვილის პირველი მემორანდუმი ერთა ლიგის საზოგადო კრებისადმი, რომელიც სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა უნევაში, დათარიღებულია 5 სექტემბრით, სწორედ იმ დღით, როცა საქართველოში ცნობილი გახდა დამკომის მოწოდება, წინააღმდეგობის შეწყვეტაზე.

ნოე ეორდანიას მემორანდუმები, იგივე ერთა ლიგის საზოგადო კრების თავმჯდომარისადმი, დათარიღებულია 6 და 10 სექტემბრით. ამის შემდეგ ერთა ლიგის საზოგადო კრება თავის დღის წესრიგში სვამს საქართველოს საკითხს, დებატები და რეზოლუციის მიღება გრძელდება 22 სექტემბრამდე, რეზოლუცია იგივე შინაარსისაა, რაც ჩვენს მიერ დასაწყისში მოფანილი მისივე 1922 წ. რეზოლუცია, ის სამოქმედო ექლევა ერთა ლიგის აღმასრულებელ ორგანოს –საბჭოს, რომელსაც, თუ სურს, შეუძლია დაუყოვნებლივ იმოქმედოს, „რომ მშევიდობა ჩამოაგდოს ქვეჭის ამ კუთხეში“, მაგრამ ამ დროს საქართველოში მკვდრების სიჩრდე გამეფებული, გარეშე დამკვირვებლისთვის იქ მშევიდობა სუფეს და სიწარეა.

ჰიტომაც, 26. სექტემბერს, როცა, საქ-ს დამოუკიდებელი მთავრობის სახელით, აკ. ჩხერიელი და ხ. შავიშვილი ერთა ლიგის საბჭოს

მიმართავენ, რომ საბჭომ პრაქტიკული ნაბიჯები გადაღები უკარისტიკული გადო კრების ორგანულციების შესაბამისად, — ეს მიმართება უკარისტიკულ რჩება; უპასუხოდ და უშედეგოდ რჩება, ჩვენი შეფასებით, იმიტო-მაც, რომ 5 სექტემბრის შემდეგ საქართველოში ბრძოლებს ადგილი აღარა აქვს და ერთა ლიგის საბჭოს უკვე აღარ ჰქონდა საბუთი საბჭოთა მთავრობისათვის აჯანყბულ საქართველოსთან ამის შეწ-კეტის წინადაღებით მიემართა.

აი ამ გაებით, „დამკომის“ მოწოდება აჯანყბულთადმი, ძალიან ნაადრევი იყო, ვნებდა ეროვნულ განთავისუფლების საქმეს და, ავ-ტორთა უნებურად წყლს ასხამდა საბჭოთა „ჩეკისა“ და ხელისუფ-ლების წისქვილზე.

ცოტა რამ ჭიათურის აღრე გმოსვლაზე

ასეთი დიდი ეროვნული ტრადიციის დროს, ჭიათურის საკითხი რა-ლა სახსენებელია, მაგრამ ამ საკითხზე იქნება ისიც მიბიძგებს, რომ მეც ჭიათურელი ვარ და უფრო მეტად კი ის, რომ ჭიათურის აღრე გამოსვლების შესახებ ბ. ალექსანდრე სულხანიშვილმა ისეთი რამის საჯაროთ თქმა იკატრა, რაც დაუშვებელი და უმართებულოა; ის ჩირქესა სტებს არა მარტო ჭიათურის აჯანყების ხელმძღვანელებს, არამედ საერთოდ მთელს ეროვნულ აჯანყბასაც.

ჭითაურაში რომ აჯანყბა ერთი დღე-ღამით აღრე დაიწყო, ეს არ ყოფილა არც გიორგი კონას ძე წერეთლის წინასწარი განზრახვით და არც ღოყვაპიობით, როგორც მას ზოგიერთები აბრალებდენ, არ-ამედ ჭიათურის დამკომის კოლექტიური შეცდომა, რომელმაც განი-ხილა და იმსჯელა გ. წერეთლის მიერ თბილისიდან მოტანილი აჯან-ყბის დაწყების დროს ქარაგმულ წარწერის თაობაზე და მივიდა იმ დასკვნაზე, რომელიც ცნობილია. ამაში, რომ მკითხველი კარგად გაერგვეს, უნდა წაკითხული ჰქონდეს თვით გ. წერეთლის მოგონე-ბია, სათაურით: „ვალიკო ჩუბინიძის მოგონებების გამო“, რომელიც დაიბეჭდა „თავისუფლების ტრიბუნა“ № 5, 6 და 8-ში; ამავე საკითხს მიეძღვნა გრიგოლ (გრიშა) წერეთლის, ჯერ აქვს გვერდიანი ბრძოშუ-რა, სათაურით: „გიორგი წერეთლის ხსოვნისათვის“, პარიზი 1961. და შემდეგ 1971 წელში უფრო მოზრდილი წიგნაჟი: „ქართული ემიგრაცია და ადამიანები“, რომელშიც ერთი თვი აქვს მიძღვნი-ლი საერთოდ აჯანყბას და კერძოდ ჭიათურის აღრე გამოსვლას.

გრ. წერეთელს ჰქონდა ამის უფლება და მოვალეობაც: ის აქტიუ-რი წევრი იყო ჭიათურის აჯანყბის მომზადების, გიორგი წერე-

თლის უმცროსი, მაგრამ ახლო თანამზრომელი, და, აჯანყებული ფიტი ქვბის წინ, სწორედ ის გააგზავნა გიორგი წერეთელმა ქუთათების ბ. პორ. ჯინორიასთან, სხვათა შორის თვით აჯანყების დაწყების დროის დასაზუსტებლად. (ეს ფაქტი ადასტურებს, რომ თვით გიორგი წერეთელიც ეჭვობდა აჯანყბის დაწყების დროის შესახებ)

27 ავგისტოს ქუთაისში ჩასულმა გრ. წერეთელმა იმ დღეს ვერ ნახა, ვერც ჯინორია და ვერც სხვა ვინმე ადგილობრივი „დამკო-მის“ წევრი, მეორე დღეს, როცა გაიგო და ჭიათურას გადასცა ამ-ბავი, ჭიათურაში აჯანყბა დაწყებულიც და გამარჯვებულიც იყა. გრ. წერეთელი აქვე უფრო დაწვრილებით აღწერდა, მაგრამ, სა-მწუხაროდ, დავლა დაცემული მოხუცი მოკლებულია სიტყისა და წერის საშუალებებს.

უდავოა: ჭიათურის ადრე გამოსვლა შეცდომა იყო და მან კი- დევ ზედმეტი ზიანი მოუტანა აჯანყბას. ამას კარგად გრძნობდა განსვენებული გიორგი წერეთელი და მთელი სიცოცხლე სტოკურად იტანდა უსამართლო ქირდვასა და კიცხვას, მაგრამ, როგორც ვოჭ-ვით, ბ. ალექსანდრე სულხანიშვილმა მთლად წაბილწა მისიც და ჭიათურის დამკომის ყველა წევრის სახელებიც. „ახლა ჩვენთვის, წერს ბ. ალ. სულხანიშვილი, უკვე ცხადი შეიქმნა, თუ ჭიათურაში რად მოხდა გამოსვლები 24 საათით ადრე: ჩვენ კარგად ვიტი ზოგიერთი ფულის მსუნავი ქართველის ხასიათი, რომლებიც ყველაფ- ერს დათმობენ თუ კი ფულის შოვნა შეიძლება იოლი გზით. აღბათ, ჭიათურაში სხვა ჯგუფსაც ეჭირა თვალი მარგანეცის სალაროზე და, რომ არავის დაესწრო, გიორგი წერეთლის ჯგუფმა იხელთა დრო და სწორედ ამისთვის მოახდინეს გამოსვლები დათქმულ ვადაზე ადრე, შესაძლო იფიქრეს: სულხანიშვილი: „მოგონებები“, გვ.181]

ეს რომ ბავშვერი აზროვნებაა, კარგი მკითხველი თავად მიხვდე- ბა. გ. წერეთელი გენიოსი არ ყოფილა, მაგრამ ასეთი სუსტი ჭიშის რომ ყოფილიყო, ასევე საბასუსტისმგებლო საქმეს არ მიანდობდენ.

ბ. ალ. სულხანიშვილს, რომ გ. წერეთელი საქ-ში ცნობოდა, ის მას ფულის ხაზობას არ დასწამებდა. (გ. წერეთელი ჩემი ნათესა- ვი არ ყოფილა, იყო ახლო მეზობელი და ამიტომ მის ოჯახს კარ- გად ვიცნობდი-ეს მკითხველის საინფორმაციოდ.) გ. წერეთლის ოჯახი იყა ერთ-ერთი დიდი და შეძლებული მთელ ჭიათურის რაიონში. მისი ოჯახი სოფ. პერევისაში, ომის წინ თავშესაფარი იყო უანდა- რმერიის მიერ დევნილ რევოლუციონერების, ხოლო საქ. „გასაბჭოე-

ბის" შემდეგ—„ჩეკისაგან დევნილ მამულიშვილების. აგვისტოს ფაქტი უბას შეეწირა აწ განსვენებულ გიორგის ორი ძმა და შემთხვევაში ხეში სახელოვანი ოჯახი. ვიათურაში მაშინ არავინ სხვა ჯგუფი არ ჩანს, რომელსაც შეძლებოდეს „გ. წერეთლის ჯგუფისათვის დაესწროს“, ფული წამოიღეს, რადგანაც ეგონათ, რომ დამარცხება ღრიუბითი იყო, როცა საბოლოო დამარცხებაში დარწმუნდენ, უცხოეთში გადმოიხვეწენ, წამოღებული თანხის ღიღი ნაწილი, მეგზურისა და მეზავრობის ხარჯებს მოანდომეს; გ. წერეთლს ის ფული არ ბარებია, როგორც კი პარიზში ჩამოვიდენ, ანგარიში გაუკეთეს მთავრობას და ვიათურის ამხანაგებს. ეს ანგარიში არ დაკარგულა, დღესაც შეუძლია ნახოს არქივში ბ.-მა სულხანიშვილმა და მაშინ, თუ ბ. სულხანიშვილი გულწრფელია, შეიძლება შეინანოს მისი უსაფუძლო ცილისწამება.

ჩემი აქ გამოთქმული საჭედურები ოდნავადაც ხელს ვერ შემიშლის ქებადიდება მივაგო ბატონ ალ. სულხანიშვილს, რომელმაც ლეგენდად ქცეულ ქაქულა ჩილოყაშვილის წინამდლობით, გმირული წინააღმდეგობა გაუწია ჩვენი ქვექის დამპყრობელებს და, რომელიც აგვისტოს აჯანყების დამარცხების 60 წლისთავს ხედება, როგორც მამულის გულგაუტებელი და დაუღალავი დამცველი-მეომარი.

ბოლოთ ქმა

ყველასათვის, ვისაც სწამს ჩვენი ერის მომავალი და მას ემსახურება, 1924 წლის აჯანყება, დიდ მწუხარებასთან ერთად, წარმოადგენს უძირო, თავიანგარა იმედების ფურჩევნა-ცეკვილობას. ახალ ხანში მის წინ არასოდეს ასე ცხადად არ გამოვლინებულა საჯაროდ ქართველი ხალხის, მისი ღრმა, ჟეშმარიტად ხალხური ფენების, თავდადებული ტრფიალი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი. იგი დიღხანს დარჩება ჟეშმარიტ პატრიოტობის მისაბად ეტალონად.

თავს ნებას მივცემ ეს სიტყვაობა დავამთავრო სიმონიკა ვოგიბერიძის, გურიაში აგვისტოს აჯანყების მამაცი და შეგნებული მონაწილის,—სიტყვებით :

„ქართველი ერის ისტორია, ეს მუდმივი, შეუწუეტელი ბრძოლაა არსებობისათვის, თავისუფლებისათვის. ჩვენს წარსულში ხშირად გვქონია შავი დღეები, როცა ქართველი ერი მოსპობაზე იყო მისული. და ამ დროს ერთი ნაწილი ქართველებისა მტერთან შეგუების გზას

აღგებოდა, ხან სპარსელობდა, ხან თურქობდა, ხან მონგოლი იყო
და ხან რუსი და ყაველივე ამას უდიდეს, გონიერ ხერხდებოდა და თავი ერთს მხსნელად მოჰქონდათ. ქართველი ერი რომ ამ პო-
ლიტიკას გაჰყოლოდა, დღეს ჩვენ ფელაფერი ვიქნებოდით გარდა
ქართველებისა. საბედნიეროდ იყო კიდევ სხვა ქართველობა „გიური“, „უანგარიშო“, „წინდაუხედავი“, მუდამ შეოქმული, მუდამ აჯანყებუ-
ლი, მოუსვენარი, მტრის რიცხვისაგან თითქმის მუდამ ძლეული, მა-
გრამ მაინც გაუტეხელი... აი ამ ხალხს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ
ჩვენ კი არ მოვისახეთ, არამედ ჩვენი მტრების მოსპობას და დაგლა-
ხებას მოვესწარით.

1921 - 1924 წლებში საქართველოს ასეთი ხალხი უძლოდა წინ,
ასეთმა ხალხმა დაპყრა უძლიერეს მტრებს, ასეთმა ხალხმა მორეცხა
საქართველოს გუშინდელი სირცხვილი, და ჩაპყრა სამუდამო საფუ-
ძველი, საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღაბებული, სულიერად
მკვდრეთით აღმდგარ ეროვნულ საქართველოს.

ამ საზომით უნდა მიუდგეთ ჩვენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყბას.
ვინც ამ შეხედულებას იზიარებს, მან იცის, რომ ჩვენი მომავალი
ბრწყნაღალეა, რომ საქართველო მიიღებს იმას, რისიც ღირსია ის,
რომ „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწუეტს გმირთა
გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი.“ [ს. გოგიძე-
რიძე: „ბრძოლა სამშობლოსათვის“, პარიზი 1938.]

გ. წერეთელი

წყაროთა დასახელება

- იგ. ზურაბიშვილი : „საქ. საერთაშორისო მდგომარ-ბა“, პარიზი 1936.
- კ. გვარჯალაძე : „საქ. ს.დ.ბ.პ. მუშაობა საზღვარგ-ეთ“, პარიზი 1936.
- ს. ზალდასტანიშვილი: „საქ. 1924 წ. მტრება“, მიუნხენი 1956.
- ს. გოგიძერიძე : „ბრძოლა სამშობლოსათვის“, პარიზი 1938.
- ალ. სულხანიშვილი: „ჩემი მოვონებანი“, სან-ფრანცისკო 1981.
- ალ. კარგარეთელი: „ქაქუცა ჩოლოქაშვილი“, პარიზი 1981.
- ალ. ბადურაშვილი: „ჩემი თავგადასავალი“ „ივერია“ №25, პარიზი 1982.
- ვ. ჩუბინიძე: „მოვონება“, პარიზი 1953.
- გ. წერეთელი: „ვ. ჩუბინიძის მოვონების გამო“, „თ.ტ.№5, 6, 8;
- გრ. წერეთელი: „გ. წერეთლის ხსოვნისათვის“, პარიზი 1961.
- „ „ : „ქართ. ემიგრაცია და ადამიანები“, პარიზი 1971.
- Documents relatifs à la question de la Géorgie devant la Société des Nations. Paris 1925.

 სახელმწიფო მკვლელობა

გასული წლის 18-19 ნოემბერს საქართველოში მომხდარი თვითმფრინავის გატაცების ცდის შედეგად დატრიალებული ტრალების ეპილოგი, ბოლოს და ბოლოს, ოფიციალურად ცნობილი გახდა, „ტასის“ და „საქინფორმის“ განცხადებების მიხედვით :

თემის ჩიხლაძეს, ყოფილ მღვდელს და ბოროტმოქმედთა სულიერ მამას, ძმებს კახა და პაატა ივერიელებს, ექიმებს, და 23 წლის კინომსახიობ გერმანე კობახიძეს, საქ. უმაღლესმა სასამართლომ, სასჯელის უმაღლესი ზომა-სიკვდილი მიუსაჯაო. ხოლო, 19 წლის

თინათინ ფერვალშვილს— 14 წლის პატიმრობა, და თბილისის აეროპორტზე მოსამსახურე ქალიშვილს, ანა ვარსიმაშვილს— 3 წლის პირობითი პატიმრობა და 5 წ. აკრძალვა „აეროფლოტში“ სამსახურის.

ეს შემაძრტუნებელი ცნობა გაღმოსცა „რეიტერის“ საგენტომ მოსკოვიდან და დასავლეთის პრესამ გააღრცელა პარასკევს 17 აგვისტოს, „ტასის“ განცხადებას კი ადგილი ჰქონდა ოთხშაბათს საღამოს, 15 აგვისტოს.

17 აგვისტოს ფრანგული გაზეთი „ლე კოტიდიენ“ გვაწვდის დამატებით ცნობებს, რომლებიც მას მიუღია „ქართველ ღისიდენტთა წრე ებიდან.“ ჩამოთვლის ჩა შეთქმულთა ჯუფის წევრებს, ასკვნის: ჟელა იჭა შედარებით ახალგაზრდა და ეკუთვნოდა ინტელიგენციას, ისევე, როგორც თბილისის ლიტერატურის და ხელოვნების ფაკულტეტის 7 სტუდენტი, რომლებიც გასულ წლის 11 ივნისს დაპატიმრეს, საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების 200 წლისთავის ოფიციალური ზეიმის საწინააღმდეგო მანიფესტაციებში მონაწილეობისა გამო. „ახალგაზრდობის მრისხანების ეს დამთხვევა, ყაველ შემთხვევაში, გამოხატავს იმას, რომ ქართველ ახალგაზრდობაში ადგილი აქვს აშკარა უკმაყოფილებას ხელისუფლებისადმი“, ასკვნის გაზეთი „კოტიდიენი“. და აგრძელებს ქართველ „ღისიდენტებისაგან“ მიღებულ ცნობებს: „ჩვენ გავაკეთოთ ასე, რათა მოგვეპოებია თავისუფლება“, განაცხადეს პროცესზე ბრალდებულებმა. გასამართლებას ადგილი ჰქონდა პირველსა და ცამეტ აგვისტოს შორის, მას ესწრებოდნენ მხოლოდ განსასჯელთა ოჯახის წევრები და მოკლულ მოსამ-

სახურეთა (თვითმფრინავის ეკიპაჟი) კოლეგები. სამაგიერო, არაცვინა არ ყოფილა თვითმფრინავის მგზავრებიდან, რომლებსაც შეეძლოთ, უკუეგდოთ ან დაემოწმობიათ ბრალდებულთა განცხ ადება იმის შესახებ, რომ „სისხლიანი ბოლოს პასუხისმგებლობა „უშიშროების სპეციალურ ბრიგადას“ ეკისრება, რომელმაც იერი ში მიიტანა თვითმფრინავზე“, -უთქვაშს ერთ პირს, რომელსაც მოუხერხებია პროცესშედასწრება. იგივე პირის თქმით: „ბრალდებულთა დამცველები, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ იყვნენ დანიშნული. ერთმა მათგანმა თქვა: „ყაველ შემთხვევაში, საქმე წინასწარ არის გადაწყეტილი და ადგილი არ ექნება არავითარ გასაჩივრებას.“ ამრიგად სასამართლოს არ შეუმოწმებია კახას, უფროსი ძმა ლეკი-შვილის, განცხადება, რომლითაც ის თავის თავზე იღებდა, თვითმფრინავის გატაცების მთელ პასუხისმგებლობას, ორგანიზაციას და ჭელაფერს, რაც მას თან მოჰყავა.

ირკვევა, რომ კორეის თვითმფრინავის დამსხვრევის სამი თვის შემდეგ, „უშიშროების სპეციალურ ბრიგადას ერთი წუთითაც არ უყოფა-ნებია, ისე მიიტანა ჯიქური იერიში და მათი ეს მხეცური მოქცევა უნდა იყოს მიზეზი იმ ინცინდენტის, რომელსაც მოჰყავა თი მსხვერპლი.

ერთი კურიოზული ამბავი, რომელიც შეიძლება პასუხი გამოდგეს ზოგიერთი გამოურჩეველი კითხვების: 2 ჯარისკაცი, რომლებიც მონაწილეობდნენ თვითმფრინავ „ტუპოლევის“ იერი შში, უნდა წარსდგნენ სამხედრო ტრიბუნალის წინაშე „უწესრიგო მოქმედების“ ბრალდებით. ორი ჰიპოთეზა: შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ისინი პასუხისმგებლები არიან მგზავრების მოკვლის; ან არა და, მათ გაამხილეს ის ამბავი, რაც საიდუმლოს შეადგენდა. ასეთია უურნ-სტ ჟოურნას კორესპონდენცია, გამოქვეყნებული ფრანგულ გაზეთ „ლე კოტიდიან“-ში, 1984 წ. 17 აგვისტოს თარიღით.

საბჭოთა ოფიციალური პრესის მიხედვით

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ფართო საზოგადოებამ, ასც სამშობლოში და არც მის გარეთ,, არ იცის სარწმუნო ცნობები, საქ-ში გასულ წლის 18 - 19 ნოემბერს მომხდარ საპარეო ტრალედი-ის შესახებ, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ იღუმალებით შემოსა ის საჯაროდ, ხოლო ფარულად ცდილობდა გზა-კვალი აერია, ვინც სიმართლის გაგებას შეეცდებოდა. ჩვენ, თუ გონის ჭვრეტით არა, იქნებ ინსტიქტიურად, მივხდით, რომ „სუკ“-ის ასეთი კონსპირაცია,

კარგს არაფერს მოასწავებდა და ამიტომაც დუყოვნებლები და მიტკეცუნი განვაში, რომ პასუხისმგებაში მიცემულთ ესარგებლათ მოთხოვდეთ რეაბილი შესაბამის საკუველთაოდ აღიარებულ უფლებებით, კერძოდ დამცველ-ვექილთა აჩრევის და მათი შეუზღუდველი მომსახურების უფლება. ავტეხეო განვაში, არა საპატიო პირატობის აქტის დასაცავად და სასარგებლოდ, არამედ -წესიერი გამოძიებისა და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სასარგებლოდ, რომ ადგილი არ დარჩენიდა პოლიტიკურ მკვლელობას, სახელმწიფოს მიერ. სავალალოდ ჩვენდა და ჟელა იმათ სამარცხვინოდ, ვის მოვალეობასაც შეადგენს მსოფლიოში ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვა, ჩვენი სასოწარკვეთილი კივილი დარჩა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა!“

რაღა უნდა ვუსაჭედდუროთ უცხოელებს, რომლებსაც ქართული ხორცი ჩვენსავით არ სტკიგათ, მაშინ, როცა თვით ჩვენი ემიგრაციის ერთი ნაწილი წარმოუდგენელ გულგრილობას შეუპტია (იქნებ ცნობილი საბჭოური დეზინფორმაციის გავლენით?), ხოლო მეორე ნაწილი პირუტიცულ შიშს შეუპტია და ხმის ამოღება ვერ გაუბედია.

როგორც კი ევროპაში გავრცელდა საბჭოთა სააგენტოს კომუნიკა, დიდხანს ამაოდ ვეძებდით საბჭოთა პრესის გამოხმაურებას და ბოლოს, ა. წ. 28 აგვისტოს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ [ს. ს. ს. რ. კომკავშირის ც. კომიტეტის ორგანო] მივაკვლიერ „საქინფორმის“ საკმაოდ ვრცელი კომუნიკა-სტატია, სათაურით: „რესპუბლიკის სახელით.“

ცრუობა თვით სათაურიდან იშუბა, რომელსაც ჩვენი განმარტება არ ესაჭიროება, და რაც უფრო წინ და წინ მიდიხართ, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საქმე გავჭირ უნიკო ზღაპართან, რომლის ავტორს თუ ავტორებს მიზნად დაუსახავთ ბრალდებულთა შემზარვად წარმოდგენა და მათი სიკვდილის განაჩენის აპოლოგია.

„საქინფორმის“ მორალისტები ასეთ კვალიფიკაციას აძლევენ 4 ქართველი ახალგაზრდის სიკვდილით დასჯის განაჩენს:

„მართლმსაჯულების მიზანია ამკვიდრებდეს სამაგიეროს მიზღვის გარდუვალობის პრინციპს. საზოგადოებრიობა ვერ იარსებებს, თუ მტკიცედ არ იქნა დაცული ეს პრინციპი. ბოროტმოქმედების უპასუხოდ დატოვება უკვე თავად არის სოციალურად საშიში. სიტუაციას ფრთხილად უნდა შევხედოთ. ამ შემთხვევაში გულმოწყვლება გულმოწყლებისათვის აბსტრაქტული პუმანიზმია. იგი ნაყიფს არ იძლევა.“

აქ „საქინფორმის“ ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ ბოროტმოქმედების პასუხება არ ნიშნავს აუცილებლად სიცოცხლე მოუსპო ადამიანებს,

რომლებსაც წინასწარი განზრდვით არ მოუკლავთ არავინ, და შემ-
დეგ კი, კითხვას დავუსვამ : რას უშვრება ის კომუნისტური, პარ-
ტიკის მიერ საჯაროდ აღიარებულ პრინციპს კრიმინალურ დარგში,
რომ ყველა ბოროტმოქმედი შეიძლება გამოსწორდეს და სასაჩვებ-
ლო მოქალაქედ იქცეს ?

„საქინფორმის“ კომუნიკის მიხედვით შეგვიძლია უკეთ დავაზუსტოთ, -
თვითმფრინავის გატაცების მცდელობის მონაწილეთა ვინაობა, რაც
ზოგიერთ შემთხვევაში დამახინჯებული იყო უცხოეთის პრესის მიერ .

-გრიგოლ ტაბიძე, 32 წლის არქიტექტორი, თბილისის არქიტექტურის
ინსტიტუტის კურსდამთავრებული, „საქინფორმის“ მიხედვით, მოიკ-
ლა შტურმან გ. გასოიანის ტუმით. მამამისი, თემურაშ ტაბიძე,
მომხდარ ტრალიკულ ამბამდე იყო თბილისის პროექტების განათლების
სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ბიუროს დირექტორი, კომუნი-
სტური პარტიის წევრი.

- იოსებ წერეთელი, 25 წლის თბ. სამხატვრო აკადემიის კურსდამ-
თავრებული, მამა-კ. წერეთელი იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, თბ. სახ. უნივერსიტეტის პროფესორი. ტრალი-
კული ამბის შემდეგ მოხსნილი იოს. წერეთელი დასჭრა იგივე გასო-
იანმა, მაგრამ „საქინფორმი“ აღარ მარტავს, ვინ მოკლა და რა პი-
რობებში ის .

- დავით მიქაბერიძე, 25 წლის, თბ. სამხატვრო აკადემიის მეოთხე
კურსის სტუდენტი, მამა-რაფენი იყო საქ. „ინტურისტის“ საამშე-
ნებლო ტრენერის მმართველი, ტრალიკულ ამბის შემდეგ მოხსნილი .
ყველა ცნობების მიხედვით, დ. მიქაბერიძემ თავი მოიკლა, რომ პოლი-
ციას ცოცხალი ხელში არ ჩავარდნოდა .

- ძმები კახა და პატა ლეგიშვილები, რომლებიც შემდეგ „ტასჩ“
და „საქინფორმა“ ივერიებად გამოაცხადეს, პირველი იყო 29 წ.
ექიმი-თერაპევტი, პაატა კი 27 წ. ექიმი-ქირურგი, დამთავრებული
ჰქონდათ მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელმბის უნივერსიტეტი,
მამქათი-ეგად იყო თბ. ექიმთა დატელოვნების ინსტიტუტის კათედ-
რის გამგე, პროფ. ანდოკრინოლოგი, მოხსნილია თანამდებობილან .

- გერმანე(გეგა) კობახიძე, 23 წ., კონსტუდია „ქართული ფილმის“
მსახიობი, მამა გაშორებულია ოჯახთან, დედა-ნათელა მაქავარიანი
თბ. მოზარდმაყურებელთა ქართ. თეატრის მსახიობია. როგორც ირ-
კვევა, გ. კობახიძე ლრმად მორწმუნე ყოფილა .

- თინათინ ფერვიაშვილი, გ. კობახიძის მეუღლე, 19 წ., თბ. სახელ-

მწიფო სამხატვრო ოქადემიის მესამე კურსის სტუდენტი ქართველი გვარდაშვილი გ. კობახიძეზე, მამისი, გლადიოლი, მუჭათა ნამშრომელი გაცილებულია თინას დედასთან, ცხოვრობს მოსკოვში, თინას დედა-თამარ გლურჯაძე იყო მომხდარ ტრადედიამდე თბ. სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის მეცნიერი თანამშრომელი.

— ანა ვარსიმაშვილი, თბ. აეროპორტის მოსამსახურე, იმ საბედის-შერო დღეს მორიგედ მყაფი, რომელიც „საქინფორმის“ მიხედვით, გულუბრყილოდ დაეხმარა შეთქმულებს, თვითმფრინავში იარაღის შეტანაში, მიღებული კონტროლის გარეშე.

— ანა მეღივა და ევგენია შალუტაშვილი, იგივე სამხატვრო აუდემიის სტუდენტები, თ. ფერვიაშვილის მეგობრები იყენ და მისი ჯვარისშერის ხელის მომკიდებები; „საქინფორმის“ მიხედვით, მათ არაფერი არ იცოდენ შეთქმულების, ამ მოტივით, ისინი დაუყოვნებლივ ჩააბარეს მშობლებს ისე, რომ საბჭ. სფამომძიებლო ორგანო-თა სუსხი არ განუცდიათ; მით უკეთესი მათვის, მათი მშობლები-სთვის და სქართველოსთვისაც! იცოდენ, ვინც პარტიული და კლას-თა ბრძოლის პრინციპების სახელით, ქართველ მამულიშვილებს სდევნიან, აპარტმანებენ, აწამებენ და უწყლოდ ხოცავენ, რომ ჩვენ ასე-თი თვალსაზრისით არ ეუდგებით არც მოვლენებს და, მით უფრო, არც ადამიანებს.

— თეიმურაზ ვლადიმერის ძე ჩიხლაძე, ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახური დაბატიმრებამდე (მამა თეოდორე დ წოდებული), 33 წლისაა; საპატიო ტრადედიაში მისი სახელი აქვმდე არსად არ გამოჩენილა, ხოლო, როცა სასამართლოს განაჩენი გამოცხადდა, სიკვდილმისჯილთა შორის ის სულ თავშია და იგი გამოცხადებულია „ბოტომომებელთა ბანდის მეთაურად, შაგრამ, თვით „საქინფორმის“ მიხედვით, ჩიხლაძეს, არამც თუ მონაწილეობა არ მიუღია მისი სულიერი მოწაფეების მიერ განხორციელებულ თვითმფრინავის გატაცების ცდაში, არამედ მან არც კი იცოდა რა, მისი განზრახვის შესახებ. ამ საკითხზე კიდევ შევჩერდებით უფრო დწევრილებით.

„ტუპოლევის“ გატაცების სცენარი

„საქინფორმის“ მიხედვით, თვითმფრინავის ჰერიკაში გატაცების შეთქმულება დიდი ხნით აღრე მზადდებოდა და მას თავიდან მეთაურობდა მამა თეოდორე, შაგრამ, როგორც ითქვა, შემდეგ ანდგზჩრდებმა თვითანთი განზრახვის გეგმა და განხორციელება აღარც კი



გაუმხილეს მას და, მაშასადამე, არც ტრალედიის მონაწილეებთა ფუნდილა. შეთქმულმა ახალგაზრდებმა ისარგებლეს გ. კობაშვილის და თ. ფერვიაშვილის ქორწინებით, საქორწილო მოგზაურობის სცენა გაითა-მაშეს, რათა უკედ მოედუნებინათ პოლიციური მეთვალყურეობა:

წინა დღით ჯვარდაწერილთა წჟილი, ხელის მომკიდეებით—დ. მიქა-ბერიძე, იოს. წერეთელი, ანა მელიგა, ევ. შაშუტაშვილი—გამოცხად-დებიან 18 ნოემბრის ნაშუადღევს თბილისის აეროპორტზე, ვითომც შეზარხოშებულები, ვაუებს კიდევ ხელში უჭირავთ შამპანური ღვი-ნის ბოთლები, ქალიშვილებს კი მომცრო ხელბარგი, ცეცხლმსროლელ იარაღით და ხელუმბარებით საესე. ჩეკიმის ბობოლებისთვის განკუ-თვნილი სალონით, მათ უკონტროლოდ გაატარებსთ, მათი მეგობარი, სალონის მორიგე ქალიშვილი, ანა ვარსიმაშვილი. დანარჩენი მათი შეთქმული მეგობრები — პაატა და კახა ივერიელები და გრიგოლ ტა-ბიძე — ჩვეულებრივ მგზავრებთან ერთად გაიღლიან საერთო დარბაზს. და თვითმფრინავებში მათ შეუერთდებიან. „ტუპოლევის“ თვითმფრინა-ვი დაგვიყნებით აფრინდება და კურს აიღებს მისი პირველი ესკა-ლის—ბათუმის მიმართულებით და ამ მომენტიდან შეთქმულები იწყ-ბენ მოქმედებას: იარაღდებიან. აქამდე შევიძლიათ ირწმუნოთ „საქ-ინფორმის“ მოთხრობა; ამის შემდეგ კი ის თავისი ულოლიკობით აშკარად ამედავნებს მის პროპაგანდისტულ განზრახვას: რაც შეი-ძლება შავფერებში დაგვიხატოს შეთქმულთა მოქცევა, რათა გაამარ-თლოს „სასამართლოს“ მკაცრი განაჩენი, და მისათვის ის არ ინდობს იმათაც კი, ვინც უკვე თვითმფრინავებში დაიღუპენ.

„საქინფორმის“ მიხედვით, კახა ივერიელი და სოსო წერეთელი წა-წამოდგებიან და პილოტის კაბინისკენ გაემართებიან, რაც ნიშანია მოქმედების დაწყბის. სწორედ ამ მომენტში, პაატა ივერიელი ხე-ლს დასტაცებს შამპანიურის ბოთლს და თავში ჩაარტყავს მამაკაცს, მასვე მიბრჯნით ესვრის გრ. ტაბიძე და ასე ჰქონდება უდანაშაულო მგზავრს, რომელიც შემდეგ აღმოჩნდება აღუდა სოლომანია, „რუსთავ-გაზის“ სამმართველოს უფროსი. პირველ გასროლას მოყება რჩდენი-მე სხვა. ტაბიძე და მიქაბერიძე ესვრიან და მძიმედ სერიან ა. პლ-ოტკას, რომელიც პილოტის ფორმაში იყა და წამომდგარ მგზავრს— გვალიას, და, მხოლოდ ამის შემდეგ თითქოს, „პაატა ივერიელმა და კობახიძემ ხელუმბარები აღმართეს და მგზავრებს დაემუქრნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში თვითმფრინავს ააფეთქებდნენ და უბრძანეს, იატაკზე გაწოლილიყვნენ.“ ნორმალური და გონიერი აღამიანებისაგან მოქმედების ასე დაწყება შეუძლებელია: შეთქმულები

აღბათ ჯერ ხელშუმბარებს აღმართავდენ, თავიან განზრაპტვაში აცხადებდენ, იატაკზე დაწოლის და გაუნძრევლობის ბრძანების უას ცემდენ და მხოლოდ ამის შემდეგ, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, დაჭრათ და მოეკლათ კიდეც.

თვითმფრინავის პილოტთა კაბინა დაჯავშნულია, მხოლოდ ბორტ-გამცილებელმა იცის როგორ დაკაკუნოს, რომ კარები გაუღონ. კ. ივერიელი და წერეთელი აიძულებენ ბორტ-გამცილ კრუტიკოვას, გააღებინოს პილოტთა კაბინის კარები. „კრუტიკოვას დაკაკუნებაზე პილოტთა კაბინის კარი გააღო შტურმან - ინსტრუქტორმა ზ. შარბათიანმა, მაშინვე, ხმის ამოუღებლად, მას ესროლეს ერთხელ ტაბიძემ და ექვსჯერ კახა ივერიელმა. დამნაშავენი მისცვივდნენ პილოტებს, რომლებიც თვითმფრინავს მართავდნენ. თავისი ადგილიდან წამომხტარი ბორტმექანიკოსი ანზორ ჭედია იქვე მოცელა ტაბიძის ტჟიამ. და მაშინ შტურმანის სამუშაო ადგილიდან, რომელსაც ჩვეულებისა-მებრ ფარდა ჰამოფარებული, გაისმა საპასუხო გასროლა. შტურმანმა ვ. გასოიანმა, რომელმაც ელვის სისტრატით შეაფასა სიტუაცია, პირველივე გასროლით მოკლა გ. ტაბიძე, მძიმედ დაჭრა კ. ივერიელი და ი. წერეთელი. სიტუაცია კი მეტად ღიღ საფრთხეს ქმნიდა - მოსალოდნელი იყო მართვის დაკარგვა, კაბინის ჰერმეტიზაციის დარღვევა, ხანძარი და თვითმფრინავის უანგბალის სისტემის აფეთქება. ვ. გასოიანის მოქმედებამ შესაძლებლობა მისცა ეკიპაჟს კაბინაში შეეფანა სასიკვდილოდ დაჭრილი ზ. შარბათიანი და ჩაე-კეტა კარი. თვითმფრინავის მეთაურმა ა. გარდაფხაძემ უბრძანა პილოტ-სტუდიორს ვ. გაბარაევს თვითმფრინავი სხვადასხვა მხარეს გადაეხარა და ამით ხელი შეეშალა ბანდიტების შემდგომი მოქმედებისათვის, დაუკავშირდა დედამიწას და დაჯდომის ნებართვა ითხოვა. თვითმფრინავმა კურსი თბილისისაკენ აღლო. “

სანამ წინ წაგიდოდეთ, „საქინფორმის“ ეს ვერსიაც უნდა განვმარტოთ : საბჭოთა „სასამართლომ“ ბოროტმომშედნი სალი გონების მქონებლებად შეამოწმა აღბათ, რომ ისინი ფსიქიატრული მკურნალობის მაგივრად, ჯალათებს გდაცა სასიკვდილოდ. სალი გონების ადამიანები კი ასე ვერ მოიქცეოდენ. შეთქმულთა ანგარიშში არ ამც და არამც ა შედიოდა თვითმფრინავის ეკიპაჟის ამოხოცვა, რადგანაც, ამ შემთხვევაში, უეჭველი დაღუპვა ელოდა თვითმფრინავს, მგზავრებსაც და თვით შეთქმულებსაც. ამიტომ, ისინი გაუფრთხილებლად თავიდანვე სასიკვდილოდ არ დაჭრიდენ შარბათიანს და არც ან. ჭედიას მოკლავდენ. ორში ერთი : ან შარბათიანი და

ჭედია მსხვერპლნი გახდენ, შეთქმულთაღმი წინააღმდეგობის გარშევით, ან არადა, შტურმანმა გასოიანმა პირველმა ესროლა პილოტთა კონიაში შევარდნილ შეთქმულებს, რამაც გამოიწვია უკანასკნელთა საპასუხო სროლა, რომელსაც შეიძლებოდა მოყალოდა, არა მხოლოდ შარბათიანის და ჭედიას, არამედ მთელი ეკიპაჟის სიკვდილი და თვითმფრინავის კატასტროფაც. გასოიანი გმირად გამოაცხადეს, ორდენი ჩამოჰკიდეს გულზე და დღეს ვინ გაბედავს მას რამე უსაფეროს. შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ გასოიანი, მისი უფროსების ბრძანების თანახმად, იარაღით ხელში ჩასაფრებული იყო, რომ ეკიპაჟი დაეცვა მოსალონებრივ საპარერო პირატების თავდასხმისაგან, თუნდაც ამას მოჰყოლოდა თვითმფრინავის კატასტროფაც.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ტრალელის ჭეშმარიტ სცენას ვერ აღვადგენთ და არც შეიძლება ამის პრეტენზია გვერდეს, მაგრამ ჩვენთვის ცხადი ის არის, რომ „საქინფორმის“ მოთხოვნა ტყუილია, განზრახ შეთხზული, ულოდიკო ტყუილი.

მივცემ მინც „საქინფორმში“: „მიქაბერიძემ უწესრიგო სროლა დაიწყო. შემდეგ პისტოლეტის ტარი ჩაარტყა ბორტგამცილებელ ი. ხიმის. კობაძინდემ კი თმებში სწოდა ქალს და სავარძელს დაიკრა. სალონში ისმოდა დაჭრილთა კენესა, ბავშვის ტრილი, ითხოვდნენ შველას. დაიკრანენ ა. მელიკა, ე. შალუტაშვილი, ბორტგამცილებელი ი. ხიმის, მგზავრები ი. კილაძე, ი. ინაიშვილი, ი. კუნდარენკოა. „შეტაკების 27 წუთი და უაღრესად მღელვარე თოთხმეტი საათი აეროპორტში... გრძელი თოთხმეტი საათი, სანამ ბანდის ცოცხლად დარჩენილი მონაწილეების შეპტობა და გაუვნებლება მოხერხდებოდა. 14 საათს მიმდინარეობდა ბანდიტებთან მოლაპარაკება. აეროპორტში მოიყანეს მათი მშობლები. შეიღებმა მათ თვითმფრინავთან მიახლოების საშუალებაც კი არ მისცეს – აფეთქებით იმუქრებოდნენ. გამტაცებლებს წინადადება მისცეს დანებებული ჯნენ. ეს დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება იქნებოდა. და ბოლოს სოხოვეს, დაჭრილები და მცირებულებანი ბავშვები მაინც გაენთავისუფლებიათ... როცა ნათელი გახდა, რომ მიღებული ზომები უშედეგოა, გადაწყდა ბანდიტების გაუვნებლება. რადაც არ უნდა დამჯდარიყო ეს უნდა მოეხდინათ, რაღაც ყოველ საათს ბანდიტები სულ უფრო რწმუნდებოდნენ გამოუვალ მდგომარეობაში და მზად იყნენ, გადაედგათ უკიდურესი ნაბიჯი. საკირო იყო მგზავრების ხსნა. გამოძახებულმა ოპერატორმა ჯგუფმა შეიმუშავა დეტალური გეგმა. შექმნილ ვითარებაში ძნელია ივარაულო, რას მოიმოქმედებს გამხეცებული ბანდა

და ამიტომ რამდენადაც შესაძლებელი იყო, დააზუსტეს დისტანცია
სალონებში და ზუსტად გაიანგარიშეს დამნაშავეთა შეკყობის ეტა-
პები. ოპერაცია დაიწყო დილის 6 საათ. და 27 წ -ზე და დამთავრდა
6. საათსა და 35 წ -ზე. ბანდის წევრები გააუვნებლეს და თვითმფრი-
ნავიდან გმოიკვანეს 8 წუთში.”

არც ერთი სიტყვა, თუ რამდენი სიცოცხლის ფასი დაჯდა ეს 8 წუთიანი ოპერაცია. ამ გრძელი მოთხრობის მიზანი ცხადია: მისი დანიშნულებაა, თვითმფრინავის გატაცების მცდელებს გადააბრალოს ყელას მოკვლა და დაჭრა და გააქარწყლოს ხეები, იმის შესახებ, რომ სწორედ „უშიშროების სპეციალური კომანდოს“ უხეში იერიშის გამო აღიაროს პერიოდი ასე მრავალრიცხვან მსხვერპლს.

საბჭოთა „სასამართლომ“ ვერც ის დაადგინა (ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ არას ამბობენ), თუ რა იყო შეთქმულთა მიზანი, რადგან-აც, თვითმფრინავის გატაცება, შეიძლება საშუალება ყაფილიყო, მა-გრამ - არა მიზანი. „საქინფორმის“ განმარტება : „ბანდიტებს გეზი ამერიკის შ. შტ.-სკუნ ჰქონდათ, იქ კი, მოგეხსენებათ, „სისხლით შეუღებავი“ გზით თავს ვერ მოიწონებთ, პიტომ საჭიროა სწორედ „ბრძოლით“ მიაღწიო მიზანს, და ამის ნივთმტკიცებად წარადგინონ ნადავლი საბჭოთა თვითმფრინავი დახოცილი მგზავრებით“ და ეს ანტიამერიკული სიბრივე, რომ ცოტათ მაინც გაამაგროს, პასუხის-გებაში მიცემულ კ. ივერიელს ათქმევინებს: „....გვინდოდა ამერიკე-ლების გული მოგვეგო თვითმფრინავის გატაცებით.... დარწმუნებული ვიყავით, რომ თავისიანებად მიგვიღებდნენ... გვინდოდა, იქ რადიოთი გამოვსულიყავით და წინასწარ ვიცოდით, რომ ცილს დავწამებდით სამშობლოს“ - მ. ვერაფრით ვერ გამოდგება შეთქმულთა მიზნის ასა-ხასიათს: ყველი საშუალებით გააღვივოს საბჭოთა მოქალაქეებში ზიზღი, მტრობა, ანტაგონიზმი ამერიკელ ხალხისა და მისი მთავრობ-ისალმი. .

თეიმურაზ ჩიხლაძის შესახებ

ჯერ სრულად მოვიყავნოთ, რას ამბობს „საქინფორმი“ შეთქმულებაში თ. ჩიხლაძის როლის შესახებ: „თეომურაზ ჩიხლაძე, მამა თეოდორე, როგორც თავის თავს უწოდებდა; მის მიერ შეკოშიტებული ბანდის „სულიერი მამა“; თეორეტიკოსი, ორგანიზატორი და დანაშაულებრივ მოქმედებათა წამქეზებელი... სწორედ ჩიხლაძემ დაუსახა მიზნად დანაშაულებრივ ჯგუფის წევრებს ცეცხლსასროლი იარაღის

შეძენა და ის აპირებდა შეეტანა იარაღი თვითმფრინავში რჩტჭონის ქვეშ.“ ცოტა ქვემოდ კი „საქინფორმი“ აგრძელებს : სისულეების „როგორ მოხდა, რომ ჩიხლაძე, ბანდის მეთაური, იმ დღეს, როცა ჰერში ტრაგედია დატრიალდა, თვითმფრინავში არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც : მას ეჭვადაც კი არ ჰქონია, რომ მის მოჩილებას თავდალშეულმა „სამწყობ“ გადაუშირა ემოქმედა, როგორც იტკიან, საკუთარი რისკით.“

ჯანდაბას „საქინფორმის“ დანარჩენი ულოლიკ მსჯელობა, იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ მოხდა, რომ თ. ჩიხლაძე შეთქმულებთან ერთად არ იყო თვითმფრინავში და არც შეთქმულების კურსში ყოფილა, მართლმსაჯულებისთვის მთავართა მთავარია იმის კონსატაცია, რომ ჯგუფის სულიერმა მოძღვარმა მამა თეოდორემ, არც არაფერი იცოდა მისი ჯგუფის დანაშაულებრივი განზრახვის, რომ ხელი შეეშალა და თვითონ ხომ მომხდარ ტრალედიაში, არც შორიდან და არც უშუალოდ, მონაწილეობა არ მიუღია!

ამიტომ, მართლმსაჯულებას არ შეეძლო მისი სიკვდილით დასჯა, ის არა მარტო განტევების ვაცია, არამედ აგრეთვე, როგორც იდეოლოგიური მოწინააღმდეგე, ფიზიკურადაა მოსპობილი. თ. ჩიხლაძის მაგალითი ცხადად მოშომბს, თუ ეს სჭიროა, რომ საბჭოთა სტულობელოში დღესაც სასამართლო ფიქციაა, არსებობს შეუზღუდველი ხელისუფლება და მისი ბრძანების ზედმიწევნით აღმსრულებელი პოლიცია, რომლებიც განუკითხავად ბატონებენ მათი ქვეშევრდომების სიცოცხლეზედაც და სიკვდილზედაც.

როცა დიდი ილია მოჰკლეს და მეფის რუსეთის სასამართლომ მის მკვლელებს სიკვდილით დასჯა გადაუშირა და ძირითადი დაღუპულის ქვრივმა, ქალბატონმა ოლდა კაგებავაძისამ საჯაროდ, წერილით შეუნდო მკვლელებს და ხელისუფლებასთან იშუამდგომლა, რომ მასაც შეწყლება ებოდებია. ეს სულ ცოტა ხნით ადრე იყო რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალებამდე და მათ მიერ შემდეგ ილია კაგებავაძის სამშობლოს დაპყობამდე, რაც მათ ჩაიდინეს თავისუფლების, თანასწორობის, ჰუმანიზმისა და პროგრესის სახელით. რა მცირე დრო გავიდა. რამხელა გზაა გავლილი... მაგრამ არა წინსვლისაკენ, არამედ პირიქით, სათნოების, კაცომოფეარეობის, შემწყლებლობის დეგრადაციისაკენ. ოლდა კავშირაძეთა ამაღლევებელი ხეები შეიძლება გავიგონოთ დღევანდელ საქართველოში ამ ტრაგიკულ და სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით? როგორ გავიწარებდით!

მწუხარებით ვაუწყებთ „გუშაგის“ მკითხველებს, რომ:

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს საფრანგეთში გარდაიცვალა პრინცესა ლიუბოვ ვაჩინაძე, დაბადებული ხვოლსონ და დაიკრძალა 10 აგვისტოს.

მ. წ. 7 სექტემბერს, ხანგრძლივი ავალმყაფობის შემდეგ, საფრანგეთში გარდაიცვალა ნესტორ (ინდიკო) პაპუაშვილი და მრავალრიცხვობანმა ნათესავებმა და მეგობრებმა მისი ცხედარი მიაბარეს სოფელ ლევილის საკრძალავს. განსვენებულმა შესანიშნავი ოჯახი შექმნა პარიზში ირა გომართლის ასულთან, რჩება თრი შვილი და შვილი-შვილები. ოჯახის იშვიათი მამა, არც საზოგადოებას ივიწყებდა. წლების განმავლობაში ასრულებდა საჭ. ქართული საზ. გამგეობის წევრის მოვალეობას, იყო ყოველი ქართული წამოწყების დამხმარე და შემწე.

წელს, 24 სექტემბერს გარდაიცვალა ქალბატონი ელენე მგალობლი-შვილი. განსვენებული ყელას უკარდა, ცნობილი იყო თავისი უზადო სათნოებით, კეთილშობილებით და კდემამოსილებით. შესანიშნავი შვილის და შვილი-შვილების აღმზრდელი. დედა, წმინდანივით გავიდა ამა ქვეწიდან. 28 სექტემბერს მწუხარებით და სინანულით მიაცილეს იგი მრავალრიცხვობანმა ნათესავებმა და მეგობრებმა ლევილის სას-ზე.

ავტენითი გამოდგა ჩვენი საზოგადოებისათვის სექტემბრის უკანასკნელი დღეები, სიკედილმა ზედი-ზედ გამოგვაცალა დიდათ საკარელი ადამიანები, 26-ში გარდაიცვალა ქალ-ნი ასმათ ფაღავა ეორდანიას ასული. დაკრძალვა ლევილში I ოქტომბერს. ნეკროლოგი მიეძღვნება შემდეგ ნომერში.

26. სექტემბერს კი გარდაიცვალა გიორგი (ბიჭიკო) ახვლედიანი და დასაფლავდება სოფ. ლევილში, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი როდის.. ნეკროლოგი და ბიოგრაფიული ცნობები მომავალ ნომერში.

და სამძიმრებს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ჭირისუფლებს.

ნოდარ დუმბაძის გარდაცვალება

1984 წ. 14 სექტემბერს მძიმე და ხანგრძლივი ავალმყაფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა ცნობილი მწერლი ნოდარ დუმბაძე.

განსვენებული მხოლოდ 56. წლისა იყო. საბჭოთა ხელისუფლებისაგან ის დიდათ დაფასებული იყო, როგორც კომუნისტი მწერალი და სიკ-დილიც დიდი პარტიული გლოვით აღინიშნა. ჩვენ კი გვგონია, რომ ის იყო ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, რომელიც ნიჭი-ერად ამხილებდა საბჭოთა წესწყაბილების მანკიერებებს და ამიტომ გულის ტკივილით ეხვდებით მისი გარდაცვალების ამბავს. .

შ ე მ თ წ ი რ უ ლ ე ბ ა თ ა ს ი ა (ფრანგულ ურანკებ.)

გიორგი გორგიშვილი	600	რუბენ გვერაძე	200
კონსტანტინე ალშიბაია	100	ნათელა გოგიშვილი	164
გიორგი ნაკაშიძე	818	ილ ემუხვარი	100
ნამეტია გოგუაძისა	100	ქრისტ. იმნაიშვილი	500
მირიან მელუა	250	იასონ იორდანიშვილი	500
შალვა ცინცაძე	478	მართა სტერუასი	60
გიორგი ტოვონიძე	100	ნიკოლა ანთაძე	100
მიშა თარაშვილი	300	მელიტონ ულენტი	200
შოთა ბერეჟიანი	100	მარინა ელის	230
გერასიმე ბოლქვაძე	500	აკაკი შავგულიძე	200
ვენერა ხაბულიანი	200	ვალია კედია	100
დაგით ბებიაშვილი	1 708	ნიკო ბეჭელაძე	100
მ. კალიფორნიელი— ნოე უორდანის კეთილმოსაგონრად			866
მიშა კელიძე — დიმო ცხონდიას კეთილ- მოსაგონრად			433
ტატიანა კაჭიაშვილი—დაუვიწყარ მეუღლე ბაგრატის მოსაგ.			100

ჯ ა მ ი

9.107

ულრმესი მადლიერების გრძნობა ფერადში „გუშაგისაგან“.

გ ი ო გ ი ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ს ა ი უ ბ ი ლ ე ო დ

ჩვენი საზოგადოების სახელოვან წევრს, ბ. გიორგი ნაკაშიძეს 90 წელი შესრულებია. „მუმლი მუხასას გარს ეხვეოდაო, მუმლი წყდე-ბოდაო, ხე არ ხმებოდაო.“ ძვირფასო ბატონო გიორგი, სწორე თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთი ასეთი გამძლე და ძირმაგარი ქართველი მუხა. „გუშაგი“ პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავსთ თქვენი ცხოვ-რების ამ მნიშვნელოვან ნიშანსვეტს და გისურვებსთ კიდევ დიდი ხნის ჯანმრთელ და ნაყოფიერ სიცოცხლეს.

a 13/2



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS
75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE